ლელო

№087
(12 157)

16 აპრილი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საიდუმლოს ფარდა ეხდება

საიდუმლო, რამაც ამას წინათ, "ლელოს" კორესპონდენტებთან სპორტის სასახლის ადმინისტრაციისა და დაცვის სამსახურის კონფლიქტი გამოიწვია, თითქმის გამჟღავნებულია. დღეს, 2007 წლის 16 აპრილს, ბოლო ვადაა იმისთვის, რათა ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას.

ვარაუდებზე ქვემოთ, მანამდე კი მკითხველს შევახსენებთ, თუ რამ გამოიწვია ზემოხსენებული კონფლიქტი. როგორც კი შევიტყვეთ სპორტის სასახლეში სარემონტო სამუშაოების დაწყების ამბავი, ჩვენმა ჟურნალისტმა (კობა ხატისაშვილი) და ფოტოკორესპონდენტმა (ალექსანდრე კოტორაშვილი) უმალ მიაკითხეს ქვეყნის ამ უნიკალურ ჭერქვეშა სარბიელს, რათა მკითხველისთვის, ასე ვთქვათ, ოპერატიულად გვეხარებინა დიდი ხნის ნაოცნებარ-ნალოდინები რეკონსტრუქციის დაწყების შესახებ. არ გამოვიდა. სპორტის სასახლის დაცვამ ფოტორეპორტიორი აიტულა, ციფრული აპარატით უკვე გადაღებული ყველა კადრი წაეშალა (ეჭვიც არაა, რომ დაცვა ადმინისტრაციის მითითებით მოქმედებდა). ადრეც ვთქვით და გავიმეორებთ: ფეხქვეშ გაითელა ინფორმაციის თავისუფლად მოპოვების უფლება, განადგურდა ფოტორეპორტიორისა და რედაქციის ინტელექტუალური საკუთრება, ძალისმიერი მეთოდით დაიბლოკა ინფორმაცია...

მაშინვე გაგვიჩნდა ეჭვები, თუ რას უნდა გამოეწვია ადმინისტრაციის ასეთი გალიზიანება. ვარაუდიც გამოვთქვით, ხოლო თუ ვცდებოდით, შეხმიანება და ამ ვარაუდის გაქარწყლება ვითხოვეთ, მაგრამ სპორტის სასახლის ადმინისტრაციამ დუმილი ამჯობინა, რაც, მოგეხსენებათ, თანხმობის ნიშნადაა მიჩნეული. როცა ტენდერის (ინვესტორისთვის სპორტის სასახლის 30 წლით გადაცემის თაობაზე) გამოცხადების ინფორმაცია მივიღეთ, ეჭვები უფრო გაღრმავდა. როგორ, ტენდერი არ ჩატარებულა და ვიღაც თვითნებურად იწყებს სარემონტო სამუშაოებს?! თუ ეს თავად სპორტის სასახლის ხელმძღვანელობის ინიციატივა იყო, რატომ დამალეს სიმართლე? ანდა, როცა საქმე ტენდერამდეა მისული (ანუ, ის ჯერ არ ჩატარებულა), ვის აქვს უფლება, დაიწყოს რემონტი? სადაა ხარჯთაღრიცხვა, რეკონსტრუქციის პროექტი, ბოლოს და ბოლოს უფლება...

გამოდის, რომ ტენდერში გამარჯვებული წინასწარ იყო ცნობილი. თანაც ის "ვიღაც" ისე იყო დარწმუნებული გამარჯვებაში, რომ სამუშაოების ნაადრევად დაწყებასაც არ მოერიდა. რა არის ეს, ვარაუდი თუ რეალობა? ნათქვამია, აღდგომა და ხვალეო! თუ ტენდერში მონაწილეობის მსურველს კონკურენტი არ გამოუჩნდა, ყველაფერი დღესავით ნათელი გახდება. იქნებ, გამოუჩნდა კიდეც, მაგრამ ჩვენ არ ვიცით და... ვერც გავიგებთ. არც ისაა უსაფუძვლო ვარაუდი, რომ სატენდერო უფლების მოპოვებამდე, იმ ორგანიზაციამ, ვისაც გამარჯვება გარანტირებული აქვს, სამუშაოების დაწყება, ალბათ, ქვის არგუმენტად აქცია კონკურენტების მოსაგერიებლად - როგორ, ჩვენ საქმე უკვე დაწყებული გვაქვსო!

ცხადია, ეს ყველაფერი კულუარებში ითქმება და ჩვენ ვერც ვერაფერს გავიგებთ. წინდაწინ სამუშაოების დაწყების გამართლებად კი ისიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ სატენდერო პირობებით, წლეულსვე, 1 სექტემბრამდე, 2 მილიონი ლარია ასათვისებელი, არადა, დრო არ ითმენს. დავძენთ, რომ სასახლეს პროფილი უნდა შეუნარჩუნდეს, რეკონსტრუქციაზე კი სულ 5 მილიონი ლარი დაიხარჯება, ხოლო აუცილებელი მოთხოვნა, ცხადია, საერთაშორისო სტანდარტებია. ტენდერის შემდეგ, სპორტის სასახლის მართვა მთლიანად გამარჯვებულის ხელში გადავა.

ა, ასე. მაშ, გამარჯვებულის გაცნობამდე!

LIVE

სპორტული საინფორმაციო ცენტრი

272-272

ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ

LIVE

# ოლიმპიური განხეთქილება

### რევაზ ძოძუაშვილი: ზურაბ ჯაფარიძე ჩემს საქმეებში ერევა
### ზურაბ ჯაფარიძე: ოლიმპთან საერთო არაფერი მაქვს

?



2

კომენტარები

# სამი გოლი ძირითადში, ერთიც დუბლიორებში

## SOS!

### ქართველები უკრაინაში: ეროვნული ნაკრების ექვსმა წევრმა ამ უქმეებზე დუბლებში ითამაშა

ქართული ლეგიონის უქმეები

5





### გიორგი ნემსაძე:
## მინდა, მაგრამ ჯერ ვფიქრობ

ინტერვიუ აქტუალურ თემაზე 2

ყაზბეგი
www.kazhegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

## ალმასკომი დაამტკიცებს

დღეს, 13 საათზე ფეხბურთის ფედერაციაში ალმასკომის მორიგი სხდომა გაიმართება. როგორც ადრე გაუწყეთ, ალმასკომზე მთავარი თემა ფეხბურთის ფედერაციის ყრილობისა და საპრეზიდენტო არჩევნების თარილზე მსჯელობაა. ეს ცნობა გუშინ "ლელოსთან" საუბარში ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ** დაადასტურა:

*"მთავარი საკითხი ფედერაციის მორიგი ყრილობის დანიშვნაა. სავარაუდო თარილად 13 მაისი განიხილება. ამაზე ალმასკომი იმსჯელებს და ხვალ გაირკვევა, თუ როდის დაინიშნება ფედერაციის მორიგი ყრილობა და საპრეზიდენტო არჩევნები. მეტს ვერაფერს გეტყვით"*, - გვითხრა უჩა უგულავამ.

უგულავას ეროვნული ნაკრების 22 აგვისტოსა და 12 სექტემბრის მატჩების ორგანიზების საკითხზეც დავეკითხეთ. უქმეები იყო და ამ თემაზე სიახლე ჯერჯერობით, არაფერია.

**დავით ცაბაძე**


რევაზ ძოძუაშვილი

ოლიმპი

## განხეთქილება

ხმები გავრცელდა, "ოლიმპში" არეულობააო. როგორც ითქვა, უთანხმოება მწვრთნელსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის რამდენიმე ხნის წინათ დაწყებულა, ბოლო დროს კი განსაკუთრებით გამწვავებულა - **რევაზ ძოძუაშვილს** შელაპარაკება მოსვლია **ზურაბ ჯაფარიძესთან**. მართალია ჯაფარიძეს კლუბთან ოფიციალურად არანაირი ურთიერთობა არ აქვს, მაგრამ დიდი ძალისხმევა არ სჭირდება იმას, რომ ეს პიროვნება "ოლიმპის" თამაშებზე იხილოთ. და მთავარი, პირველ წრეში ყოფილა შემთხვევა, როცა ჯაფარიძე რუსთაველი კლუბის მწვრთნელს მითითებებს ტრიბუნიდან აძლევდა და ამის შესახებ "სპორტი" (დღევანდელი "ლელო") წერდა კიდეც თავის დროზე.

**რევაზ ძოძუაშვილმა** კონფლიქტის არსებობა დაადასტურა: *"დიახ, მქონდა გარკვეული უთანხმოება ზურაბ ჯაფარიძესთან. კერძოდ, ის ჩემს საქმეში ერეოდა. როგორც ჩანს, მე და "ოლიმპის" ზოგიერთი ხელმძღვანელი გუნდის განვითარების შესახებ სხვადასხვა აზრისანი ვართ. კლუბში ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, ეს მარტივი ჭეშმარიტებაა. იმედია, მსგავსი რამ აღარ განმეორდება.*

*სიტუაციის გამწვავებას ორივე მოვერიდეთ, რადგანაც ეს საერთო საქმეს ავნებს. "ოლიმპთან" კონტრაქტი სეზონის ბოლომდე მაქვს და ამ ჩემპიონატს აუცილებლად ჩავამთავრებ, შემდეგ კი ხელმძღვანელობასთან სერიოზული საუბარი მექნება. კარგად დავფიქრდები, ღირს თუ არა ამ კლუბთან ურთიერთობის გაგრძელება"*, - განაცხადა "ოლიმპის" მწვრთნელმა.

**ზურაბ ჯაფარიძემ** კი ძოძუაშვილთან უთანხმოება კატეგორიულად უარყო და ისიც დასძინა, "ოლიმპთან" საერთო არაფერი მაქვსო.

**ლევან ჯანეზაშვილი**


ზურაბ ჯაფარიძე

ამხანაგური მატჩი

## სომხებს ვეთამაშებით?

თუ რომელ ნაკრებს შეხვდება საქართველო ამხანაგურ მატჩში, ფიფა-ს მიერ გამოყოფილ 22 აგვისტოს, ჯერჯერობით უცნობია. ფეხბურთის ფედერაციისგან ვიცით, რომ თბილისს, შეიძლება, ბრაზილიის, არგენტინის, ხორვატიის, უელსის, კოლუმბიის, პარაგვაის ან ლუქსემბურგის ნაკრებები ეწვიონ. ჯერ არაფერი ვიცით სომხეთზე. და რა შუაშია სომხეთიო, იკითხავთ, ალბათ. აი, რა ინფორმაციას ავრცელებს იქაური მედია. სომხურ საიტ "არმფუტბოლზე" მეზობელი ნაკრების მწვრთნელ **იან პორტერფილდთან** ექსკლუზიური ინტერვიუა, რომელშიც ჰოლანდიელი სპეციალისტი შემდეგს ამბობს: *"ამხანაგური მატჩისთვის მეტოქის ვინაობა ჯერ არ გაგვირკვევია. შესაძლოა, ეს საქართველოს ეროვნული ნაკრებიც იყოს"*.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ გიორგი ნემსაძესთან

## პრეზიდენტობის დიდი სურვილი მაქვს


გიორგი ნემსაძე

**დღეს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომა საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, თუ როდის ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები.**

**თარილი დადგინდება და პრეზიდენტობის მსურველებიც გამოჩნდებიან. ცნობილი მხოლოდ უეფას მედია ოფიცრის მამუკა კვარაცხელიას გადაწყვეტილებაა.**

**რას აპირებენ სხვა სავარაუდო კანდიდატები? კულუარებში ბევრს საუბრობენ საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტნის, ამჟამად კი თბილისის საკრებულოს წევრის, გიორგი ნემსაძის სურვილზე.**

**გუშინ მას დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ.**

**- მართალია თუ არა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ჩაერთვებით?**

- ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმილია, მაგრამ ამაზე ვფიქრობ.

**- თუკი სურვილი გაგაჩნიათ, საფიქრალი რა არის?**

- დასამალი არაა, რომ ქართული ფეხბურთის განვითარებაში მონაწილეობა მსურს. ჩვენი პოზიცია მე და ჩემმა მეგობრებმა აქამდეც დავაფიქსირეთ. საამისოდ საფეხბურთო სკოლა ჩამოვაყალიბეთ, სუპერთასის სპონსორები გავხდით და იგი "ფოლკსვაგენის თასად" მოინათლა. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ ფეხბურთის განვითარებას ხელს შევუწყობთ.

ახლაც არჩევნებში მონაწილეობის დიდი სურვილი გამაჩნია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი საკითხია დასაფიქრებელი.

**- თქვენი გადაწყვეტილება რაზეა დამოკიდებული?**

- ოო, ბევრ რამეზე! ჯერ ალმასკომმა ყრილობის დღე გამოაცხადოს და მერე უფრო დეტალურად ვისაუბრებ. ვითარებას გადავხედავ.

*საფეხბურთო არჩევნებში რა პოზიციას დაიკავებს "ნაციონალური მოძრაობა"? დიდი ხანია საუბრობენ ხელისუფლების უკმაყოფილებაზე და მათ ინტერესებზე. ამდენად, უინტერესო არ უნდა იყოს პარტიის გენერალური მდივნის, **დავით კირკიტაძის** კომენტარი.*

**- საფეხბურთო არჩევნები ახლოვდება და ხელისუფლების პოზიცია საინტერესოა...**

- ჯერ ყრილობა არც დანიშნულა. ძალიან კარგად ვხვდები კითხვის კონტექსტს და პირდაპირ გეტყვით, რომ ხელისუფლება საზოგადოებრივი ორგანიზაციის არჩევნებში ჩარევას არ აპირებს. საფეხბურთო სამყარომ თვითონ გადაწყვიტოს, პრეზიდენტად ვინ ურჩევნია.

**- არადა, არის ინფორმაცია, თითქოს ხელისუფლებაში ორ კანდიდატს ლობირებენ.**

- ფედერაციის არჩევნებში?! ჩვენთვის მთავარი ქართული ფეხბურთის განვითარებაა და ვინც არ უნდა აირჩიონ პრეზიდენტად, სახელმწიფოს ვალი მისი თანადგომა იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ სერგო კოტრიკაძესთან

## მჯერა, სეგრტი კარგ გუნდს ჩამოაყალიბებს

**ცოტა ხნის წინათ სანაკრებო შტაბს კურატორად ქართულ ფეხბურთში ცნობილი ფიგურა სერგო კოტრიკაძე დაემატა. ჩვენი საუბარიც მასთან ამ ფაქტმა განაპირობა...**

**- სანაკრებო შტაბში კურატორად დაინიშნეთ და ახლახან 21-წლამდელთა ნაკრებს ახლდით თურქეთში მოსამზადებელ შეკრებაზე...**

- პეტარ სეგრტისთვის 21-წლამდელთა ნაკრებში ეს პირველი უცხოური მოსამზადებელი შეკრება იყო. მას უნდოდა, ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე კონტინგენტის ფიზიკური, ტექნიკური და სხვა სპორტული მონაცემები შეესწავლა. შეკრებაზე ორი საკონტროლო მატჩი ჩავატარეთ. "რიზესფორის" ძირითად გუნდთან 0:2 წავაგეთ. პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა, მეორეში კი მეტოქემ ფიზიკურად გვაჯობა.

მეორე მატჩი "ტრაბზონსფორს" ვეთამაშეთ. "ტრაბზონსფორი" ძირითადი გუნდისა და დუბლების ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. ჩვენმა გუნდმა მაქსიმალური მობილიზებით ითამაშა და შედეგიც სახეზეა - 4:0 მოვიგეთ.

**- ამ მატჩებიდან ჩვენს გუნდში ვის გამოარჩევდით?**

- რომელიმეს გამორჩევა გამიჭირდება. თუმცა სხვებზე უკეთ ითამაშეს მეკარეებმა ლორიამ და კვასხვაძემ, მახარაძემ, გურამ კაშიამ, სანდრო კობახიძემ, მარჯვენა მცველმა ლობჟანიძემ. ასევე მცველ აკაკი ხუბუტიასაც გამოვარჩევდი, რომელიც ერთადერთი ლეგიონერი იყო ამ შეკრებაზე.


სერგო კოტრიკაძე

**- ადრე მეკარე იყავით და გოლკიპერებზე ალბათ უფრო მეტს გვეტყვით...**

- მართალი გითხრათ, მეკარეებმა ამ შეკრებაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. "რიზესფორთან" ლორიამ, "ტრაბზონსფორთან" კი კვასხვაძემ ითამაშა. ამ ორ მეკარეს რევიშვილსა და მაკარიძეს დავამატებდი. მათ ჩინებული მონაცემები აქვთ. თუ მათ სათანადოდ გააგრძელეს ზრდა-განვითარება, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ფეხბურთს საიმედო მეკარეები ეზრდება.

**- პეტარ სეგრტზე როგორც მწვრთნელზე რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- რაც ვნახე, სეგრტი მაღალი დონის მწვრთნელია. ის დავალებებს მარტივად და გასაგებ ენაზე უხსნიდა ფეხბურთელებს. აშკარად ეტყობა, რომ საქმეს გულიანად უდგება. ვარჯიშებს საკმაოდ საინტერესოდ და ხალისიანად ატარებს. ამ სახალისო ელემენტების დატვირთვა ისაა, რომ ფეხბურთელები ტონუსში იყვნენ. მოთამაშეებმა ისე უტკივნეულოდ გადაიტანეს დიდი დატვირთვები, ვერც კი იგრძნეს. საამისოდ ერთ მაგალითსაც მოგიყვანთ, ტრაბზონში ვცხოვრობდით, თავისუფალი დრო გვქონდა და ბიჭებს შესთავაზეს, თუ გინდათ ქალაქში გაისეირნეთო. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ფეხბურთელები იმდენად დაღლილნი იყვნენ, რომ ქალაქში გასეირნებაზე ყველამ უარი თქვა.

მჯერა, სეგრტი კარგ გუნდს ჩამოაყალიბებს. 21-წლამდელთა ნაკრებში პირადად ნოდარ ახალკაცის ინიციატივით ოთარ გაბელია მიიწვიეს მწვრთნელად. ის ახალგაზრდულ ნაკრებს ძალიან წაადგება.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ ოთარ გაბელიასთან

## ჯგუფიდან გასვლისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ

**21-წლამდელთა ნაკრებში მეკარეების მწვრთნელად ოთარ გაბელიას დანიშვნის ამბავი ნაკრები გუნდების კურატორმა სერგო კოტრიკაძემ გვითხრა. ამის შემდეგ გაბელიასთან გასაუბრება გადავწყვიტეთ და მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ. გაბელიას გუშინ თამაში ჰქონია და საუბარიც ამით დავიწყეთ...**

- ტურნირში ვმონაწილეობთ. ჩვენ, ვეტერანებს, დღეს "აიეტთან" გვქონდა თამაში. 5:3 მოვიგეთ. გრიგოლ ცაავამ პოკერი გააკეთა, ერთი გოლი კი ნუკრი კაკილაშვილმა გაიტანა.

**- 21-წლამდელთა ნაკრებში მეკარეების მწვრთნელად მუშაობთ. ეს ამბავი სერგო კოტრიკაძემ გვითხრა...**

- დიახ, ასეა. ახალგაზრდულ ნაკრებში ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის ინიციატივით მიმიწვიეს. პირველად თურქულ შეკრებაზე ვახლდი გუნდს. ჩვენ, ვეტერანი ფეხბურთელები, ვალდებულნი ვართ ქართული ფეხბურთის სამსახურში ვიდგეთ.

**- და რა შეგიძლიათ გვითხრათ მწვრთნელზე?**

- პეტარ სეგრტი მცოდნე და მომთხოვნი მწვრთნელი ჩანს. იოლად და მარტივ ენაზე უხსნის ფეხბურთელებს ყველაფერს. როგორც ჩანს, მას საკმაო გამოცდილება გააჩნია. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ მასთან ვმუშაობ.

**- სეგრტი ხორვატია და ფეხბურთელებთან ურთიერთობაში ენობრივი ბარიერი არ ექმნება?**

- არა, თურქეთში გელა შეყილაძეც იყო სამწვრთნელო შტაბში და თარჯიმნობას ის გვიწევდა.

**- ივნისში 21-წლამდელებს შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი იწყება. ჯგუფის მეტოქეებსა და მომდევნო ეტაპზე გასვლის პერსპექტივაზე რას იტყოდით?**

- შესარჩევი ციკლი ახალი სისტემით ტარდება. სულ ათი ჯგუფია. მომდევნო ეტაპზე ჯგუფის პირველადგილოსნები გადიან, აგრეთვე 4 საუკეთესო მეორეადგილოსანი. მეტოქეებად ესპანეთი, პოლონეთი, რუსეთი და ყაზახეთი გვყავს. ბუნებრივია, ფავორიტი ესპანეთია. მეორე ადგილისთვის კი ჩვენ რუსეთი და პოლონეთი ვიბრძოლებთ. თუმცა ყაზახეთიც არ უნდა დაგვავიწყდეს.

**- შესარჩევ ციკლს 5 ივნისს ესპანეთთან მატჩით დაიწყებთ. მანამდე ალბათ კიდევ გექნებათ მოსამზადებელი შეკრება...**

- სეზონის ბოლოს შეკრება გვექნება, მაგრამ ზუსტად როდის დავიწყებთ მზადებას ეს ჯერ არაა გადაწყვეტილი.

**- როგორც გავიგეთ ბავშვებშიც მუშაობთ...**

- დიახ, უკვე რამდენიმე თვეა, რაც ვოვა გუცაევის საფეხბურთო სკოლაში ვართ მე და შოთა ხინჩაგაშვილი. მე 1996-97 წლებში დაბადებულ ბავშვებს ვავარჯიშებ, სულ 25 ბავშვი მყავს. შოთა ხინჩაგაშვილი კი ორი წლით უმცროსებს ავარჯიშებს.

**დავით ცაბაძე**

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

გაგრა

# პარტნიორობა ბევერენთან

"გაგრა" პირველი ლიგისა და საერთოდ, ქართული ფეხბურთის ერთგვარ კოლორიტად იქცა. მსგავსი შეკრებებით და უცხოეთში მივლინებებით უმაღლესი გუნდები ვერ დაიკვეხნიან. თუმცა რად გინდა - ელიტურ ლიგაში ალზევებას "გაგრა" ვერა და ვერ ელირსა. წლეულსაც არ უჩანს საქმეს საშველი. ფაქტობრივად, გუნდს გადათამაშებაში მოხვედრის შანსიც ალარ დარჩა.

"გაგრა" ზამთარში უკრაინასა და თურქეთში ემზადებოდა. გუნდს გია გეგუჩაძე ავარჯიშებს და ბუნებრივია, მისგან ყველა გაცილებით მეტს ელოდება. "გაგრას" პრეზიდენტ ბესო ჩიხრაძესთან საუბარი ამ თემით დავიწყეთ.

**- გუნდში დიდი თანხები იდება, შედეგი კი არ ჩანს. კითხვაც შესაბამისი იბადება - რა გსურთ, რა მიზნებს ისახავთ?**

- არ დავმალავ, იგივე კითხვა მეგობრებმაც დამისვეს. რა თქმა უნდა, შედეგს ველოდით, გვინდოდა უმაღლესში გადასვლა, სამწუხაროდ, წლეულს ეს ვერ მოხერხდება.

**- რატომ?**

- რამდენიმე მიზეზია. სიმართლე გითხრათ, გია გეგუჩაძის წვალებას რომ ვუყურებ, გული მტკივა, რომ არ გვიმართლებს. ის სწორ, თანამედროვე, ლამაზ ფეხბურთს ასწავლის. თურქეთსა და უკრაინაში ხარისხიან მოედნებზე ჩავატარეთ საკონტროლო თამაშები და გამოჩნდა, რომ ჩვენი ბავშვები იზრდებიან. სამწუხაროდ, ასეთი ფეხბურთის ჩვენს მოედნებზე ჩვენება, შეუძლებელია.

**- საქართველოში ყველა ერთნაირ მოედნებზე თამაშობს და ეს ყველას ხელს უშლის. "გაგრა" გამონაკლისი არაა...**

- რა თქმა უნდა, მაგრამ საფეხბურთო ნიუანსებს რომ ჩავყვეთ, განსაკუთრებით ხელისშემშლელი ეს მათთვისაა, ვინც შემტევი, ლამაზი ფეხბურთის ჩვენებას ცდილობს.

უმაღლესში გადასვლასთან ერთად, ჩვენი მიზანი ნიჭიერი ბავშვების გაზრდაა. "გაგრას" მოთამაშეთა საშუალო ასაკი 18.5 წელია. ძირითადში 7 მოთამაშეა 17-18 წლის. შედარებით გამოცდილებს შეველიეთ. სამხარაძე პირველი ლიგისთვის გადაიზარდა, მისი გაჩერება ალარ შეიძლებოდა და "ლოკომოტივში" წავიდა. ამ კუთხით ჩვენს მისიას ვასრულებთ: 19-წლამდელთა ნაკრებში მიიწვიეს ფანცხავა, ქვრივიშვილი და თოთაძე. ამას გარდა, სეზონის დამთავრებისთანავე ბელგიის უმაღლესი დივიზიონის "ბევერენში" სამ ფეხბურთელს ვუშვებთ.


იოჰან ბოსკამპი

**- საიდან, როგორ?!**

- თებერვალში ანთალიურ შეკრებაზე გია გეგუჩაძის მეგობარმა იოჰან ბოსკამპმა ჩამოგვაკითხა, ჩვენი რამდენიმე შეხვედრა ნახა და სამი ბავშვი ძალიან მოეწონა. უფრო სწორად, ექვსი მოთამაშიდან სამს შეარჩევს. სხვათა შორის, სიტყვა-სიტყვით გეტყვით მის სიტყვებს - ერთი-ორი წელიწადი მოითმინეთ და ამ ბიჭებით ძლიერ გუნდს ჩამოაყალიბებთო. ბოსკამპი ის კაცი არაა, ვინმეს კომპლიმენტები უძღვნას.

**- "ბევერენთან" ურთიერთობა ამ სამი მოთამაშის გაშვებით შემოიფარგლება?**

- ეს საცდელი პროექტია. "ბევერენის" პრეზიდენტი დაგვიკავშირდა და ბელგიაში მიგვიწვია. იქ უფრო დეტალურად მოლაპარაკება გვექნება. თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ ამ სამზე ბევრად იქნება დამოკიდებული, ბელგიელები რა გადაწყვეტილებას მიიღებენ.

**- ბოსკამპი "ბევერენში" მუშაობს?**

- ახლა არსად არაა. უბრალოდ, მას ამ გუნდთან ძალიან კარგი ურთიერთობა გააჩნია. ბოსკამპმა ქართველების ნიჭი იცის და ეჭვი არ ეპარება, რომ "გაგრის" ბავშვებიც არ დაალალატებენ.

სხვათა შორის, "ბევერენი" გუნდი-ინკუბატორის სახელითაა ცნობილი. ეძებენ, ზრდიან ნიჭიერებს და მერე ყიდიან. თავის მხრივ, ის ლონდონის "არსენალთან" პარტნიორობს და ინგლისელები ფინანსურადაც ეხმარებიან. ანუ, თუკი ჩვენი ბავშვები ივარგებენ, შეიძლება, "არსენალშიც" მოხვდნენ, თუმცა ეს ჯერ მხოლოდ ნატვრაა.

**- საუბარია პარტნიორობაზე თუ "ბევერენის" ქართული ფარმ-კლუბის ჩამოყალიბებაზე?**

- პარტნიორობაზე. ბელგიური გუნდი ჩვენთვის ევროპული ფანჯარა უნდა გახდეს.

**- ჩვენ ის არ გვითქვამს, "ბევერენში" ვინ მიდის?**

- ჯერ არ მინდა გვარების დასახელება, ამას ბავშვები სეზონის ბოლოს თავადაც შეიტყობენ.

**- თავად ბოსკამპთან თანამშრომლობას აპირებთ?**

- ის მეგობრულად, რჩევებით გვეხმარება, "ბევერენთან" დაგვაკავშირა და ზაფხულში თბილისშიც გვესტუმრება. ამას გარდა, დაგვიკავშირდა მოსკოვის "ლოკომოტივის" პრეზიდენტი იური სიომინი და მანაც თანამშრომლობა შემოგვთავაზა.

ანთალიაში "შერიფის" მწვრთნელ ლეონიდ კუჩუკსა და წარსულში ცნობილ ფეხბურთელ იგორ დობროვოლსკისაც მოეწონათ ჩვენები. კიევში, ტურნირის დროს კი "დნეპრის" სპორტულმა დირექტორთა ვლადიმერ ემეცმა გვითხრა, სამ-ოთხი ნამდვილი ტალანტი გყავთო. ერთდროულად ამდენ სპეციალისტს არ შეიძლება შეეშალოს.

სხვათა შორის, საფრანგეთის პირველი დივიზიონის "ჰავრი" პირდაპირ კონტრაქტს სთავაზობს თავდამსხმელ ვახტანგ ფანცხავას. საუბარი არაა გასინჯვაზე. მას მასწავლებელს დაუქირავებენ, გუნდთან და ქვეყანასთან ადაპტაცია რომ არ გაუჭირდეს.

ფანცხავა 19-წლამდელთა რიგებში პორტუგალიის ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გახდა და მის მიმართ დიდი ინტერესია. მოსკოვის ცსკა-ს სელექციონერმა კიევის ტურნირის შემდეგ მასზე დაკვირვება გადაწყვიტა. მას ჩვენი მეორე თავდამსხმელი, მეტრეველიც მოეწონა და საქართველოში სურს ჩამოსვლა.

ინტერესი სხვა მოთამაშეების მიმართაც არის, მაგრამ მთავარია, მათ სწორედ შევურჩიოთ გუნდები.

**- წყალტუბოშიც გამოჩნდა "გაგრა". ამ გუნდთან რაიმე კავშირი თუ გაგაჩნიათ?**

- ესეც ჩვენი გუნდია. დასავლეთ საქართველოში ბევრი ლტოლვილია, რომელთა შეკრებასაც ტრისტან მანაგაძე ცდილობს. სხვათა შორის, წყალტუბოში დაიწყო თამაში ფანცხავამ. ამ გუნდის თანადგომას სპორტული და სოციალური კუთხით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ.

**- გაგრა" ზემო აფხაზეთში მართლა ითამაშებს?**

- დღეს ეს პრაქტიკულად, შეუძლებელია, მაგრამ გვჯერა, მალე გაგრაშიც ვითამაშებთ.

დასაწყისში მკითხეთ, შედეგები ჯერ არ გაქვთო. მე მინდა, წლების შემდეგ ჩვენთან გაზრდილმა ბავშვებმა საქართველოს ნაკრებში ითამაშონ. სამურაების კოდექსში წერია - გააკეთე როგორც საჭიროა, რაც მართებულად მიგაჩნია და იყოს ისე, როგორც იქნება. "გაგრა" უმაღლესში ვერ გადადის? საწყენია, მაგრამ იყოს, როგორც არის. წლების შემდეგ საქართველოს ნაკრებში "გაგრის" მოთამაშეებს რომ მიიწვევენ, ეს იქნება წარმატება. კლაუს ტოპმიოლერი ფანცხავას პირველი ნაკრების პოტენციურ ფეხბურთელად მიიჩნევს.

**მერაბ მამულაშვილი**

## ახალციხელთა უმაღლესლიგური სამზადისი

პირველ ლიგაში მოვლენები იმგვარად ვითარდება, რომ "მესხეთი" უმაღლესი ლიგის საგზურს ყოველ მიზეზგარეშე მოიპოვებს. ბუნებრივია, უმაღლესში ღირსეულად ასპარეზობას სხვაგვარი მომზადება სჭირდება და ახალციხელებიც საამისო თადარიგს ნელ-ნელა იჭერენ.

კლუბის ხელმძღვანელობა მომავალი სეზონისთვის სტადიონის რეკონსტრუქციას აპირებს. დაგეგმილია ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება და რაც მთავარია, გაზონის შეცვლა. ისიც სავარაუდოა, რომ მოედანზე ახალი თაობის ხელოვნური საფარი დააგონ.

ყველაფერთან ერთად, არსებობს სერიოზული პრობლემაც. საქმე ისაა, რომ ამ ეტაპზე კლუბს რაიონული მუნიციპალიტეტი აფინანსებს, თუმცა შესაძლოა, მომავალი წლიდან "მესხეთის" ბიუჯეტი შეუმცირდეს. გართულებების თავის ასაცილებლად, კლუბი სპონსორების ძიებაშია. დაფინანსებას საჭიროებს "მესხეთი 2"-იც, რომლის რიგებშიც ადგილობრივი ფეხბურთელები თამაშობენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

**გადადებული მატჩები**

| | |
|---|---|
| რაჭა-სამტრედია | 2:1 |
| მეშახტე-ჩიხურა 2 | 3:1 |
| ნ. დინამო-ზესტაფონი 2 | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მგლები | 25 | 19 | 2 | 4 | 43-14 | 59 |
| 2. მესხეთი | 25 | 17 | 4 | 4 | 46-14 | 55 |
| 3. ოლიმპი | 26 | 13 | 5 | 8 | 46-29 | 44 |
| 4. მეშაძრე | 26 | 12 | 8 | 6 | 31-22 | 44 |
| 5. ამერი 2 | 26 | 11 | 9 | 6 | 41-29 | 42 |
| 6. მალაროელი | 26 | 11 | 7 | 8 | 37-29 | 40 |
| 7. ვიტ ჯორ. 2 | 25 | 11 | 6 | 8 | 38-21 | 39 |
| 8. გაგრა | 26 | 11 | 5 | 10 | 35-31 | 38 |
| 9. ნ. დინამო | 25 | 11 | 4 | 10 | 37-35 | 37 |
| 10. სამტრედია | 26 | 10 | 7 | 9 | 26-33 | 37 |
| 11. მეშახტე | 25 | 10 | 5 | 10 | 37-32 | 36 |
| 12. დინამო 2 | 25 | 9 | 7 | 9 | 44-25 | 34 |
| 13. ზესტაფ. 2 | 25 | 7 | 10 | 8 | 24-25 | 31 |
| 14. რაჭა | 25 | 6 | 8 | 11 | 25-39 | 26 |
| 15. სპარტაკი | 26 | 7 | 3 | 15 | 17-38 | 24 |
| 16. ჩიხურა 2 | 26 | 6 | 5 | 15 | 23-48 | 23 |
| 17. გურია | 26 | 5 | 5 | 16 | 23-56 | 20 |
| 18. მერცხალი | 25 | 2 | 4 | 19 | 16-67 | 10 |

## საფეხბურთო კლუბ დინამო თბილისის განცხადება

გავეცანით გაზეთ "ოლიმპის" 2007 წლის 12 აპრილის ნომერში ჩვენი კლუბის მისამართით დასმულ შეურაცხმყოფელ კითხვებს, რომელიც გამიზნულია საფეხბურთო კლუბ "დინამო" თბილისის დისკრედიტაციისთვის.

"დინამოს" ბედილბლით "შეწუხებული" ავტორიგამიზნულად მოგონილ გარემოებებზე აგებულ წერილს, ჩვენი გუნდისთვის პრინციპული მატჩის წინ ბეჭდავს გაზეთ "ოლიმპში", რომელიც ალბათ არამხოლოდ ჩვენთვის საფეხბურთო კლუბ "ოლიმპთან" ასოცირდება.

სამწუხაროა, რომ სპორტულმა კონკურენციამ საფეხბურთო მოედნიდან მსგავსი ფორმით გადაინაცვლა პრესის ფურცლებზე.

საფეხბურთო კლუბი "დინამო" თბილისი მუდამ მზად არის ითანამშრომლოს ნებისმიერ იურიდიულ თუ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირებთან ქართული ფეხბურთისთვის მავნე და ზიანის მომტანი ყოველგვარი საქმიანობის გამოსააშკარავებლად. ამავდროულად ვიტოვებთ უფლებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დავიცვათ თავი საფუძველს მოკლებული ბრალდებებისა და ცილისწამებისგან.

საფეხბურთო კლუბი
"დინამო" თბილისი

## თარიღი

**რევაზ ძოძუაშვილი.** დაიბადა 15.04.1945, ქუთაისი. ფეხბურთი, მცველი. თამაშობდა ქუთაისის "იმერეთში" (1962), თბილისის "დინამოში" (1963, 1968-76), ქუთაისის "ტორპედოსა" (1964, 1966-67) და სოხუმის "დინამოში" (1964-65). სსრკ ნაკრებში ჩაატარა 49 მატჩი. ევროპის ჩემპიონატის მეორე (1972) და ოლიმპიური თამაშების (1972) მესამე პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე (1970). სსრკ უმაღლეს ლიგაში ითამაშა 301 მატჩი (5 გოლი). სსრკ ჩემპიონატის ოთხგზის მესამე პრიზიორი (1969, 71, 72, 76 გაზაფხული). იყო თბილისის ასკ-ის (1976), სამტრედიის "ლოკომოტივის" (1977), ქუთაისის "ტორპედოს" (1978, 1988-89, 2001-02), ფოთის "კოლხეთის" (1979), თბილისის "დინამოს" (1991-93), რუსთავის "მეტალურგის" (1993-95), შეპეტოვკის "ტემპის" (უკრაინა, 1995), ლატვიის ნაკრების (1998-99), თბილისის "ლოკომოტივის" (1999-2000), საქართველოს ნაკრების (1999-2001 - დავით ყიფიანთან ერთად), ელისტის "ურალანის" (რუსეთი, 2002), ვლადიკავკაზის "ალანიისა" (რუსეთი, 2003) და მახაჩყალის "დინამოს" (რუსეთი, 2005) მთავარი მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით თბილისის "დინამო" (1991, 92) და ქუთაისის "ტორპედო" (2001, 02) ორ-ორჯერ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები, ხოლო თბილისის "დინამომ" (1992), თბილისის "ლოკომოტივმა" (2000) და ქუთაისის "ტორპედომ" (2001) საქართველოს თასი მოიპოვეს. 2005 წლიდან ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მრჩეველია. რუსთავის "ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი 2007 წლიდან.

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge


ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

# ბოლო წუთების ფაქტორი

განვლილ ტურში სამი ისეთი მატჩი იყო, ცენტრალურიც შეიძლებოდა დაგვერქმია, პრინციპულიცა და გადამწყვეტიც. სამივეში უშელავათო ბრძოლა იყო, თუმცა, სანახაობის მხრივ, "დინამო"-"ზესტაფონის" დაპირისპირებამ დარჩენილი ორი აშკარად გადაწონა. შესაძლოა, უცნაურ დამთხვევასთან გვქონდეს საქმე, მაგრამ სამივე ამ შეხვედრაში კულმინაციამ ბოლო წუთებზე მიაღწია ; უფრო ზუსტად, ბოლო წამებზე...

...შაბათსაც აღვნიშნეთ, რომ არავინ იცის, სეზონის ბოლოსთვის რა ფასი დაედება "ზესტაფონის" 18 წლის ფორვარდის, **ბექა გოცირიძის** გოლს. ტრავმამოშუშებულმა გოცირიძემ თავის გუნდს ქულაც მოუტანა და ევროტურნირებზე მოხვედრის შანსიც შეუნარჩუნა; სამაგიეროდ, მანამდე უდანაკარგოდ მოასპარეზე "დინამოს" კი "ოლიმპთან" დაწევის შანსი მოუსპო. არადა, "დინამო" ძალიან ახლოს იყო ძვირფასზე-ძვირფას სამ ქულასთან - ბოლო წამებზე გაშვებულ გოლამდე **სანდრო იაშვილმა** პენალტი ააცილა. არა უშავს, მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდებს მოსვლიათ მსგავსი რამ და ამ ნიჭიერმა ფორვარდმაც გული არ უნდა გაიტეხოს. ისე კი, შესაძლოა, ვინმე შემოგვედავოს, მაგრამ, მაინც მიგვაჩნია, რომ "მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონზე ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა. ანუ, "ზესტაფონი" წაგებას არ იმსახურებდა! არ იმსახურებდა ერთობ გამართული და საზრიანი თამაშის გამოც (განსაკუთრებით - მეორე ტაიმში), აღარაფერს ვამბობთ მწვრთნელის ალღოზე. ვინ მოსთვლის, უკვე მერამდენე გუნდში წარმატებული მუშაობით ამტკიცებს თავის მაღალ კვალიფიკაციას **თემურ მახარაძე;** თანაც, რაც ყველაზე მთავარია, მის განვრთნილ გუნდებს საკუთარი ხელწერაც აქვთ და ტაქტიკური მრავალფეროვნებითაც გამოირჩევიან. ახლა "ზესტაფონი" ერთდროულად ორ "ფრონტზე" იბრძვის და ორივეგან წარმატების შანსიც აქვს. თანაც, იმავე "დინამოსგან" განსხვავებით "ზესტაფონს" გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს და მახარაძეც შემადგენლობის როტაციას (უკანა ხაზის გარდა) ხშირად მიმართავს. ისე, როგორი ფუფუნებაა, როცა "დინამოსთან" **გოგა ფიფიას** გარეშე ითამაშებ? ამ შეხვედრაში ფიფია თადარიგში იყო, მაგრამ, მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მახარაძემ მის შეუძლოდ ყოფნაზეც ისაუბრა და იმაზეც, რომ "ზესტაფონს" წინ თასის ნახევარფინალი აქვს. ანუ, არ დააკონკრეტა, თორემ, ალბათ, ის იგულისხმა, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი დავასვენეო ("დინამოსთან?!)...

..."დინამოზე" ბევრს არ ვისაუბრებთ; ჯერ იმას ვიტყვით, რომ ეს იყო **დუშან უჰრინის** გუნდის პირველი ფრე ამ ჩემპიონატში! ისე კი, ალბათ, დროა, რომ ამ გამოცდილი ჩეხი სპეციალისტის დამოძღვრილმა გუნდმა პრინციპული მატჩების მოგება ისწავლოს...

...არანაკლებ ინტერესს იწვევდა შეხვედრა მცხეთაშიც, სადაც ერთპიროვნული ლიდერი ბოლო წუთებზე წაგებას გადაურჩა - მასპინძელთა ახალგაზრდა ფეხბურთელი **გიგა ბეჭვაია** მეტოქის მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. აი, ეს იყო ამ შეხვედრაში ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი, თუ არ ჩავთვლით მატჩის დასრულების მერე ორივე გუნდის ფეხბურთელთა შელაპარაკებას. საბედნიეროდ, ყველაფერი მალე და, რაც მთავარია, მშვიდობიანად დასრულდა. არ დავმალავთ, ამ შეხვედრას პირველი წრის დაპირისპირების "აჩრდილიც" ახლდა - ალბათ, გეხსომებათ, მართლაც ამაზრზენი ფაქტი რომ მოხდა რუსთაველის მატჩის შემდეგ. თუმცა მას მერე ორივე გუნდში ბევრი რამ (და ვინმე) შეიცვალა. არადა, ის, პირველი წრის მატჩი ნამეტნავად ლამაზი იყო და იმასაც შეგახსენებთ, თუ რა ზღაპრულად ითამაშა მაშინ "ოლიმპის" მაშინდელმა ძირითადმა მეკარემ **მიხეილ ალავიძემ.**

...მესამე მატჩშიც ბოლოს გადაწყდა ყველაფერი - "ამერისა" და, ალბათ, საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ნახევარმცველმა **დავით ბოლქვაძემ** მსაჯის მიერ დამატებულ ბოლო წუთზე გაიტანა გამარჯვების მომტანი გოლი. მართალია, ეს გოლი ამ შეხვედრაში ერთადერთი აღმოჩნდა, მაგრამ გლდანის სტადიონზე შეკრებილ ქომაგებს ნამდვილად არ მოუწყენიათ - თამაში სანახაობრივიც გამოდგა და სახიფათო მომენტებითაც დახუნძლული. არადა, ალბათ, ბევრი ფიქრობდა, რომ მეტოქეები ერთმანეთს "რალაცეებს" დაუმალავდნენ - "ამერი" და "სიონი" ოთხ დღეში ხომ ერთმანეთს ნახევარფინალში ხვდებიან. თუმცა მასპინძლებს ჩემპიონატშიც შემორჩათ მოტივაცია და ამ გამარჯვებით სატურნირო მდგომარეობა შესამჩნევად გაიუმჯობესეს. ამ მართლაც ლამაზ შეხვედრას ერთადერთი ნაკლი ჰქონდა - ორივე გუნდის ფეხბურთელებმა უამრავი მომენტი გააცუდეს. მაგრამ ფეხბურთში რომ ყველა დარტყმა გოლით სრულდებოდეს, მაშინ ფეხბურთს თავის ხიბლი დაეკარგებოდა...

სხვა ამ ტურში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა: "დილა" რომ "კახეთს" მოუგებდა, ყველასათვის ცხადი იყო; ისევე როგორც, ადვილად პროგნოზირებადი გახლდათ "ბორჯომის" გამარჯვება პრობლემებმოძალებულ "ტორპედოსთან". ძალზედ საჭირო სამი ქულა მოიპოვა "ჩიხურამ", თანაც უშუალო კონკურენტ "მერანთან". ცალკე უნდა აღვნიშნოთ "ლოკომოტივის" სტუმრად გამარჯვება მეორე წრის გუნდ-აღმოჩენასთან - "ბათუმთან". თანაც, ეს იყო **გიორგი კიკნაძის** პირველი მოგება ახალ გუნდში მისვლის მერე.

დაბოლოს, ტურის კიდევ რამდენიმე "უცნაურობაზეც" - ოთხ შეხვედრაში პენალტი დაინიშნა, ერთობ იკლო ყვითელმა ბარათებმა და არავინ გაუძევებიათ! სამსაჯო კორპუსში "მოწყალებისა" თუ "სათნოების" დღეები ნამდვილად არა გვგონია რომ იყოს, მაგრამ რეალობასაც ვერსად გავექცევით...

**გია ტუხაშვილი**

| სულ | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 20 | 15 | 4 | 1 | 45-6 | 49 |
| 2. დინამო | 20 | 15 | 1 | 4 | 41-17 | 46 |
| 3. ამერი | 20 | 13 | 4 | 3 | 35-12 | 43 |
| 4. ზესტაფონი | 20 | 12 | 7 | 1 | 39-8 | 43 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 20 | 11 | 6 | 3 | 38-23 | 39 |
| 6. სიონი | 20 | 10 | 2 | 8 | 25-17 | 32 |
| 7. ტორპედო | 20 | 8 | 4 | 8 | 19-22 | 28 |
| 8. ბორჯომი | 20 | 6 | 5 | 9 | 22-30 | 23 |
| 9. ბათუმი | 20 | 6 | 4 | 10 | 19-23 | 22 |
| 10. ლოკომოტივი | 20 | 5 | 5 | 10 | 13-26 | 20 |
| 11. ჩიხურა | 20 | 4 | 6 | 10 | 12-27 | 18 |
| 12. მერანი | 20 | 4 | 6 | 10 | 14-31 | 18 |
| 13. დილა | 20 | 2 | 3 | 15 | 13-49 | 9 |
| 14. კახეთი | 20 | 0 | 1 | 19 | 16-60 | 1 |

| შინ | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 10 | 9 | 1 | 0 | 27-3 | 28 |
| 2. ამერი | 10 | 9 | 2 | 0 | 18-3 | 26 |
| 3. დინამო | 10 | 8 | 1 | 1 | 21-7 | 25 |
| 4. ზესტაფონი | 10 | 7 | 3 | 0 | 22-1 | 24 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 10 | 7 | 3 | 0 | 23-9 | 24 |
| 6. სიონი | 10 | 6 | 1 | 3 | 16-5 | 19 |
| 7. ტორპედო | 10 | 5 | 2 | 3 | 11-10 | 17 |
| 8. ბორჯომი | 10 | 4 | 3 | 3 | 16-15 | 15 |
| 9. ლოკომოტივი | 10 | 4 | 2 | 4 | 9-12 | 14 |
| 10. ბათუმი | 10 | 4 | 1 | 5 | 12-10 | 13 |
| 11. ჩიხურა | 10 | 3 | 4 | 3 | 7-10 | 13 |
| 12. მერანი | 10 | 1 | 4 | 5 | 5-16 | 7 |
| 13. დილა | 10 | 2 | 1 | 7 | 6-22 | 7 |
| 14. კახეთი | 10 | 0 | 1 | 9 | 9-25 | 1 |

| სტუმრად | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 10 | 7 | 0 | 3 | 20-10 | 21 |
| 2. ოლიმპი | 10 | 6 | 3 | 1 | 18-3 | 21 |
| 3. ზესტაფონი | 10 | 5 | 4 | 1 | 17-7 | 19 |
| 4. ამერი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-9 | 17 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 10 | 4 | 3 | 3 | 15-14 | 15 |
| 6. სიონი | 10 | 4 | 1 | 5 | 9-12 | 13 |
| 7. ტორპედო | 10 | 3 | 2 | 5 | 8-12 | 11 |
| 8. მერანი | 10 | 3 | 2 | 5 | 9-15 | 11 |
| 9. ბათუმი | 10 | 2 | 3 | 5 | 7-12 | 9 |
| 10. ბორჯომი | 10 | 2 | 2 | 6 | 6-15 | 8 |
| 11. ჩიხურა | 10 | 1 | 2 | 7 | 5-17 | 5 |
| 12. ლოკომოტივი | 10 | 1 | 3 | 6 | 4-14 | 6 |
| 13. დილა | 10 | 0 | 2 | 9 | 7-27 | 2 |
| 14. კახეთი | 10 | 0 | 0 | 10 | 7-35 | 0 |

## ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ს. იაშვილი (დინამო) | 14 |
| 2 | ფიფია (ზესტაფონი) | 12 |
| 3 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 10 |
| 4 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 8 |
| 5-9 | იონანიძე (ზესტაფონი) | 7 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| | დოლიძე (ამერი) | 7 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 7 |
| 10 | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 6 |
| 11-19 | ა. ალავიძე (სიონი) | 5 |
| | ჩასემი (სიონი) | 5 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 5 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 5 |
| | ვ. კვარაცხელია (ოლიმპი/ბათუმი) | 5 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 5 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 5 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 5 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 5 |

## გოლი+პასი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ს. იაშვილი (დინამო) | 17 (14+3) |
| 2 | ფიფია (ზესტაფონი) | 16 (12+4) |
| 3 | ფეიქრიშვილი (ვიტ/დინ.) | 14 (7+7) |
| 4 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 12 (10+2) |
| 5-6 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 11 (8+3) |
| | დოლიძე (ამერი) | 11 (7+4) |
| 7 | იონანიძე (ზესტაფონი) | 10 (7+3) |
| 8-12 | ტატანაშვილი (ამერი) | 9 (7+2) |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 9 (5+4) |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 9 (5+4) |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 9 (6+3) |
| | აფციაური (ოლიმპი) | 9 (4+5) |

## რეალიზებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-4 | საჯაია (ზესტაფონი) | 3 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 3 |
| | გ. ონიანი (ოლიმპი) | 3 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 3 |
| 5-6 | ს. იაშვილი (დინამო) | 2 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 2 |
| 7-18 | შ. კაშია (დინამო) | 1 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ბაქრაძე (ბორჯომი) | 1 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 1 |
| | იმედაძე (ზესტ.ი/ტორპედო) | 1 |
| | ბესარაშვილი (მერანი) | 1 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 1 |

## ავტოგოლი

| | | |
|---|---|---|
| 1-3 | გიგაური (დინამო) | 1 |
| | შ. ლონდაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ლ. გრიგალაშვილი (მერანი) | 1 |

## გაცუდებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ს. იაშვილი (დინამო) | 3 |
| 2-10 | ტიაგო (ბათუმი) | 1 |
| | შ. კაშია (დინამო) | 1 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომოტივი) | 1 |
| | გულორდავა (ლოკომოტივი) | 1 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია/დინ.) | 1 |
| | გაგუა (მერანი) | 1 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 1 |
| | გონჩაროვი (დილა) | 1 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |

## მოგერიებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-7 | ქვაჩახია (ამერი) | 1 |
| | ცინაძე (კახეთი) | 1 |
| | სეფიაშვილი (მერანი) | 1 |
| | ილურიძე (დილა) | 1 |
| | თოთლაძე (ბათუმი) | 1 |
| | მამალაძე (სიონი) | 1 |
| | გ. იაშვილი (კახეთი) | 1 |

## შემცვლელთა გოლები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტატანაშვილი (ამერი) | 5 |
| 2-4 | ვ.კვარაცხელია (ოლიმპი/ბათ.) | 3 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 3 |
| | ტულუში (ბათუმი) | 3 |
| 5-12 | ფიფია (ზესტაფონი) | 2 |
| | ძემაშვილი (მერანი) | 2 |
| | კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯორ.) | 2 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 2 |
| | ბეჟანიძე (ბათუმი) | 2 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ბენაშვილი (ზესტაფონი) | 2 |
| | ჩიმაკაძე (ამერი) | 2 |
| 12-33 | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | დოლიძე (ამერი) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | გალობრე (ბათუმი) | 1 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 1 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 1 |
| | სევასტოპულო (ამერი) | 1 |
| | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ხუციშვილი (დინამო) | 1 |
| | ხოჯავა (ოლიმპი) | 1 |
| | მჭედლიშვილი (ამერი) | 1 |
| | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | მ.ლონდაძე (ტორპედო) | 1 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 1 |
| | მუმკულიანი (ტორპედო) | 1 |
| | ალავერდაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ფურცელაძე (მერანი) | 1 |
| | ბ. ნოზაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ხუბუა (ოლიმპი) | 1 |
| | ბ. გოცირიძე (ზესტაფონი) | 1 |

## ყვითელი ბარათები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბესარაშვილი (მერანი) | 8 |
| 2-7 | დოლიძე (ამერი) | 6 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 6 |
| | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 6 |
| | ცანავა (ბათუმი) | 6 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 6 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 6 |

## წითელი ბარათები

| | | |
|---|---|---|
| 1-27 | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ჯინჭარაძე (ბათუმი) | 1 |
| | კარსანიძე (მერანი) | 1 |
| | გ. კვახაძე (ლოკომოტივი) | 1 |
| | ელბაქიძე (ამერი) | 1 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 1 |
| | ქარქუზაშვილი (ბორჯომი) | 1 |
| | სანიკიძე (ჩიხურა/სიონი) | 1 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ბესარაშვილი (მერანი) | 1 |
| | პ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ლაბაძე (ბორჯომი) | 1 |
| | აბრამიშვილი (დილა) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | მახვილაძე (ოლიმპი) | 1 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ნ. ნოზაძე (დილა) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | მახარაძე (ჩიხურა) | 1 |
| | კედელაშვილი (ამერი/მერანი) | 1 |
| | დობროვოლსკი (ამერი) | 1 |
| | საპაროვიჩი (დინამო) | 1 |
| | კობახიძე (დილა) | 1 |
| | მალიჩავა (ლოკომოტივი) | 1 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | კოდალაევი (ტორპედო/ბორჯომი) | 1 |

## დუბლი

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 3 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 3 |
| 3-4 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 2 |
| 5-24 | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 1 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ლომაია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 1 |
| | დ. გოგოლაძე (ბათუმი) | 1 |
| | არუდაშვილი (კახეთი) | 1 |
| | ძიბაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | ვ. კვარაცხელია (ოლიმპი/ბათუმი) | 1 |
| | მუმკულიანი (ტორპედო) | 1 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ევოჩე (სიონი) | 1 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 1 |
| | ა. ნოზაძე (მერანი) | 1 |
| | იმედაძე (ზესტაფონი/ტორპედო) | 1 |
| | ნ. კვასხვაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 1 |

## ჰეთ-თრიქი

| | | |
|---|---|---|
| 1-7 | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორ.) | 1 |
| | ბენაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | ტულუში (ბათუმი) | 1 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 1 |

## XX ტურის სიმბოლური ნაკრები




## მეკარეთა მშრალი სერიები (წუთი)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 829 |
| 2 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 769 |
| 3 | ქვაჩახია (ამერი) | 520 |
| 4 | ქვაჩახია (ამერი) | 454 |
| 5 | სტურუა (დინამო/ჩიხურა) | 378 |
| 6 | კოდალაევი (ტორ./ბორჯომი) | 342 |
| 7 | ქვილითაია (ტორპედო) | 339 |
| 8 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 306 |
| 9 | ბათიაშვილი (სიონი) | 305 |
| 10 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 302 |

## მიმდინარე მშრალი სერიები

| | | |
|---|---|---|
| 1 | სტურუა (დინამო/ჩიხურა) | 378 |
| 2 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 286 |
| 3 | მერლანი (ოლიმპი) | 285 |
| 4 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 207 |
| 5 | ქვაჩახია (ამერი) | 195 |

## საგოლე პასები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 7 |
| 2 | დიღმელაშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 6 |
| 3 | აფციაური (ოლიმპი) | 5 |
| 4-11 | ს. დავითაშვილი (ამერი) | 4 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 4 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 4 |
| | ჯელაძე (ამერი) | 4 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომ.) | 4 |
| | დოლიძე (ამერი) | 4 |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 4 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 4 |

## ყველაზე ხშირი ანგარიშები

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | 0:0 | 18 |
| | 1:0 | 18 |
| 3 | 0:1 | 15 |
| 4 | 2:0 | 11 |
| 5 | 3:0 | 10 |
| 6 | 2:1 | 8 |
| 7 | 3:1 | 7 |
| 8 | 1:1 | 6 |
| 9 | 0:3 | 5 |

## არბიტრები

(მატჩების რაოდენობა)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვადაჭკორია | 13 |
| 2-3 | ფანიაშვილი | 12 |
| | ხარიტონაშვილი | 12 |
| 4-6 | კვარაცხელია | 11 |
| | სილაგავა | 11 |
| | მაისურაძე | 11 |
| 7-8 | კრიჭაშვილი | 10 |
| | ბუქლიშვილი | 10 |
| 9 | სანაია | 9 |
| 10 | კიკაჩეიშვილი | 8 |
| 11-13 | პ. დობრაშვილი | 6 |
| | ხეცაძე | 6 |
| | ჭაჭუა | 6 |
| 14-15 | წონიკაშვილი | 5 |
| | ბუიშვილი | 5 |
| 16 | ელისაბედაშვილი | 4 |

## ყველაზე დიდი სხვაობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპი-კახეთი | 7:0 | (II ტური) |
| 2 | დილა-ვიტ ჯორჯია | 0:6 | (XII ტური) |
| 3-7 | დინამო-დილა | 6:1 | (II ტური) |
| | სიონი-კახეთი | 5:0 | (X ტური) |
| | კახეთი-ოლიმპი | 0:5 | (XV ტური) |
| | ზესტაფ.-ვიტ ჯ. | 5:0 | (XVII ტური) |
| | ტორპედო-დინამო | 0:5 | (XVII ტური) |

**გასულ ტურში**

17 გოლი
(საშუალოდ მატჩში 2.42)

19 ყვითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 2.71)

0 წითელი ბარათი

**ჩემპიონატში**

351 გოლი
(საშუალოდ მატჩში 2.50)

418 ყვითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 2.98)

27 წითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 0.19)

ქართული ლეგიონი

# ორი პენალტი და პირველი გოლი თამაშიდან

## SOS! ქართველები დუბლებში



ალკმაარმა გამარჯვება შოთას მიერ გატანილი პენალტით მოიპოვა



კალაძემ (4) მაზიელოს გოლის გატანაში ხელი ვერ შეუშალა



ამისულაშვილი ერთადერთია ქართველთაგან, რომელიც სტაბილურად თამაშობს

**გ**ასულ უქმეებზე სამი ქართული გოლი გავიდა: შოთა არველაძემ (ჰოლანდია) და ალექსანდრე იაშვილმა (გერმანია) პენალტები გაიტანეს, ხოლო გიორგი ჭელიძემ უკრაინის ჩემპიონატში პირველი გოლი თამაშიდან შეაგდო. უარყოფითიც - უკრაინასა და რუსეთში ქართველები სულ უფრო ხშირად ირიყებიან დუბლებში, თანაც უმეტესად ეროვნული ნაკრების ნევრები...

სერია A-ში "მილანი" "მესინას" ესტუმრა და 3:1 აჯობა. ყველა სტატისტიკურ დავთარში მილანელთა პირველი გოლის ავტორად კაკაა დაფიქსირებული, თუმცა ჩვენ შეგვიძლია საფუძვლიანი ეჭვი შევიტანოთ ამის სისწორეში, ბრაზილიელის დარტყმულს ტრაექტორია მცირედით კახა კალაძის თავმა შეუცვალა და ბურთიც მხოლოდ ამის შემდეგ გავიდა მასპინძელთა კარის მარჯვენა დაბალ კუთხეში. "მილანი" კვლავ მეხუთეა სერია A-ში.

**ზურაბ ხიზანიშვილის** "ბლექბერნ როვერსმა" ინგლისის ასოციაციის თასზე დასანანი მარცხი განიცადა, ნახევარფინალში "ჩელსის" წინააღმდეგ ძირითადი დრო 1:1 დამთავრდა, დამატებითში კი "არისტოკრატებს" **მიხაელ ბალაკმა** მოაგებინა. ფინალში "ჩელსი" "მანჩესტერ იუნაიტედს" დაუპირისპირდება. მოგეხსენებათ, ზურა ტრავმირებულია და ის საკუთარ კლუბს ვერ ეხმარება.

სტუმრად "მაინცთან" 3:0 მოგებამ კიდევ უფრო მოუახლოვა საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი **ლევან კობიაშვილი** ბუნდესლიგის ჩემპიონობასთან. შეგახსენებთ, რომ ქართველ ფეხბურთელებს ამ ჩემპიონატის ბრინჯაოს (კახა ცხადაძე, 1993) და ვერცხლის მედლები (ლევან კობიაშვილი, 2005) უკვე მოპოვებული აქვთ, ჯერი ოქროზეა. "შალკეს" 29 თამაშიდან 59 ქულა აქვს, თუმცა ქართველ ფეხბურთელს ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდა გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების ნევრის **მესუთ იოზილის** სახით. ის ჯერ 18 წლისაა, თუმცა "შალკეს" ფანების ნაწილი ("ხუმარათა" ფორუმებზე დაყრდნობით) უკვე ითხოვს კობიაშვილის იოზილით ჩანაცვლებას, რადგან ის უფრო შემტევია. სლომკამ "მაინცთან" სასტარტოში იოზილი არჩია, რომელიც კობიმ 67-ე წუთზე შეცვალა.

მეორე ბუნდესლიგაში ძალზე მნიშვნელოვანი საგარეო მოგება იზეიმა **ფოლკერ ფინკეს** "ფრაიბურგმა", სამხრეთელებმა "კიოლნი" 3:0 გაანადგურეს. გერმანული მედია წერს, რომ გადამწყვეტი მატჩის 49-ე წუთი აღმოჩნდა, როცა **ალექსანდრე იაშვილმა** პენალტით ანგარიში 2:0 გახადა. ქართველ ფორვარდს ჩემპიონატში 9 გოლი და 12 საგოლე პასი აქვს. **ოთარ ხიზანეიშვილი** კვლავ ტრავმირებულია. "ფრაიბურგს" 51 ქულა აქვს და მეოთხეა. დღეს იენაში ქართული დაპირისპირება გველის - **მიხეილ აშვეთიას** და **გიორგი ლომაიას** "კარლ ცაისი" **დავით სირაძის** "აუეს" მასპინძლობს. აშვეთიასა და ლომაიას თამაში საეჭვოა.

ჰოლანდიაში სტატუს-კვო შენარჩუნდა, სამივე ლიდერმა მოიგო, ყველაზე მეტად კი "ალკმაარს" გაუჭირდა. რომ არა **შოთა არველაძის** გოლი ათკაციანი "ვიტესი" არნემში ქულადამშვენებული დაბრუნდებოდა. 23-ე წუთზე შოთამ მატჩის ერთადერთი და სეზონში მე-14 გოლი გაიტანა. სხვათა შორის, პენალტი ქართველი ფორვარდის წაქცევისთვის დაინიშნა.

ორკვირიანი იძულებითი შესვენების შემდეგ (ფრენბურთის მატჩისას მომხდარი ტრაგედიის გამო) საბერძნეთში განახლდა ჩამკვდარი სპორტული ცხოვრება. **ლევან ცქიტიშვილის** "პანიონიოსმა" 1:0 აჯობა სტუმრად "ატრომიტოსს". ლევანმა 56-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო. მანამდე სამი წუთით ადრე კი გამარჯვების გოლის თანაავტორი გახდა. **ლევან მაღრაძის** "ქსანთი" სტუმრად 0:1 დამარცხდა პაოკ-თან. ქართველმა მცველმა სრულად ითამაშა. "პანიონიოსი" 39 ქულით მეხუთე ადგილზეა, ხოლო "ქსანთი" 32 ქულით - მეთერთმეტე.

უკრაინის ჩემპიონატის 22-ე ტური ხარკოვში "მეტალისტი"-"მეტალურგის" მატჩით განახლდა, ზაპოროჟიელთა ქართველებმა თავი ყვითელი ბარათებით დაგვამახსოვრეს: პირველ ტაიმში მსაჯმა **დავით კვირკველია** გააფრთხილა, ხოლო მეორეში - **ირაკლი მოდებაძე**. მოდებაძე სიმულაციისთვის გააფრთხილეს, კვირკველია კი სასტვენის შემდეგ დარტყმისთვის. სტუმრებმა მსაჯის მიერ წამატებულ წუთზე გატანილი გოლით წააგეს. "ილიჩივეცმა" მედგარი ბრძოლა გაუმართა ლიდერ კიევის "დინამოს" - 2:3. არც ერთ კლუბში ქართველს არ უთამაშია. ალბათ, დროა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ქართული ტრიო კიევის "დინამოს" ძირითადი გუნდის სრულუფლებიანი ნევრი არ არის. ამ კლუბების დუბლების მატჩში (2:0 კიეველთა სასარგებლოდ), **კახა ალადაშვილმა** სრულად ითამაშა, **ოთარ მარცვალაძემ** - ბოლო 4 წუთი, ხოლო **დავით იმედაშვილი** სათადარიგო იყო. მასპინძელთა რიგებში **გიორგი ციმაკურიძემ** პირველი ტაიმი ითამაშა (გააფრთხილეს). არც დონეცკის "მეტალურგისა" და ოდესის "ჩერნომორეცის" მატჩში ყოფილა ქართველი. **გიორგი დემეტრაძისგან** განსხვავებით, **ილია კანდელაკი** სათადარიგო მაინც იყო. დემეტრაძემ წინა დღით დუბლებში ითამაშა (1:2). "დნიპრომ" შინ "ხარკოვი" 1:0 დაამარცხა. **ჯაბა კანკავამ** 37-ე წუთზე მეტოქის კარის ძელი შეაზანზარა. კიევის "არსენალი" შინ 1:3 დამარცხდა "სტალთან", **ლაშა ჯაკობიამ** შეუცვლელად, მაგრამ პასიურად ითამაშა. დაბოლოს, უკრაინის ტურის მიმოხილვას იმით დავასრულებთ, რითაც ალბათ უნდა დაგვეწყო კიდეც. ბოლო მატჩის ბოლო წუთზე "ზარიას" **გიორგი ჭელიძის** გოლმა გაამარჯვებინა "კრივბასზე", ეს ახალგაზრდა ქართველი ფორვარდის პირველი გოლია უკრაინის ჩემპიონატში. გიორგი სულ რაღაც 10 წუთით ადრე შევიდა მოედანზე. სტუმართა რიგებში 90 წუთი ითამაშა **ვასილ გიგიაძემ**, **ლადო ბურდული** კი სათადარიგო იყო. ცოტა არ იყოს, შემაშფოთებელია, როცა ეროვნული ნაკრების ნევრობის ექვსი კანდიდატი არცთუ ძლიერი ჩემპიონატის დუბლებში თამაშობს.

რუსეთში მეხუთე ტურის მატჩები გაიმართა. "რუბინის" ხელმძღვანელობა ქართველ გოლკიპერ **ნუკრი რევიშვილს** სეზონში პირველად ენდო, თუმცა მას გაშვებულ გოლში ბრალი მიუძღვის. "მოსკვას" **ბრაკამონტემ** სახიფათოდ დაურტყა ახლო მანძილიდან ქართველს, სველი ბურთი რევიშვილმა ხელში ვერ შეინარჩუნა, დამატებაზე კი იქვე მყოფმა **სემაკმა** იყოჩაღა. **ლაშა სალუქვაძე** კვლავ სათადარიგო იყო, მატჩი 1:1 დასრულდა. წინა დღით ლაშამ დუბლებში მეორე წუთზე მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა.

**დავით მუჯირის** "კრილია სოვეტოვი" შინ 0:1 დამარცხდა "როსტოვთან", ქართველი 63-ე წუთზე შეცვალეს, მან მანამდე ყვითელი ბარათი მიიღო. მოსკოვში ცსკასთან დამარცხდა ნალჩიკის "სპარტაკი"- 2:2, სტუმართა რიგებში მხოლოდ **ალეკო ამისულაშვილმა** ითამაშა, **ლევან გვაზავა** სათადარიგო იყო. ამისულაშვილი ერთადერთი ქართველი ლეგიონერია, რომელმაც რუსეთის ჩემპიონატის ხუთივე ტურში მიიღო მონაწილეობა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



იაშვილმა მონაგარს ერთი გოლიც მიუმატა. ფრაიბურგი ბუნდესლიგას უახლოვდება

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა, ასოციაციის თასი, ნახევარფინალი | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი-ჩელსი | 1:2დ. | არ უთამაშია, ტრავმა | 17 თ, 0 გ. |
| **იტალია** | | | | |
| სერია A, XXXI ტური | | | | |
| კახა კალაძე | მესინა-მილანი | 1:3 | 90 წუთი | 14 თ, 1 გ. |
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა, XXIX ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | მაინცი-შალკე | 0:3 | 23 წუთი (შეცვლაზე) | 24 თ, 3 გ. |
| II ბუნდესლიგა, XXIX ტური | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | კიოლნი-ფრაიბურგი | 0:3 | 90 წუთი, 1 გოლი | 27 თ, 9 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | კიოლნი-ფრაიბურგი | 0:3 | არ უთამაშია, ტრავმა | 12 თ, 1 გ. |
| დავით სირაძე | კარლ ცაისი-აუე | - | დღეს | 24 თ, 2 გ. |
| გიორგი ლომაია | კარლ ცაისი-აუე | - | - | 9 თ, -9 გ. |
| მიხეილ აშვეთია | კარლ ცაისი-აუე | - | - | 9 თ, 4 გ. |
| მათე ღვინიანიძე | პადერბორნი-მიუნხენი | 3:0 | 74 წუთი (შეცვლაზე) | 16 თ, 0 გ. |
| **ჰოლანდია** | | | | |
| ერედივიზიე, XXXII ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი-ვიტესი | 1:0 | 90 წუთი, 1 გოლი | 27 თ, 14 გ. |
| **საბერძნეთი** | | | | |
| სუპერლიგა, XXVII ტური | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | ატრომიტოსი-პანიონიოსი | 0:1 | 90 წუთი, გააფრთხილეს | 16 თ, 2 გ. |
| ლევან მაღრაძე | პაოკ-ქსანთი | 1:0 | 90 წუთი | 20 თ, 0 |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა, XXXII ტური | | | | |
| კახა ალადაშვილი | ილიჩივეცი-დინამო | 2:3 | არ უთამაშია, დუბლები | 6 თ, 0 გ. |
| ოთარ მარცვალაძე | ილიჩივეცი-დინამო | 2:3 | არ უთამაშია, დუბლები | 3 თ, 0 გ. |
| დავით იმედაშვილი | ილიჩივეცი-დინამო | 2:3 | არ უთამაშია, დუბლები | 16 თ, 4 გ. |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო-ხარკოვი | 1:0 | 90 წუთი | 17 თ, 4 გ. |
| რევაზ ბარაბაძე | დნიპრო-ხარკოვი | 1:0 | არ უთამაშია | 3 თ, 0 გ. |
| ილია კანდელაკი | მეტალურგი დ.-ჩერნომორეცი | 1:0 | არ უთამაშია, სათადარიგო | 17 თ, 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | მეტალურგი დ.-ჩერნომორეცი | 1:0 | არ უთამაშია, სათადარიგო | 14 თ, 2 გ. |
| ლადო ბურდული | ზარია-კრივბასი | 2:1 | არ უთამაშია, სათადარიგო | 18 თ, 1 გ. |
| ვასილ გიგიაძე | ზარია-კრივბასი | 2:0 | 90 წუთი | 22 თ, 11 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ილიჩივეცი-დინამო | 2:3 | არ უთამაშია, დუბლები | 13 თ, 0 გ. |
| დავით კვირკველია | მეტალისტი-მეტალურგი ზ. | 1:0 | 90 წუთი, გააფრთხილეს | 17 თ, 4 გ. |
| ირაკლი მოდებაძე | მეტალისტი-მეტალურგი ზ. | 1:0 | 34 წუთი (შეცვლაზე), გააფრთხ. | 18 თ, 3 გ. |
| გიორგი ჭელიძე | ზარია-კრივბასი | 2:1 | 10 წუთი (შეცვლაზე), 1 გოლი | 5 თ, 1 გ. |
| ლაშა ჯაკობია | არსენალი-სტალი | 1:3 | 90 წუთი | 10 თ, 2 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერლიგა, V ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | კუბანი-სატურნი | 2:2 | 45 წუთი (შეცვლაზე) | 3 თ, 0 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი-მოსკვა | 1:1 | 90 წუთი | 1 თ, -1 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი-მოსკვა | 1:1 | არ უთამაშია, დუბლები | 2 თ, 0 გ. |
| დავით მუჯირი | კრილია სოვეტოვი-როსტოვი | 0:1 | 63 წთ (შეცვალეს), გააფრთხილეს | 4 თ, 1 გ. |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი-ხიმკი | 1:0 | არ უთამაშია, ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| ალეკო ამისულაშვილი | ცსკა-სპარტაკი ნ. | 2:0 | 90 წუთი | 5 თ, 0 გ. |
| ლევან გვაზავა | ცსკა-სპარტაკი ნ. | 2:0 | არ უთამაშია, სათადარიგო | 4 თ, 0 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა, XXI ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი-სილკებორგი | 2:1 | 90 წუთი | 5 თ, 0 გ. |

იტალია. სერია A. XXXII ტური

# ანჩელოტი ინტერს ქომაგობდა...

## სკუდეტო უკვე ოთხშაბათს?

მორიგი იტალიური ტური შაბათს, სარდინიაზე გაიხსნა. ბოლოხანს მოლონიერებულმა "კალიარიმ" სერია A-ს სიურპრიზად მონათლულ "ემპოლის" უმასპინძლა. კუნძულელებს უკანასკნელ ხუთ მატჩში ერთადერთი მარცხი ჰქონდათ და ამით, სრულიად დასაბუთებული იყო მათი ამბიცია, წარმატებული სერია ტოსკანელებთან გამარჯვებითაც გაელამაზებინათ. თავად "ემპოლი" კი "მილანთან" წაგების შემდეგ ძირს დაეშვა, თუმცა უეფას თასზე მოხვედრის შანსს კვლავაც ინარჩუნებს და ამდენად, **ლუიჯი კანისაც** მოგებაზე ეჭირა თვალი. მიუხედავად უგოლო ფრისა, ვერ ვიტყვით, რომ თამაში ჩაკეტილი იყო. "კალიარისთვის" ეს გახლდათ განიავებული მომენტების მატჩი, ხოლო "ემპოლისთვის" ისტორიული და სარეკორდო - საქმე ისაა, რომ ამ გუნდს სერია A-ში 46 ქულა აქამდე არასოდეს დაუგროვებია...

პირველი ტაიმის შემდეგ "კალიარის" მწვრთნელმა **მარკო ჯამპაოლომ** ორი ტაქტიკური ცვლილება გააკეთა: **ბიონდინი** და **დელ გროსო** წინ წასწია, რამაც სტუმართა კართან, ერთიხანობა, პანიკაც შექმნა. თამაშის სადავეები სარდინიელთა ხელში გადავიდა. კანი იძულებული გახდა, ფორვარდი **მატეინი** მცველ **ასკოლით** ჩაენაცვლებინა. და სწორედ ეს ასკოლი იყო, "ემპოლი" კინაღამ უქულოდ რომ დატოვა. თამაშის ბოლოს ის სიტუაციაში ვერ გაერკვა და **დ'აგოსტინო** მეტი ყურადღებით რომ გარჯილიყო, "კალიარი" მოგებას ხელიდან აღარ გაუშვებდა. მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ თამაშის ბოლოს უპატიებელი შეცდომა მასპინძელთა გამოცდილმა მეკარემაც დაუშვა. **კიმენტი** დაუფიქრებლად გამოიჭრა კარიდან, მაგრამ **საუდატის** თავური სარდინიელთა ბედად უზუსტო გამოდგა.

ეტყობა, "უდინეზეს" მოპოვებულის შენარჩუნება არ ეხერხება, თორემ თამაშის სათავისოდ შემოტრიალება იცის, როგორც უნდა. მიმდინარე სეზონში ამის რამდენიმე მაგალითი გვაქვს. აგერ, წინა ტურში, "სიენას" გასვლაზე 2:0-ს უგებდა, მაგრამ ფრეს (2:2) დასჯერდა. ახლა კი თავიდან "კიევო" გაუშვა წინ, მაგრამ **იაკუინტასა** და **დი ნატალეს** გოლებით ერთობ მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია. თუმცა აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სტუმრებს, სხვადასხვა მიზეზით, 6 (!) წამყვანი მოთამაშე აკლდათ. **ლუიჯი დელ ნერიმ** როგორლაც შეძლო მებრძოლი შემადგენლობის შეკოწიწება, მაგრამ ეს ქულისთვისაც არ აღმოჩნდა საკმარისი. არადა, თამაშის დასაწყისშივე, **პელისიეს** მის მიერ გატანილ გოლზე, თავადვე შეეძლო ერთის დამატებაც და მერე რა მოხდებოდა, ღმერთმა იცის. მოგვიანებით იყო ერთი მომენტიც, როცა არბიტრს "კიევოს" სასარგებლოდ პენალტის დანიშვნა შეეძლო... ასე რომ, იაკუინტას გოლმა **ალბერტო მალეზანის** გუნდს სულზე მიუსწრო: ერთ-ერთი კუთხურის შემდეგ, "უდინეზეს" ბომბარდირმა თავით ახლოდან მოარტყა მიზანში.

მეორე ტაიმში მასპინძლები უფრო მეტი თავდაჯერებითა და აზარტით თამაშობდნენ. სწორედ აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ალალია მათზე სამი ქულა. 74-ე წუთზე, **ბარეტომ** მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა და დი ნატალეს თავურს ხელი ვერავინ შეუშალა - 2:1. კორექტული თამაშის კვალობაზე, მატჩის მიწურულს ორი ფეხბურთელის გაძევება ცოტა გასაკვირი კი იყო, თუმცა არბიტრს საამისო საფუძველი ნამდვილად ჰქონდა. დაბოლოს, ერთი სატრანსფერო ინფორმაცია. "ფრიულის" დაპირისპირებას "ლივერპულის" სკაუტები ესწრებოდნენ. მათი დაკვირვების ობიექტი "უდინეზეს" განელი ნახევარმცველი **სულეიმან მუნტარი** გახლდათ. ვნახოთ, რა გამოვა ამ ვიზიტისგან.

კვირას "რომამ" 4:0 დაამარცხა "სამპდორია" და მანჩესტერული სირცხვილი რაღაც დოზით გამოისყიდა. ძნელი მისახვედრი არაა, რაოდენ ძნელი იქნებოდა "ჯალოროსისთვის" ტიფოზების წინაშე გამოჩენა, მაგრამ თამაშმა დაგვარწმუნა, რომ კოშმარი დავიწყებულია. პირველ რიგში, ეს **ლუჩანო სპალეტის** დამსახურებაა. ურთულეს მომენტში მწვრთნელმა ბიჭების მობილიზება შეძლო და აი, შედეგიც: განადგურებული "სამპი". **ტოტი**, რომელსაც "ოლდ ტრეფორდზე" ფეხი არ გაანძრევინეს, გუშინ თავის სტიქიაში იყო. 21-ე წუთზე მან სივრცე მოძებნა და 18-20 მეტრიდან ბურთი მეკარისგან ახლო კუთხეში გაახვია. მერე იყო **მანსინის** დიდებული გადაცემა და კაპიტანი ახლა პირისპირ დარჩა კიპერთან, რომელსაც შანსი თითქმის არ ჰქონდა - 2:0. "რომას" ახასიათებს ხოლმე: როგორც კი ფორვარდები საქმეს მოათავებენ, ესტაფეტას მცველები იღებენ. აგერ, **ფერარიმ** ტოტის ჯარიმას ეფექტური და აუღებელი თავური მიაყოლა, ხოლო ფინიშისკენ უფრო ახლოს, ჩემპიონატში თავისი მე-5 გოლი **პანუჩიმ** მიითვალა. ისევე, როგორც გენუაში (4:2), "რომამ" ამჯერზეც ოთხჯერ "ასიამოვნა" მეტოქე და ამ 8 გოლიდან 4 ტოტის ანგარიშზეა. მთლიანად სერია A-ში კი "პუპონემ" პირადი ანგარიში 20-მდე აიყვანა. ჩემპიონობის შანსდაკარგულ "რომას", რიგით ნუგეშად, იქნებ, კაპიტნის საბომბარდირო ტრიუმფი მაინც შერჩეს.

ასკოლიში დაკარგულ ქულებზე "ლაციომ", შეიძლება, სეზონის ბოლოს ირტყას თავში ხელი. 70 წუთის განმავლობაში მოედანზე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მთავარიც სწორედ ამის შემდეგ იყო. **სონჩინიმ პეშეს** პასით გახსნა ანგარიში. ტრიბუნებზე ჯერ სიხარული განელებული არც იყო, რომ "ლაციალეს" მეგოლე **როკიმ** მეკარისგან უკუგდებული ბურთი კარში გაგზავნა. მერე იყო ბოლო იმედის ჯარიმა და **სტენდარდოს** გაძევება, რასაც ვეტერან **დი ბიაჯოს** პენალტი მოჰყვა. "ბიანკოჩელესტემ" მარცხის რეალური საშიშროება იყნოსა და გადამწყვეტ იერიშზე გავიდა. ფინიშამდე ბევრი აღარ რჩებოდა, როცა **ნასტასემ** შეცვლაზე შესული **ხიმენესი** უმეთვალყურეოდ დატოვა და ამასაც სხვა გზა არ ჰქონდა - 2:2. "ასკოლის" გადარჩენის შანსი ილუზორული კია, მაგრამ რას ვერჩით გუნდს, რომელიც სანუკვარი მიზნისთვის თავგანწირვით იბრძვის. "ლაციოს" თავკაცმა როსიმ კი, ცოტა არ იყოს, უცნაური განცხადება გააკეთა - ალფრთოვანებული ვარ გუნდის მტკიცე ხასიათითო. კი, მაგრამ "ასკოლისთან" კაცო?!

"მილანმა" დაგეგმილი თამაში მოიგო მესინაში, სადაც **კაკამ** პირველი გოლი **კახა კალაძის** ხელშეწყობით გაიტანა. შორიდან დარტყმული ბურთი ქართველ მცველს თავში მოხვდა, ტრაექტორია იცვალა და კარში აღმოჩნდა. იტალიაში წესად აქვთ: ასეთ გოლებს იმას უთვლიან, ვინც ბურთს ბოლოს ეხება, მაგრამ ამჯერად, კაკას აქტივი გაიზარდა... მოკლედ, "მილანს" პრობლემები არ ჰქონია. პირველივე ტაიმში **ფავალიმ გურკუფის** დახმარებით ანგარიში ორამდე გაზარდა. **ჯილარდინომ** და **რონალდომ** კი თამაშის ბოლომდე გვარიანად აწვალეს მესინური დაცვა, რომელიც კიდევ ერთხელ გატყდა: "ფენომენმა" შორიდან მესამედ აილო მეტოქის კარი. თამაშის მიწურულს "მესინამ" პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხა. ამ მოგებით "მილანი" მეოთხე ადგილზე ალზევდა, თუ არ ვცდებით, პირველად მიმდინარე მარათონში. ასე რომ, სეზონის მთავარი ამოცანა, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა, **კარლო ანჩელოტისთვის** რეალურად შესრულებადია. ნამატჩევს, კმაყოფილმა კარლეტომ აღიარა: *"უკვე მეოთხე ადგილზე ვართ და ეს ძალიან კარგია. ასე რომ, ამ საღამოს "ინტერს" ვქომაგობ"...*

...და "პარმასაც". ვინ, თუ არა "კატანია", "ჯალობლუს" საკუთარ მოედანზე უსიკვდილოდ უნდა დაემარცხებინა, მაგრამ ეტყობა, ცუდისკენ მიდის საქმეები. "კატანიისთვის" კი ეს ქულა, შეიძლება, საეტაპოც იყოს გადარჩენის საქმეში. უსაშველოდ გაუჭირდა "ფიორენტინას", რომელმაც ტოსკანურ დერბიში "სიენას" **მუტუს** გოლით აჯობა. **რეჯინალდოს** ჩაწოდება **ტონიმ** გაატარა, რუმინელმა კი სწორი მისამართით გაგზავნა. ბოლო 20 წუთი ფლორენციელებს 10 კაცით მოუწიათ თამაში. **ჩეზარე პრანდელის** ბიჭებმა, რომ იტყვიან, ბეწვის ხიდზე გაიარეს. "სიენის" მწვრთნელი **მარიო ბერეტა** კი გამუდმებით ედავებოდა არბიტრს, რომელმაც ვეღარ მოითმინა და მწვრთნელს ტრიბუნებისკენ მიუთითა. სხვათა შორის, ბერეტა ამ სეზონში მესამედ გააძევეს.

დარჩენა-არდარჩენის საქმეში უმნიშვნელოვანესი იყო "ლივორნო"-"რეჯინის" მატჩი. ცხადია, სტუმრებს ფრე არ აწყობდათ. 11 ქულით დაჯარიმებული კალაბრიელები, წესით, ახლა უეფას თასზე მოსახვედრად უნდა იბრძოდნენ, მაგრამ რას იზამს **ვალტერ მაძარი**, რეალობას თვალი უნდა გაუსწოროს. ისე, კიდევ კარგი, ლივორნოელმა **პაულინიომ** პირველ ტაიმში პენალტი ვერ გაიტანა, თორემ რეჯინელთა საქმე უფრო უარესად იქნებოდა. მატჩის დამთავრებისთანავე, გასახდელისკენ მიმავალ **კრისტიანო ლუკარელის** მავანმა ტიფოზმა რაღაც მიაძახა, ვალში არც ფეხბურთელი დარჩა, მერე კი ჟურნალისტებს განუცხადა, სეზონის დასრულების შემდეგ "ლივორნოდან" მივდივარო. ესეც ახალი სატრანსფერო ამბავი. ლუკარელის "რომაში" გადაბარგებას უწინასწარმეტყველებენ.

საშინაო მარცხის შემდეგ სიმშვიდე დაკარგული აქვს "ტორინოს", რომელიც ბევრს ეცადა პირველ 8 (!) წუთში გაშვებული ორი გოლის განეიტრალებას, მაგრამ ბერგამოული დაცვა მედგრად იდგა. ფაქტობრივად, სტუმრები მხოლოდ ერთხელ შეცდნენ, როცა შეცვლაზე შესული **აბრუსკატოს** მანევრს ვერ მიადევნეს თვალი.

"ინტერის" მოქომაგე ანჩელოტის კი მხოლოდ ნაწილობრივ გაუმართლა. "პალერმომ" "სან სიროზე" ფრედ (2:2) ითამაშა და მეოთხე ადგილზე დაბრუნება ვერ შეძლო. არადა, სკამმორყეული **ფრანჩესკო გუიდოლინის** შეგირდები პირველი ტაიმის შემდეგ 2:0-ს იგებდნენ. მეორე ნახევარში "ინტერი" თავის თავს დაემსგავსა და ბარაქალა "პალერმოს", რომ ქულა მაინც აილო. აი, ასე წავიდა საქმე. ახლა გამოტოვებული ტურია, ოთხშაბათს. "ინტერი" "რომას" მასპინძლობს. გამარჯვების შემთხვევაში, "ნერაძური" ვადამდე 6 ტურით ადრე ჩემპიონის ტიტულს ინაღდებს, სწორედ იმ "რომასთან", რომელიც კარგა ხანს ეჩხირებოდა ყელში. სიმბოლურია არა?

### XXII გამოტოვებული ტური

18 აპრილი. ემპოლი-ატალანტა, ლივორნო-კალიარი, ლაციო-კიევო, რეჯინა-მესინა, ასკოლი-მილანი, ინტერი-რომა, უდინეზე-სამპდორია, სიენა-ტორინო, პარმა-ფიორენტინა.



რომა-სამპდორია. ტოტის გააქვს მეორე გოლი გენუელთა კარში

### კალიარი-ემპოლი 0:0

**კალიარი:** კიმენტი-6, ფ. პიზანო-6 (46. ფერი-6.5), ლოპესი-6, ბიანკო-6, დელ გროსო-6, ბიონდინი-6.5, კონტი-6, ბუდელი-5 (46. აგოსტინი-6), ა. დ'აგოსტინო-5.5 (84. მარკინი-6), სუასო-6.5, პეპე-5.

**ემპოლი:** ბასი-6.5, რაჯი-6, ადანი-6.5 (58. ვანუკი-5), ვანილი-6, ტოსტო-6.5, მარძორატი-6.5 (88. ფიჩინი-შ.გ), ბუშე-6.5, დ. მორო-6.5, ალმირონი-6.5, მატეინი-5.5 (74. ასკოლი-5), საუდატი-6.

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 13-24; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 11-10 (6-2); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 8 000

### უდინეზე-კიევო 2:1

**უდინეზე:** დე სანკტისი-6, ზაპოტოჩნი-5.5 (83. ზივოკი-შ.გ), კოდა-5.5, საპატა-5.5, მოტა-6 (72. ბარეტო-6), ობოდო-6, მუნტარი-5, პინცი-6, დოსენა-6, დი ნატალე-6.5 (77. სიკეირა-შ.გ), იაკუინტა-6.5.

**კიევო:** სკუიცი-6, ფ. მორო-5.5, მანდელი-6, მანტოვანი-6, მარკეზე-5.5, სამარკო-6, იტალიანო-6, მარკოლინი-შ.გ (27. კოსოვსკი-6), სემიოლი-6.5, ბოგდანი-5 (63. ობინა-6), პელისიე-6.5 (82. კოსატო-შ.გ).

**გოლები:** 0:1 პელისიე (10), 1:1 იაკუინტა (34), 2:1 დი ნატალე (74)

**გაძევება:** კოდა (90. უდინეზე), ფ. მორო (90. კიევო)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 15-23; **თამაშგარე:** 7-3; **კარში დარტყმა:** 11-8 (5-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 12 000

### რომა-სამპდორია 4:0

**რომა:** ა. დონი-6.5, მ. ფერარი-6.5, კივუ-7, მექსე-6, პანუჩი-6.5, დე როსი-6, პისარო-6 (85. ვუჩინიჩი-შ.გ), პეროტა-6.5 (83. ფატი-შ.გ), მანსინი-6, ტოტი-8, ტავანო-5 (59. ვილჰელმსონი-6.5).

**სამპდორია:** ბერტი-6.5, მაჯო-5.5, ფალკონე-5.5, აკარდი-5.5, კ. ძენონი-6 (72. პიერი-შ.გ), ვოლპი-5.5, პაროლა-6, პალომბო-6, ჯ. დელვეკიო-5.5 (67. ციგლერი-5.5), დ. ფრანჩესკინი-6 (46. ბაძანი-5), კვალიარელა-5.5.

**გოლები:** 1:0 ტოტი (21), 2:0 ტოტი (66), 3:0 მ. ფერარი (71), 4:0 პანუჩი (87)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 9-6; **ჯარიმა:** 14-16; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 29-12 (17-5); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 35 655

### ასკოლი-ლაციო 2:2

**ასკოლი:** ელეფთეროპულოსი-6.5, ნასტასე-5.5, კორალო-6, ლომბარდი-6, ფოლიო-6, დი ბიაჯო-7, ბუდიანსკი-6, პეშე-6.5 (87. ვასტოლა-შ.გ), გუბერტი-6.5, სონჩინი-7 (83. ფინი-შ.გ), ბელანოვიჩი-6 (77. პაოლუჩი-შ.გ).

**ლაციო:** პერუცი-6, ბელერი-6, სტენდარდო-6.5, სივილია-5.5, ძაური-6, მუდინგაი-6, ლედესმა-6, მანფრედინი-5.5 (56. ხიმენესი-6.5), მაური-5 (72. ს. ინძაგი-შ.გ), როკი-6, პანდევი-5.5 (90. ბონეტო-შ.გ).

**გოლები:** 1:0 სონჩინი (70), 1:1 როკი (74), 2:1 დი ბიაჯო (76-პენ), 2:2 ხიმენესი (84)

**გაძევება:** სტენდარდო (75. ლაციო)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 1-6; **ჯარიმა:** 31-17; **თამაშგარე:** 2-8; **კარში დარტყმა:** 17-16 (11-10); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 18 000

### მესინა-მილანი 1:3

**მესინა:** პაოლეტი-7, ლავეკია-5, ძანკი-5, იულიანო-5 (88. მორელო-შ.გ), ჯალომბარდო-5, ალვარესი-5, პესტრინი-5 (73. კორდოვა-შ.გ), დ'ავერსა-5.5 (57. ფლოკარი-5.5), დე ვეცე-5, მაზიელო-6, რიგანო-5.5.

**მილანი:** დიდა-6.5, კაფუ-7, ბონერა-6.5, კალაძე-6.5, ფავალი-7 (89. იანკულოვსკი-შ.გ), გატუზო-6.5, პირლო-6.5 (87. ამბროზინი-შ.გ), გურკუფი-7, კაკა-7, ჯილარდინო-6.5 (78. სერჯინიო-შ.გ), რონალდო-7.

**გოლები:** 0:1 კაკა (14), 0:2 ფავალი (30), 0:3 რონალდო (86), 1:3 მაზიელო (90)

**გაფრთხილება:** 5-3; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 16-18; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 16-23 (8-17); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 20 000

### ფიორენტინა-სიენა 1:0

**ფიორენტინა:** ფრეი-6.5, პოტენცა-6, გამბერინი-6, დაინელი-6.5, პასკუალი-6, პაციენცა-6, ლივერანი-6 (70. კროლდრუპი-6), მონტოლივო-6 (82. ბლაზი-6), რეჯინალდო-6.5 (54. იორგენსენი-6.5), ტონი-6, მუტუ-7.

**სიენა:** მანინგერი-6, ნეგრო-5.5, გასტალდელო-6, პორტანოვა-6.5, მოლინარო-5.5, ალბერტო-5 (59. კოცა-5.5), ვერგასოლა-5.5, კოდრეა-5.5 (65. გალოპა-5.5), ანტონინი-6 (87. ა. როსი-შ.გ), კორვია-6, კიეზა-6.5.

**გოლი:** 1:0 მუტუ (43)

**გაძევება:** გამბერინი (69. ფიორენტინა)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 9-6; **ჯარიმა:** 21-24; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 15-13 (8-7); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 33 467

### ტორინო-ატალანტა 1:2

**ტორინო:** აბიატი-5.5, კომოტო-5.5 (84. მარტინელი-შ.გ), ო. ბრევი-5.5, ჩოფი-5.5 (43. აბრუსკატო-6.5), ბალესტრი-6, გალო-6, არდიტო-6, როზინა-6.5, ბარონე-5.5, ლაზეტიჩი-5.5 (57. ოგურო-5.5), სტელონე-6.

**ატალანტა:** კალდერონი-6.5, პერეირა ადრიანო-4.5, ტალამონტი-6, კაროციერი-6, ბელინი-6, პინტუ-5.5 (82. დეფენდი-შ.გ), მილიაჩო-6, დონატი-6, ტისონე-5.5, კ. დონი-6 (43. რივალტა-6), ძამპანია-6 (62. ვენტოლა-6).

**გოლები:** 0:1 ბელინი (1), 0:2 ძამპანია (8), 1:2 აბრუსკატო (70)

**გაძევება:** პერეირა ადრიანო (40. ატალანტა)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 21-21; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 20-6 (11-5); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 17 000

### ლივორნო-რეჯინა 1:1

**ლივორნო:** ამელია-6, გრანდონი-6, პავანი-6, გალანტე-5, პასკუალე-5, პფერტცელი-5.5 (57. ბერგვოლდი-შ.გ), კოპოლა-6 (77. ფიორე-შ.გ), პასონი-6 (62. მორონე-შ.გ), ა. ფილიპინი-6, პაულინიო-6, კ. ლუკარელი-6.5.

**რეჯინა:** კამპანიოლო-6, ლანძარო-6, ა. ლუკარელი-5.5, არონიკა-6, მესტო-6 (74. გაცი-შ.გ), ვიჯანი-6, ამერინი-6, ჯაკ. ტედესკო-6, მოდესტო-5 (56. ნარდინი-შ.გ), ამორუზო-6 (61. მისიროლი-შ.გ), ბიანკი-6.5.

**გოლები:** 1:0 კ. ლუკარელი (28), 1:1 ბიანკი (31)

*41-ე წუთზე პაულინიომ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 17-9 (10-3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 5 000

### პარმა-კატანია 1:1

**პარმა:** ბუჩი-6, კოლი-6.5, ფერნანდო კოუტუ-6, კონტინი-5, კასტელინი-6, პარავიჩინი-6, ჩიგარინი-6.5 (77. ბოლანო-შ.გ), ბოკეტი-6 (65. კუტუზოვი-5.5), ჯ. როსი-6.5, მუსლიმოვიჩი-6, ბუდანი-5 (46. პაპონი-6).

**კატანია:** პანტანელი-5.5, ლუჩენტი-6, სტოვინი-6, სეზარ ვინისიუ-5.5, ვარგასი-5.5, იცკო-6, ედუსეი-6, მილეზი-5.5 (55. ბიზო-5.5), კორონა-6 (77. მინელი-შ.გ), სპინეზი-6.5, კაზერტა-6.

**გოლები:** 0:1 სპინეზი (20), 1:1 ჩიგარინი (32)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 19-20; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 18-7 (9-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 9 000

### ინტერი-პალერმო 2:2

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-7, მაიკონი-5.5, ბურდისო-5.5, მატერაცი-5.5, გროსო-6 (53. სტანკოვიჩი-6), დაკური-6 (63. იბრაჰიმოვიჩი-6), კამბიასო-5.5, ხ. ძანეტი-6, ფიგუ-6.5, ადრიანო-6, კრესპო-6 (32. კრუსი-6.5).

**პალერმო:** ა. ფონტანა-7, ძაკარდო-7, ბარძალი-6.5, კასანი-6.5, დელაფიორე-6, დიანა-6.5, გუანა-6.5, სიმპლისიუ-6.5, ბრეშანო-6.5, კარაჩოლო-6.5 (71. ჯაკომაცი-შ.გ), კავანი-6.5.

**გოლები:** 0:1 კარაჩოლო (3), 0:2 ძაკარდო (45), 1:2 კრუსი (66), 2:2 ადრიანო (73)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 14-20; **თამაშგარე:** 8-2; **კარში დარტყმა:** 25-13 (11-7); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 50 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 31 | 25 | 6 | 0 | 65-25 | 81 |
| 2. რომა | 31 | 19 | 8 | 4 | 62-23 | 65 |
| 3. ლაციო | 31 | 17 | 8 | 6 | 54-26 | 56 |
| 4. მილანი | 31 | 16 | 10 | 5 | 45-27 | 50 |
| 5. პალერმო | 32 | 13 | 10 | 9 | 46-39 | 49 |
| 6. ემპოლი | 31 | 12 | 10 | 9 | 33-31 | 46 |
| 7. ფიორენტინა | 31 | 17 | 8 | 6 | 52-26 | 44 |
| 8. ატალანტა | 31 | 9 | 12 | 10 | 45-43 | 39 |
| 9. სამპდორია | 31 | 10 | 9 | 12 | 37-40 | 39 |
| 10. უდინეზე | 31 | 10 | 9 | 12 | 40-44 | 39 |
| 11. კალიარი | 31 | 7 | 13 | 11 | 26-33 | 34 |
| 12. ლივორნო | 31 | 7 | 12 | 12 | 32-46 | 33 |
| 13. კატანია | 32 | 8 | 9 | 15 | 38-61 | 33 |
| 14. ტორინო | 31 | 8 | 8 | 15 | 25-42 | 32 |
| 15. სიენა | 31 | 6 | 14 | 11 | 27-35 | 31 |
| 16. კიევო | 31 | 6 | 10 | 15 | 33-43 | 28 |
| 17. რეჯინა | 31 | 9 | 11 | 11 | 39-42 | 27 |
| 18. პარმა | 31 | 5 | 11 | 15 | 26-49 | 26 |
| 19. მესინა | 31 | 5 | 9 | 17 | 29-52 | 24 |
| 20. ასკოლი | 31 | 3 | 11 | 17 | 24-51 | 20 |

**ბომბარდირები:** 20 - ტოტი (რომა); 16 - ბიანკი (რეჯინა), კ. ლუკარელი (ლივორნო), ტონი (ფიორენტინა); 15 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), როკი (ლაციო); 14 - მუტუ (ფიორენტინა); 13 - იაკუინტა (უდინეზე), სპინეზი (კატანია).

## სერია B

XXXIV ტური

**არეცო-ვიჩენცა 2:1**

**გოლები:** 0:1 რაიმონდი (8), 1:1 ფლორესი (11), 2:1 მარტინეტი (21)

**გაძევება:** პადოინი (33. ვიჩენცა)

**ჯენოა-ბოლონია 3:0**

**გოლები:** 1:0 დეილი (4), 2:0 დი ვაიო (37), 3:0 გასპარეტო (41)

**ლეჩე-იუვენტუსი 1:3**

**იუვენტუსი:** ბუფონი, ბირინდელი, ძებინა, კიელინი, ბალცარეტი, კამორანეზი (82. ტრეზეგე), ვენიტუჩი, ნედვედი, მარკიონი (88. ბოჟინოვი), პალადინო (79. ბიანკო), სალაიეტა.

**გოლები:** 0:1 მარკიონი (11), 1:1 პოლენგი (15), 1:2 სალაიეტა (47), 1:3 კამორანეზი (64)

**ალბინოლეფე-პიაჩენცა 2:0**

**გოლები:** 1:0 რუოპოლო (47), 2:0 რაბიტო (55)

**ნაპოლი-პესკარა 1:0**

**გოლი:** 1:0 ბოლიაჩინო (14)

**რიმინი-ჩეზენა 1:0**

**გოლი:** 1:0 მარტი (2)

**გაძევება:** დელ კორე (77. ჩეზენა)

**მანტოვა-ფროზინონე 1:1**

**გოლები:** 0:1 მეძანოტი (29-საკ. კარში), 1:1 ალტინიერი (90)

**გაძევება:** ძაპინო (83. ფროზინონე)

**ტრიესტინა-ბარი 1:0**

**გოლი:** 1:0 პეზარეზი (45)

**გაძევება:** სკალია (81. ბარი)

**ვერონა-ტრევიზო 0:0**

**მოდენა-სპეცია 4:0**

**გოლები:** 1:0 ჯილიოლი (17), 2:0 პინარდი (63), 3:0 პინარდი (64), 4:0 ბრუნო (67-პენ)

**კროტონე-ბრეშა 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 32 | 22 | 8 | 2 | 63-21 | 65 |
| 2. ჯენოა | 32 | 17 | 7 | 8 | 50-34 | 58 |
| 3. ნაპოლი | 32 | 14 | 14 | 4 | 38-25 | 56 |
| 4. რიმინი | 32 | 14 | 11 | 7 | 43-26 | 53 |
| 5. მანტოვა | 32 | 12 | 16 | 4 | 39-25 | 52 |
| 6. პიაჩენცა | 32 | 15 | 5 | 12 | 42-39 | 50 |
| 7. ბოლონია | 32 | 14 | 8 | 10 | 37-31 | 50 |
| 8. ჩეზენა | 33 | 12 | 9 | 12 | 43-48 | 45 |
| 9. ალბინოლეფე | 32 | 9 | 17 | 6 | 34-29 | 44 |
| 10. ბრეშა | 32 | 11 | 10 | 11 | 33-36 | 43 |
| 11. ლეჩე | 32 | 12 | 5 | 16 | 41-44 | 41 |
| 12. ვიჩენცა | 32 | 10 | 10 | 12 | 35-31 | 40 |
| 13. ტრიესტინა | 32 | 10 | 11 | 11 | 27-35 | 40 |
| 14. ტრევიზო | 32 | 9 | 12 | 11 | 33-33 | 39 |
| 15. ფროზინონე | 32 | 9 | 12 | 11 | 32-40 | 39 |
| 16. ვერონა | 32 | 9 | 10 | 13 | 21-29 | 37 |
| 17. ბარი | 32 | 8 | 12 | 12 | 26-31 | 36 |
| 18. სპეცია | 33 | 7 | 12 | 14 | 34-46 | 33 |
| 19. მოდენა | 32 | 8 | 8 | 16 | 27-36 | 32 |
| 20. კროტონე | 32 | 6 | 11 | 15 | 26-48 | 29 |
| 21. პესკარა | 32 | 5 | 9 | 18 | 25-50 | 23 |
| 22. არეცო | 32 | 5 | 13 | 14 | 24-36 | 22 |

**ბომბარდირები:** 16 - დელ პიერო (იუვენტუსი); 14 - ბელუჩი (ბოლონია); 13 - კაჩა (პიაჩენცა); 12 - პაპა ვაიგო (ჩეზენა); 11 - კალაიო (ნაპოლი); 10 - ჟედა (რიმინი).

## სერია C1/A

XXX ტური

პადოვა-მასეზე 3:1; სანჯოვანეზე-გროსეტო 1:2; პრო პატრია-სასუოლო 0:1; ვენეცია-პრო სესტო 1:1; პისტოიეზე-პიციგეტონე 0:0; კრემონეზე-ნოვარა 2:1; ივრეა-პიზა 0:1; პავია-ლუკეზე 1:1; მონცა-ჩიტადელა 1:2.

## სერია C1/B

XXX ტური

მანფრედონია-ანკონა 1:0; სან მარინო-ფოჯა 2:3; ტერნანა-გალიპოლი 0:2; ჯულიანოვა-მარტინა 0:1; რავენა-პერუჯა 2:0; ლანჩანო-სალერნიტანა 1:1; ტარანტო-ტერამო 0:0; კავეზე-აველინო 3:0; სამბენედეტეზე-იუვე სტაბია დღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაიერნი-ლევერკუზენი. ვან ბომელის ეფექტური გოლი

გერმანია. ბუნდესლიგა. XXIX ტური

# ლიდერები უდანაკარგოდ!

## შალკეს ვერდერი არ ჩამორჩა, ვერდერს შტუტგარტი, შტუტგარტს ბაიერნი...

"შალკეს" ფეხბურთელები "შტადიონ ამ ბრუხვეგზე" მოპოვებულ გამარჯვებას დიდხანს, ძალიან დიდხანს ზეიმობდნენ. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, გელზენკირხენულმა კლუბმა "მაინცის" წყევლა მოიხსნაო. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ორი წლის წინ, როცა **ლევან კობიაშვილის** გუნდი ასევე იბრძოდა გერმანიის ჩემპიონობისთვის, "ხუმარებმა" ლიდერობა სწორედ მაინცში განცდილი მარცხით (1:2) დაკარგეს და მერე კრიზისი დაეწყოთ, რის შედეგადაც "შალკე" ჩემპიონი ვეღარ გახდა. კობი და კომპანია "ბრუხვეგზე" შარშანაც დამარცხდნენ და ამიტომაც იყო, ძალიან რომ ეშინოდათ, ემანდ, მაინცში სტუმრობა ახლაც საბედისწერო არ გამოდგესო. ეს თამაში საბედისწერო,- შესაძლოა, მაინც გამოდგეს, ოღონდ პოზიტიური თვალსაზრისით - 3:0 ის ანგარიშია, რომელმაც კობიაშვილსა და მის თანაგუნდელებს თავდაჯერება შემატა. ცუდი ისაა, რომ **მირკო სლომკამ** ქართველი ნახევარმცველი სასტარტო შემადგენლობაში არ გაამწესა და მხოლოდ მეორე ტაიმში შეუშვა (ახალგაზრდა **მესუთ იოზილის** ნაცვლად). იმედია, კობის ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდნის საფრთხე არ ემუქრება.

"შალკეს" მხრიდან საუკეთესო **ლინკოლნი** იყო. გარდა იმისა, რომ ბრაზილიელი მთელი მატჩის განმავლობაში აღაფრთოვანებდა "შალკეს" ფანებს, გელზენკირხენელთა ათიანმა შესანიშნავი გოლიც გაიტანა, როცა ანგარიში 3:0 გახადა: **კევინ კურანის** ჩინებული პასის შემდეგ, ლინკოლნი დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა და "მაინცის" კარის დარაჯ **დიმო ვახეს** ბურთი თავზე მოხდენილად გადაუგდო. 30-ე წუთზე მან გრანდიოზული სოლორეიდიც განახორციელა - გზად სამი მაინცელი ჩამოიშორა და ლამაზადაც დაარტყა, მაგრამ ააცილა.

აღსანიშნავია, რომ გელზენკირხენელებს ერთობ დაეხმარა სწრაფი გოლი, რომლის ავტორიც კურანი გახლავთ. გერმანიის ნაკრების ფორვარდმა მე-10 წუთზე **მანუელ ფრიდრიხის** შეცდომით ისარგებლა და ახლო კუთხეში გაუტანა ვახეს - ეს კევინის რიგით მე-13 გოლია მიმდინარე სეზონში. სხვათა შორის, "შალკეს" მიერ გატანილი 47 გოლიდან, 24 კურანის უშუალო მონაწილეობით გავიდა - 13 გოლითა და 11 პასით კევინი ბუნდესლიგის გოლი პლუს პასის სისტემის ცხრილს ლიდერობს.

მაინცელებმა ერთადერთი ხეირიანი მომენტი შექმნეს: 27-ე წუთზე **მოჰამედ ზიდანმა მლადენ კრსტაიჩს** ბურთი მოპარა და **ნოიერთან** პირისპირ დარჩა, მაგრამ ვერ ივარგა და ბურთი პირდაპირ "შალკეს" კიპერს ჩააბარა. ეს იყო და ეს, "ხუმარებმა" **იურგენ კლოპის** გუნდს მეტი აღარაფერი გააბედინეს. თუმცა მატჩი მაინც უაღრესად დაძაბული და საინტერესო გახლდათ - თავად განსაჯეთ, ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი**, რომელიც ტრიბუნაზე იყო მოკალათებული, მთელი 90 წუთის მანძილზე ფრჩხილებს იკვნეტდა. "მაინცმა" იბრძოლა, მაგრამ ლიდერთან ტოლსწორად პაექრობისთვის სათამაშო კლასი არ ეყო. ზემოთ რომ ლინკოლნის სოლორეიდი ვახსენეთ, მაინცელებს ერთხელაც არ უცდიათ ამგვარი რამის გაკეთება.

მეორე გოლი **ჯერალდ ასამოას** ანგარიშზეა და აგერ ზედიზედ მეორე ტურია, ასა მოედანს უგოლოდ აღარ ტოვებს. ეტყობა, ტრავმიანობის პერიოდში ფეხბურთის თამაში ისე მოენატრა და ისეთ იშტაზე მოვიდა, რომ ექვსთვიან უსაქმურობას ახლა ინაზღაურებს - ასამოა უბრალოდ შეუჩერებელი იყო. რაც შეეხება უშუალოდ გოლს, ჯერალდმა ის 24-ე წუთზე, ისევე როგორც წინა ტურში, ამჯერადაც კურანის პასით გაიტანა: **რაფინიას** ჩაწოდების შემდეგ კევინმა თავით ბურთს მიმართულება ასასკენ შეუცვალა, ამ უკანასკნელმა კი ფრიდრიხს დაასწრო და ასევე თავით დაამწუხრა ვახე. "მაინცზე" კი ის უნდა ვთქვათ, რომ მეორე წრის შესანიშნავად დაწყების შემდეგ ეს გუნდი ისევ ჩაფლავდა - ზედიზედ 4 ნაგების შემდეგ, კლოპის ბიჭები 30 ქულით ბოლოსწინა ადგილზე არიან.

...დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ყველა, ვისაც "ბაიერნზე" გული შესტკივა და იმაზე ნერვიულობს, რომ დიდი შანსია, რეკორდმაისტერმა გაისად ჩემპიონთა ლიგის ნაცვლად უეფას თასზე ისპარეზოს, ამ კვირაში ჰანოვერელი **ჟურავის** გინებაში იქნება. რატომ? მიზეზი უშველებელია: ამ ფეხბურთელმა მიუნხენური კლუბის კონკურენტ "შტუტგარტს" 3 ქულა აჩუქა!

ერთი სიტყვით, შვაბებმა "ჰანოვერი" 2:1 დაამარცხეს, მაგრამ ვაი ამ მოგებას. მოკლედ რომ ვთქვათ, **არმინ ფეეს** გუნდი ძალიან ცუდად ირჯებოდა, შტუტგარტელები გამარჯვებას ნამდვილად არ იმსახურებდნენ. 76-ე წუთამდე 1:1 იყო, მერე კი ჟურავმა (**ბალიტშთან** ერთად) ისეთი რამ გააკეთა, რის გამოც ფეხბურთელს ძალიან მაგრად ტუქსავენ ხოლმე. შვაბთა თავდამსხმელებმა, **კაკაუმ** და **შტრელერმა** ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა "წითლების" მეკარე **ენკეს** ბურთი თავზე გადაუგდო. არავის სჯეროდა, რომ გოლი გავიდოდა, რადგან ჟურავი და ბალიტში კართან ახლოს იყვნენ. მათ თავისუფლად შეეძლოთ ბურთის კარიდან გამოტანა, მაგრამ ერთმანეთს ხელი შეუშალეს. ჟურავმა ბურთს მკერდი დაუხვედრა და საკუთარ კარში გადაგზავნა (?!). სხვათა შორის, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ამ ფეხბურთელს ასეთი სულელური ავტოგოლი გააქვს. დაახლოებით ანალოგიური რამ მან 2003 წლის 14 დეკემბერს, ვოლფსბურგშიც გააკეთა და გუნდი მაშინაც დაღუპა. არცაა გასაკვირი, მატჩის შემდეგ "ჰანოვერის" თავკაცი **დიტერ ჰეკინგი** ცოფებს რომ ყრიდა, რადგან მისი შეგირდები "გოტლიბდაიმლერშტადიონიდან" მინიმუმ ქულის წაღებას იმსახურებდნენ.

"ჰერტას" ახალ თავკაც **კარსტენ ჰაინეს** ჩინებული დებიუტი გამოუვიდა - ბერლინელებმა რვამატჩიანი მოუგებელი სერია ბოხუმში შეწყვიტეს (3:1) და ოდნავ ამოისუნთქეს. ის ერთადერთი გოლი "ბოხუმიდან", რა თქმა უნდა, **თეოფანის გეკასმა** გაიტანა. ბერძენ ფორვარდს უკვე 17 გოლი აქვს და ეჭვი გვეპარება, ბომბარდირთა დავაში ვინმეს გასწრების უფლება რომ მისცეს. "კოტბუსმა" "ვოლფსბურგი" დაამარცხა და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება კი არა, "ენერგიმ", ლამისაა, უეფას თასის საგზურისთვის იბრძოლოს. სამაგიეროდ, ალბათ ველარ გადარჩება მიონხენგლადბახის "ბორუსია" - **იოს ლუჰუკაის** შეგირდები პარასკევს "ჰამბურგთანაც დამარცხდნენ (0:1) და ფსკერზე ჯერჯერობით უიმედოდ არიან.

შალკელები იმედოვნებდნენ, რომ კვირას "ვერდერი" ქულებს დაკარგავდა, რადგან ბრემენელები დორტმუნდის "ბორუსიას" სტუმრობდნენ, გუნდს, რომელიც ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის და რომელსაც ქულები ჰაერივით სჭირდება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთ-ერთი უიშვიათესი (შესაძლოა, ერთადერთიც) შემთხვევა, როცა "შალკეს" ფანები მოსისხლე მტერ "დორტმუნდს" ქომაგობდნენ, მაგრამ BVB-მ გელზენკირხენელებს იმედები გაუცრუა - **თომას დოლის** სამწუხოდ "ვერდერს" 3 ქულა გაატანა. "მუსიკოსებმა" 2:0 მოიგეს და ორივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანეს. 28-ე წუთზე **პატრიკ ოვომოიელამ** მარცხენა ფლანგზე გაილაღა და საჯარიმოში ჩააწოდა, **აარონ ჰანტმა** ბურთს თავი ვერ მოარტყა, სამაგიეროდ ივარგა **მიროსლავ კლოზემ**, რომელმაც **რომან ვაიდენფელერის** კარი ახლო მანძილიდან იოლად დალაშქრა. ზუსტად 11 წუთის შემდეგ კი, **დიეგომ**, **იურიცა ვრანიეშზე** წესების დარღვევისთვის დაფიქსირებული ჯარიმა შესანიშნავად დაარტყა და დორტმუნდელთა კარის დარაჯს ბურთი ცხრიანში ჩაუხვია. არადა, უნდა ითქვას, რომ შავ-ყვითლებმა პირველ ტაიმში **ტიმ ვიზეს** კართან არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ სხვადასხვა ეპიზოდში ვერ ივარგეს **ფლორიან კრინგემ**, **ტინგამ** და **ალექს ფრაიმ**. ამრიგად, "ვერდერი" "შალკეს" არ ჩამორჩა - ბრემენელებმა კობიაშვილის გუნდთან 2 ქულიანი ჩამორჩენა შეინარჩუნეს. აქვე უნდა შეგახსენოთ, რომ პირველ წრეში "დორტმუნდმა" "ვერდერს" ბრემენში 3:1 მოუგო...

მოიგო "ბაიერნმაც" - **ბასტიან შვაინშტაიგერის** გარეშე დარჩენილმა მიუნხენელებმა, "მილანთან" მარცხის გამო, თავიანთი ქომაგების თვალში რეაბილიტაცია "ლევერკუზენის" დამარცხებით მოახდინეს. რეკორდმაისტერმა, რომლის რიგებშიც **ოლივერ კანმა** (ბუნდესლიგის ეგიდით) საიუბილეო, მე-400 შეხვედრა ჩაატარა, "ბაიერს" 2:1 მოუგო. **ოტმარ ჰიტცფელდი** გამარჯვებას ჰოლანდიურ დუეტს უნდა უმადლოდეს. ანგარიში 30-ე წუთზე **მარკ ვან ბომელმა** გახსნა (მახვილი კუთხიდან **ადლერს** ბურთი თავზე გადაუგდო). მიუნხენელებმა მეორე გოლი, მეორე ტაიმის დაწყებისთანავე, 47-ე წუთზე გაიტანეს: **როი მაკაიმ ჰასან სალიჰამიჯიჩის** პასით ისარგებლა და "ბაიერის" კარის დარაჯი უშანსოდ დატოვა. ერთადერთი, რაც **მიხაელ სკიბეს** გუნდმა შეძლო, **ანდრეი ვორონინის** კინკილა და არაფრისმომტანი გოლი გახლდათ. ამრიგად, არც "ბაიერნი" ჩამორჩა "შტუტგარტს", "ლევერკუზენზე" კი ის უნდა ვთქვათ, რომ ამ გუნდმა მეხუთედან მე-6 ადგილზე გადაინაცვლა, ხუთეულში, ანუ, უეფას თასის ზონაში კი, "ნიურნბერგი" შეუშვა. "ფრანკებმა" შაბათს "ალემანიას" 1:0 მოუგეს...

### მომდევნო ტური

20 აპრილი. ვერდერი-ალემანია. 21 აპრილი. აინტრახტი-ბოხუმი, ვოლფსბურგი-არმინია, ჰერტა-ბორუსია (დ), ლევერკუზენი-ნიურნბერგი, შალკე-კოტბუსი, შტუტგარტი-ბაიერნი. 22 აპრილი. ჰამბურგი-მაინცი, ჰანოვერი-ბორუსია (მ).

### ბორუსია (მ)-ჰამბურგი 0:1

**ბორუსია (მ)**: კელერი-4, ბიოგელუნდი-3.5, სვენსონი-3.5 (82. კაჰე), გოჰური-4.5, იანსენი-4, სფერდი-4.5 (76. პოლანსკი), ელ ფაკირი-5, კლუგე-4, დელურა-5.5, რაფაელი-4, ინსუა-3.5 (65. ნოივილი-4.5).

**ჰამბურგი**: ფ. როსტი-3.5, ბენჯამინი-4, ბ. რაინჰარდტი-3.5 (47. აბელი-3.5), მატიისენი-3, სორინი-3.5, ლაასი-4, ვიკი-5, იაროლიმი-3.5, ბერიშა-5 (81. მაჰდავიკია), ვან დერ ვაარტი-4, ოლიჩი-5.5 (90. გერერო).

**გოლი**: 0:1 გერერო (91).

**გაფრთხილება**: 1-0; **დარტყმა**: 19-14; **კუთხური**: 8-5; **ჯარიმა**: 14-18; **ბურთის ფლობა**: 48%-52%.

**მაყურებელი**: 54 067.

### მაინცი-შალკე 0:3

**მაინცი**: ვახე-3, დემირტასი-5, მ. ფრიდრიხი-5, ნოვესკი-4.5, როზე-4.5, ანდრეასენი-5 (79. პეკოვიჩი), ფ. გერბერი-4.5, აზაუაგი-5, ფოილნერი-4.5 (59. დ. ვრანჩიჩი-4), რუმანი-5 (46. იოვანოვიჩი-4), ზიდანი-4.5.

**შალკე**: ნოიერი-3.5, რაფინია-3, ბორდონი-2, კრსტაიჩი-3.5, პანდერი-4, ჰამით ალთინთოფი-2.5, ფ. ერნსტი-2.5, იოზილი-3 (67. კობიაშვილი-3.5), ლინკოლნი-2.5 (80. ბაირამოვიჩი), ასამოა-3 (59. ჰალილ ალთინთოფი-4), კურანი-1.5.

**გოლები**: 0:1 კურანი (10), 0:2 ასამოა (34), 0:3 ლინკოლნი (71).

**გაფრთხილება**: 1-1; **დარტყმა**: 12-9; **კუთხური**: 5-0; **ჯარიმა**: 24-19; **ბურთის ფლობა**: 47%-53%.

**მაყურებელი**: 20 300.

### ბოხუმი-ჰერტა 1:3

**ბოხუმი**: დრობნი-2.5, მალტრიტცი-4, იაია-4, პ. ბიონიგი-3.5, ო. შრიოდერი-4, დაბროვსკი-4.5, ცდებელი-4 (77. ვან პუტი), მიშიმოვიჩი-4, ეპალე-3.5 (71. ტროიანი), გროტე-3.5 (64. ბეხმანი-3.5), გეკასი-2.5.

**ჰერტა**: ფიდლერი-3.5, ვან ბურიკი-4, ფათი-4, ჩაჰედი-3.5, დარდაი-3.5, მინეირო-4.5, ებერტი-4 (46. დეჟაგა-3), ბაშთურქი-3, ჟილბერტო-3, პანტელიჩი-4.5 (73. ედე), ხიმენესი-2.

**გოლები**: 1:0 გეკასი (1), 1:1 ხიმენესი (58), 1:2 ჟილბერტო (66), 1:3 ედე (90).

**გაფრთხილება**: 1-1; **დარტყმა**: 16-23; **კუთხური**: 3-7; **ჯარიმა**: 20-13; **ბურთის ფლობა**: 37%-63%.

**მაყურებელი**: 26 000.

### შტუტგარტი-ჰანოვერი 2:1

**შტუტგარტი**: ჰილდებრანდი-2.5, ოსორიო-4, მეირა-4, დელპიერი-3.5 (48. ტასკი-4), ბოკა-6, პარდო-3.5, ჰილბერტი-2.5, ხედირა-3.5, და სილვა-3.5 (63. ბიროფკა-3.5), ფარნერუდი-3.5 (46. შტრელერი-3), კაკაუ-4.

**ჰანოვერი**: ენკე-2.5, ჩერუნდოლო-2.5, ვინიციუსი-3.5, ჟურავი-4.5, ტარნატი-4, ბალიტში-4 (79. შრიოტერი), იანკოვი-3.5, როზენტალი-4 (46. შტაინერი-3.5), ბრუგინკი-3, ჰუშტი-4 (86. მონტაბელი), ჰაშემიანი-4.

**გოლები**: 1:0 ჰილბერტი (2), 1:1 ჩერუნდოლო (61), 2:1 ჟურავი (76-საკ. კარში).

**გაძევება**: ბოკა (84. შტუტგარტი).

**გაფრთხილება**: 0-2; **დარტყმა**: 13-18; **კუთხური**: 3-10; **ჯარიმა**: 20-20; **ბურთის ფლობა**: 45%-55%.

**მაყურებელი**: 50 000.

### არმინია-აინტრახტი 2:4

**არმინია**: ჰაინი-4, კორზინიტცი-4, ვეშტერმანი-5, გაბრიელი-5 (60. კამპერი-4), შულერი-5, კაუფი-4, კუჩერა-3.5, ბიომე-3.5, დ. კობილიკი-4.5 (69. მასმანიდისი-3.5), ზუმა-4, ვიხნიარეკი-4 (71. აიგლერი).

**აინტრახტი**: ნიკოლოვი-3.5, რემერი-3.5, რუსი-3, ვასოსკი-2.5, შპიხერი-3.5, ჰუგელი-3.5, მ. ფინკი-3.5, ა. მაიერი-4 (84. კრისი), კიოლერი-3.5, ამანატიდისი-2 (69. ჰელერი-3), ტაკაჰარა-4.5.

**გოლები**: 0:1 ამანატიდისი (10), 1:1 კუჩერა (28), 1:2 ვასოსკი (33), 1:3 ამანატიდისი (47), 2:3 აიგლერი (81), 2:4 ჰელერი (92).

**გაფრთხილება**: 2-0; **დარტყმა**: 14-9; **კუთხური**: 10-5; **ჯარიმა**: 12-17; **ბურთის ფლობა**: 61%-39%.

**მაყურებელი**: 22 000.

### კოტბუსი-ვოლფსბურგი 3:2

**კოტბუსი**: პიპლიცა-3.5, და სილვა-3.5, მაკენა-3, კვიტანოვიჩი-4, ტ. როსტი-2, სკელა-3.5 (70. ბანდროვსკი-3.5), მუნტეანუ-2, ბაუმგარტი-3.5 (64. შაო-3.5), რადუ-2.5, კიოიო-3 (89. კოუნტცელი).

**ვოლფსბურგი**: იენტცში-3.5, კიროგა-4, მიორლე-4.5, ჰოფლანდი-4, ვან დერ ჰეიდენი-4, სანტანა-4, ვან დერ ლეეგტე-3.5, მაკიადი-3, მარსელინიო-3.5 (62. ჰანკე-3), კრჟინოვეკი-4.5 (72. ჰილი), ბოაკი-3.5.

**გოლები**: 1:0 რადუ (20), 2:0 მუნტეანუ (56), 3:0 კიოიო (57), 3:1 ბოაკი (66), 3:2 მაკიადი (90).

**გაფრთხილება**: 1-1; **დარტყმა**: 10-15; **კუთხური**: 3-3; **ჯარიმა**: 17-20; **ბურთის ფლობა**: 38%-62%.

**მაყურებელი**: 12 000.

### ნიურნბერგი-ალემანია 1:0

**ნიურნბერგი**: რ. შეფერი-3.5, ა. ვოლფი-4, ბოშამი-5, პინოლა-3, კრისტიანსენი-3.5 (85. პაულუსი), გალაშეკი-4, პოლაკი-3.5 (69. გლაუბერი-4), ენგელჰარდტი-3.5, პაგენბურგი-2.5 (78. ბანოვიჩი), შროთი-5, საენკო-3.5.

**ალემანია**: ნიხთი-3.5, შტელე-4.5, კლიტცპერა-4, ჰერციგი-3, ლეივაკაბესი-3.5, მ. ლემანი-4, ფილი-4 (83. დუმი), ს. პინტუ-4.5 (46. იბიშევიჩი-3), რეგეკამპფი-5, რიოსლერი-3, შლაუდრაფი-5 (61. ებერსი-5).

**გოლი**: 1:0 პაგენბურგი (12).

**გაძევება**: რიოსლერი (93. ალემანია).

**გაფრთხილება**: 3-6; **დარტყმა**: 16-9; **კუთხური**: 5-2; **ჯარიმა**: 21-20; **ბურთის ფლობა**: 56%-44%.

**მაყურებელი**: 45 000.

### ბორუსია (დ)-ვერდერი 0:2

**ბორუსია (დ)**: ვაიდენფელერი-3.5, ფ. დეგენი-4.5, ვიორნსი-4.5, კ. მეტცელდერი-4.5, დედე-3.5 (43. შაჰინი-3.5), კრუსკა-4.5, კრინგე-5, ტინგა-4, პიენაარი-5 (61. ვალდესი-4.5), სმოლიარეკი-5 (72. საკა), ფრაი-5.

**ვერდერი**: ვიზე-2.5, ფრიტცი-3.5, პა[illegible]ნენი-3, ნალდო-3, ოვომოიელა-3, ფრინგსი-3, ვრანიეში-3, ბოროვსკი-3.5 (52. [illegible]), [illegible], ჰანტი-3.5 (68. როზენბერგი-4), [illegible] (88. ნიმაიერი).

**გოლები**: 0:1 კლოზე (28), 0:2 [illegible].

**გაფრთხილება**: 3-0; **დარტყმა**: 11-9; **კუთხური**: 6-3.

**მაყურებელი**: 81 000.

### ბაიერნი-ლევერკუზენი 2:1

**ბაიერნი**: კანი-3, ლელი-4, ლუსიო-4, ვან ბუიტენი-5, ლამი-2.5, ჰარგრივსი-4, სალიჰამიჯიჩი-2.5, ვან ბომელი-3 (89. ისმაელი), სანტა კრუსი-4.5 (80. გიორლიტცი), პოდოლსკი-5 (75. პისარო), მაკაი-3.

**ლევერკუზენი**: ადლერი-4, კასტრო-4, კალსენ-ბრაკერი-3, ჰაგი-4.5 (64. მადუნი-3.5), შტენმანი-4 (84. პაპადოპულოსი), შვეგლერი-4 (72. ატირსონი), როლფესი-3.5, ფრაიერი-3, ბარბარესი-4.5, ბარნეტა-3, ვორონინი-2.5.

**გოლები**: 1:0 ვან ბომელი (30), 2:0 მაკაი (47), 2:1 ვორონინი (60).

**გაფრთხილება**: 1-3; **დარტყმა**: 10-5; **კუთხური**: 8-5.

**მაყურებელი**: 69 000.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 29 | 18 | 5 | 6 | 47-27 | 59 |
| 2. ვერდერი | 29 | 17 | 6 | 6 | 64-33 | 57 |
| 3. შტუტგარტი | 29 | 16 | 7 | 6 | 51-34 | 55 |
| 4. ბაიერნი | 29 | 16 | 5 | 8 | 45-33 | 53 |
| 5. ნიურნბერგი | 29 | 10 | 14 | 5 | 39-26 | 44 |
| 6. ლევერკუზენი | 29 | 12 | 6 | 11 | 45-42 | 42 |
| 7. კოტბუსი | 29 | 10 | 8 | 11 | 35-39 | 38 |
| 8. ჰერტა | 29 | 10 | 8 | 11 | 41-46 | 38 |
| 9. ჰანოვერი | 29 | 9 | 8 | 12 | 35-43 | 35 |
| 10. ვოლფსბურგი | 29 | 8 | 11 | 10 | 32-35 | 35 |
| 11. ჰამბურგი | 29 | 7 | 14 | 8 | 33-31 | 35 |
| 12. აინტრახტი | 29 | 7 | 13 | 9 | 39-50 | 34 |
| 13. ბოხუმი | 29 | 9 | 6 | 14 | 37-46 | 33 |
| 14. ალემანია | 29 | 9 | 6 | 14 | 43-53 | 33 |
| 15. ბორუსია (დ) | 29 | 8 | 8 | 13 | 33-41 | 32 |
| 16. არმინია | 29 | 7 | 9 | 13 | 35-41 | 30 |
| 17. მაინცი | 29 | 7 | 9 | 13 | 26-46 | 30 |
| 18. ბორუსია (მ) | 29 | 6 | 7 | 16 | 22-36 | 25 |

**ბომბარდირები**: 17 - გეკასი (ბოხუმი); 14 - მაკაი (ბაიერნი); 13 - გომესი (შტუტგარტი), ფრაი (ბორუსია დ), კურანი (შალკე); 12 - კლოზე (ვერდერი), რადუ (კოტბუსი); 11 - ზიდანი (მაინცი), მუნტეანუ (კოტბუსი), დიეგო (ვერდერი), პანტელიჩი (ჰერტა); 10 - ტაკაჰარა (აინტრახტი), კაკაუ (შტუტგარტი), ხიმენესი (ჰერტა).

### II ბუნდესლიგა

XXIX ტური

**აუგსბურგი-დუისბურგი 1:2**

გოლები: 1:0 ბენშნაიდერი (22), 1:! მოხტარი (58), 1:2 დაუნი (74)

**ბრაუნშვაიგი-ჰანზა 1:1**

გოლები: 0:1 ჩეტკოვიჩი (36), 1:1 ოტასილიო (56)

**პადერბორნი-მიუნხენი 3:0**

გოლები: 1:0 მილერი (7), 2:0 ბრაუერსი (72), 3:0 რიოტგერი (83)

**ესენი-უნტერჰახინგი 1:1**

გოლები: 1:0 ბუხერი (11-საკ. კარში), 1:1 ლეხლაიტერი (60)

**კარლსრუე-კობლენცი 3:1**

გოლები: 1:0 კაპლანი (5), 1:1 ლანგენი (16), 2:1 პორსელო (67), 3:1 ფედერიკო (90)

**კიოლნი-ფრაიბურგი 0:3**

გოლები: 0:1 პიტროიპა (12), 0:2 იაშვილი (49-პენ), 0:3 მატმური (54)

**კაიზერსლაუტერნი-ფიურტი 3:0**

გოლები: 1:0 რიილაჰტი (19), 2:0 ოპარა (61), 3:0 სიმპსონი (86)

**ოფენბახი-ბურგჰაუზენი 2:1**

გოლები: 1:0 ტურკერი (37). 1:1 ბურხარდტი (57), 2:1 ტურკერი (79)

**კარლ ცაისი-აუე დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარლსრუე | 29 | 18 | 6 | 5 | 61-34 | 60 |
| 2. ჰანზა | 29 | 14 | 13 | 2 | 43-23 | 55 |
| 3. დუისბურგი | 29 | 14 | 10 | 5 | 56-34 | 52 |
| 4. ფრაიბურგი | 29 | 14 | 9 | 6 | 46-33 | 51 |
| 5. ფიურტი | 29 | 14 | 6 | 9 | 46-33 | 48 |
| 6. კაიზერი | 29 | 12 | 11 | 6 | 38-27 | 47 |
| 7. აუგსბურგი | 29 | 11 | 9 | 9 | 35-27 | 42 |
| 8. აუე | 28 | 13 | 3 | 12 | 40-39 | 42 |
| 9. კიოლნი | 29 | 11 | 8 | 10 | 41-40 | 41 |
| 10. მიუნხენი | 29 | 12 | 5 | 12 | 39-42 | 41 |
| 11. პადერბორნი | 29 | 9 | 9 | 11 | 29-30 | 36 |
| 12. ოფენბახი | 29 | 9 | 6 | 14 | 36-48 | 33 |
| 13. კობლენცი | 29 | 8 | 8 | 13 | 29-40 | 32 |
| 14. ესენი | 29 | 7 | 8 | 14 | 31-36 | 29 |
| 15. უნტერჰახინგი | 29 | 7 | 8 | 14 | 29-43 | 29 |
| 16. ბურგჰაუზენი | 29 | 6 | 9 | 14 | 34-55 | 27 |
| 17. კარლ ცაისი | 28 | 6 | 8 | 14 | 28-48 | 26 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 29 | 3 | 8 | 18 | 15-44 | 17 |

**ბომბარდირები**: 15 - ფედერიკო (კარლსრუე); 15 - კაპლანი (კარლსრუე); 13 - ტურკერი (ოფენბახი); 12 - ტიმი (ფიურტი), მოხტარი (დუისბურგი); 11 - ჰელმესი (კიოლნი), კერნი (ჰანზა); 10 - ლოური (აუგსბურგი), ლავრიჩი (დუისბურგი).

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXXI ტური

დორტმუნდი II-ვუპერტალი 1:0; ლიუბეკი-მაგდებურგი 0:1; ვილჰელმშავენი-ოსნაბრიუკი 1:0; უნიონი-ფორტუნა 1:0; ემდენი-გლადბახი II 1:1; ლევერკუზენი II-ალენი 0:1; სტ.პაული-კილი 2:0; ვერდერი II-დინამო (დ) 1:1; ჰერტა II-ერფურტი 1:1.

### რეგიონალლიგა (სამ)

XXVII ტური

ბაიერნი II-პირმასენსი 1:2; როიტლინგენი-შტ.კიკერსი 0:1; ზაარბრიუკენი-მიუნხენი II 5:2; ზიგენი-ვეენი 1:3; დარმშტადტი-ჰოფენჰაიმი 2:0; კაიზერი II-კარლსრუე II 0:1; პფიულენდორფი-კასელი 1:2; ინგოლშტადტი-ელვერსბერგი 0:0; შტუტგარტი II-აალენი 0:3.

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIV ტური

# ჩემპიონთა ლიგის საგზურები განაწილდა?



არსენალს ფაბრეგასმა მოაგებინა

**სესკ ფაბრეგასმა** აგვისტოს შემდეგ პირველი გოლი შეაგდო. "არსენალმა" კი მისი წყალობით, ბოლო ხუთ შეხვედრაში პირველად გაიმარჯვა. ახლა "მეთოფეებსა" და მათ მდევარ "ბოლტონს" ხუთი ქულა ჰყოფთ. სამშაბათს "არსენალი" "მანჩესტერ სიტისთან" გამოტოვებულ შეხვედრას ჩაატარებს და მორიგი გამარჯვების შემთხვევაში, თითქმის გაინაღდებს ჩემპიონთა ლიგის საგზურს.

ანგარიში ლონდონელთა ყოფილმა ვარსკვლავმა **ნიკოლა ანელკამ** გახსნა. შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე **ტომაშ როსიცკიმ** წონასწორობა აღადგინა. ფაბრეგასის გოლი ზემოთ ვახსენეთ. თამაშს მაშინ დაესვა წერტილი, როცა არბიტრმა **ივან კამპოს** მეორე ყვითელი ბარათი აუფრიალა და გასახდელისაკენ მიუთითა.

გამარჯვების შემთხვევაში, "ბოლტონი" მეოთხე ადგილზე აღზევდებოდა. სტუმრებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და პირველი სახიფათო მომენტი შექმნეს. **ელ ჰაჯი დიუფმა** საჯარიმოს ხაზიდან დასცხო. ბურთმა ხარიხას გადაუფრინა. ბოლტონელები მე-11 წუთზე დაწინაურდნენ. **ნიკი ჰანტის** ჩაწოდებას საჯარიმოში არეულობა მოჰყვა. ანელკას დარტყმული ხაზზე მდგომ **ვილიამ გალასს** ხელში მოხვდა და კარში შეგორდა.

"არსენალი" გააქტიურდა. კონტრშეტევებზე სახიფათოდ მოქმედებდა "ბოლტონი". რამდენიმე წარუმატებელი იერიშის შემდეგ მასპინძლებმა 31-ე წუთზე გაათანაბრეს. **ადებაიორი** საჯარიმოში მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა. მან კარის გასწვრივ რბილად ჩაკიდა. ჰანტი ბურთის დაშვებას დაელოდა. როსიცკიმ მასაც დაასწრო და მეკარესაც და ორი იარდიდან გაიტანა.

შესვენებამდე ლონდონელებმა რამდენიმე უშედეგო იერიში მოაწყვეს, მაგრამ მეორე გოლი მხოლოდ შესვენების შემდეგ გავიდა. **ჟილბერტოს** გრძელი პასისას **გარი სპიდს** ფეხი მოუცურდა. ბურთი დაუბრკოლებლად მივიდა ფაბრეგასამდე. სესკი **მეიტეს** გასცდა და 15 იარდიდან თავისიანებს მნიშვნელოვანი სამი ქულა მოუტანა...

"ლივერპულმა" "მანჩესტერ სიტისთან" მოსაწყენი ფეხბურთი ითამაშა. ანგარიშიც ასეთივე მოსაწყენი იყო, 0:0. "სიტიმ" წაუგებელი სერია ხუთ მატჩამდე აიყვანა. **სტიუარტ პირსის** შეგირდებს გავარდნა აღარ ემუქრებათ. შეხვედრის მიწურულს **დამარკუს ბისლიმ** ხარიხა შეაზანზარა. ბურთი სანტიმეტრებით ქვემოთ რომ წასულიყო, "ლივერპული" წაგებას ვერ გადაურჩებოდა.

თამაშის წინ სტუმარმა ფანებმა და ფეხბურთელებმა "ჰილსბოროზე" დაღუპულ ფანებს მიაგეს პატივი. ტრაგედია 18 წლის წინ, 1989 წლის 15 აპრილს, ნოტინგემში მოხდა. "უენსდეისა" და "ლივერპულის" კალენდარული მატჩის პირველ წუთებზე სტუმარი ფანებით სავსე ტრიბუნაზე ჭყლეტის შედეგად 93 ფანი დაიღუპა. შაბათს ლივერპულელთა ტრიბუნა საგანგებო ბანერებით იყო მორთული. მერსისაიდელებმა შავი სამკლაურებით ითამაშეს. "სიტის" ლივერპულელმა ნახევარმცველმა **ჯოი ბარტონმა** კი სტუმარი ფანების სექტორთან ყვავილების თაიგული დადო.

თამაშის დეტალებით თავს არ შეგაწყენთ. გეტყვით მხოლოდ, რომ ერთმატჩიანი პაუზის შემდეგ ძირითადს დაუბრუნდნენ **ფინენი, კარაგერი, ჯერარდი** და **მასკერანო**. ჯერარდმა წინ წაწეულ ნახევარმცველად ითამაშა. **რაფა ბენიტესს** მხოლოდ ერთი თავდამსხმელი **დირკ კუიტი** ჰყავდა გამოყვანილი...

"ვესტ ჰემთან" 3:0-ის წყალობით, "შეფილდ იუნაიტედი" სახიფათო ზონიდან ამოძვრა. "ჩაქუჩების" მდგომარეობა კი გართულდა. შეფილდელებს ბოლო ხუთ თამაშში ერთი ქულა ჰქონდათ მოპოვებული. ლონდონელები მოგებათა სამმატჩიანი სერიით იწონებდნენ თავს. პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად 40 ქულაა საჭირო. **ნილ უორნოკის** შეგირდებს ამ ნიშნულამდე ექვსი ქულა უკლიათ. მათი პრობლემები "ვესტ ჰემისას" ვერც კი შეედრება. **ალან კერბიშლის** გუნდს "ჩელსისა" და "მანჩესტერთან" მატჩები ელის. "ჩაქუჩების" გადასარჩენად პატარა სასწაული დასჭირდებათ...

"ფულჰემის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ლორი სანჩესის** დებიუტი წარუმატებელი აღმოჩნდა. მან **სტივ კოპელის** "რედინგთან" ვერაფერი გააწყო, 0:1. "რედინგი" სანჩეს-ფეხბურთელის პირველი პროფესიული კლუბი იყო. ლონდონელებმა ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს. **პაპა ბუბა დიოპს** საეჭვო გოლი გაუუქმეს. სტუმართა დაცვამ საკმაოდ სუსტად ითამაშა. განსაკუთრებით სუსტი იყო **ფრანკ კუოდროს** მარცხენა ფლანგი...

| 11. მონსი | 29 | 9 | 7 | 13 | 30-35 | 34 |
| 12. მუსკრონი | 29 | 7 | 11 | 11 | 39-48 | 32 |
| 13. ბრიუსელი | 29 | 6 | 13 | 10 | 34-42 | 31 |
| 14. ვარეგემი | 28 | 7 | 9 | 12 | 31-41 | 30 |
| 15. სტ. ტრუიდენ | 29 | 7 | 8 | 14 | 33-43 | 29 |
| 16. ლოკერენი | 29 | 5 | 13 | 11 | 27-38 | 28 |
| 17. ბევერენი | 29 | 5 | 8 | 16 | 26-49 | 23 |
| 18. ლიერსი | 29 | 4 | 6 | 19 | 22-55 | 18 |

### II დივიზიონი

XXIX ტური

დენდერი-სტ.ჟილი 3:0; დესელი-პამე 3:0; ეუპენი-ჰევერლე 0:0; კორტრიიკი-რონსე 2:1; ვაასლანდი-დაინცე 4:3; ტუბეკე-მეხელენი 0:1; ანტვერპენი-რასინგი 2:0; ოსტენდე-ვირტონი 3:2; ტინენი-ლომელი 0:3.

## ავსტრია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| მატერსბურგი-აუსტრია | 3:1 |
| შტურმი-ზალცბურგი | 0:2 |
| ალტახი-გრაცერი | 3:1 |
| რაპიდი-ტიროლი | 2:1 |
| რიდი-პაშინგი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 28 | 18 | 7 | 3 | 58-17 | 61 |
| 2. მატერსბურგ | 28 | 13 | 6 | 9 | 41-42 | 45 |
| 3. რაპიდი | 28 | 10 | 9 | 9 | 39-39 | 39 |
| 4. რიდი | 28 | 9 | 11 | 8 | 34-31 | 38 |
| 5. პაშინგი | 28 | 10 | 8 | 10 | 32-30 | 38 |
| 6. აუსტრია | 28 | 8 | 11 | 9 | 31-33 | 35 |
| 7. ალტახი | 28 | 9 | 3 | 16 | 38-51 | 30 |
| 8. გრაცერი | 28 | 7 | 9 | 12 | 37-47 | 30 |
| 9. ტიროლი | 28 | 7 | 9 | 12 | 30-43 | 30 |
| 10. შტურმი | 28 | 10 | 5 | 13 | 29-36 | 22 |

*შტურმს დაკლებული აქვს 13 ქულა*

## ნორვეგია

II ტური

| | |
|---|---|
| ფრედრიკსტადი-ლინი | 3:1 |
| ვოლერენგა-სტაბეკი | 1:1 |
| როზენბორგი-ტრომსიო | 4:3 |
| სანდეფიორდი-აალესუნდი | 3:0 |
| ოდ გრენლანდი-ლილესტრომი | 0:1 |
| სტარტი-ვიკინგი | 1:1 |
| ბრანი-სტრიომსგოდსეტი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილესტრომი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. სტარტი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 3. როზენბორგი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-4 | 4 |
| 4. ლინი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 5. სტრიომსგოდ | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 6. ბრანი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 7. ტრომსიო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 8. ფრედრიკსტ | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 9. სანდეფიორდ | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 1 |
| 10. ვიკინგი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 1 |
| 11. ვოლერენგა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 12. სტაბეკი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 13. ოდ გრენლ | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 14. აალესუნდი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |

### II დივიზიონი

II ტური

მიოლდე-მოსი 3:0; რაუფოსი-ლოვ ჰამი 0:0; სკეიდი-ნოტოდენი 1:1; ტრიომსდალენი-ჰიონეფოსი 1:2; ბოდო გლიმტი-მანდალი 8:1; ჰაუგესუნდი-სპარტა 2:1; ბრინი-სიოგნდალი 2:1; კონგსვინგერი-ჰამარი 0:1.

## პოლონეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ზაგლემბე-ლკს | 1:1 |
| ლეხი-გროცლინი | 2:2 |
| ვიძევი-პოლონია | 0:0 |
| ლეჩნა-კორონა | 1:3 |
| ლეგია-არკა | 3:0 |
| ოდრა-გურნიკი | 0:0 |
| პოგონი-ვისლა | 1:1 |
| კრაკოვია-ბელხატოვი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელხატოვი | 21 | 13 | 3 | 5 | 47-22 | 42 |
| 2. კორონა | 21 | 12 | 4 | 5 | 31-20 | 40 |
| 3. ზაგლემბე | 21 | 11 | 7 | 3 | 31-22 | 40 |
| 4. ლეგია | 21 | 10 | 4 | 7 | 35-22 | 34 |
| 5. ლკს | 21 | 8 | 9 | 4 | 24-19 | 33 |
| 6. ვისლა | 21 | 7 | 12 | 2 | 33-16 | 33 |
| 7. კრაკოვია | 21 | 9 | 5 | 7 | 28-30 | 32 |
| 8. ლეხი | 21 | 6 | 9 | 6 | 35-29 | 27 |
| 9. გროცლინი | 21 | 4 | 14 | 3 | 22-20 | 26 |
| 10. არკა | 19 | 4 | 10 | 5 | 22-22 | 22 |
| 11. ვიძევი | 20 | 5 | 6 | 9 | 18-25 | 21 |
| 12. გურნიკი | 21 | 5 | 5 | 11 | 22-33 | 20 |
| 13. ოდრა | 21 | 3 | 9 | 9 | 16-30 | 18 |
| 14. ლეჩნა | 19 | 4 | 5 | 10 | 13-38 | 17 |
| 15. პოგონი | 21 | 3 | 7 | 11 | 17-27 | 16 |
| 16. პოლონია | 20 | 2 | 9 | 9 | 14-33 | 15 |

## პორტუგალია

XXV ტური

| | |
|---|---|
| სპორტინგი-მარიტიმუ | 4:0 |
| ბელენენსეში-ამადორა | 3:0 |
| აკადემიკა-პორტუ | 1:2 |
| ნასიონალი-ავეში | 3:4 |
| ნავალი-ფერეირა | 1:1 |
| სეტუბალი-ბეირა მარი | 1:3 |
| ბოავიშტა-ლეირია | 1:1 |
| ბენფიკა-ბრაგა | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 25 | 19 | 2 | 4 | 54-15 | 59 |
| 2. სპორტინგი | 25 | 16 | 7 | 2 | 40-13 | 55 |
| 3. ბენფიკა | 24 | 16 | 5 | 3 | 46-18 | 53 |
| 4. ბელენენსეშ | 25 | 13 | 4 | 8 | 30-20 | 43 |
| 5. ბრაგა | 24 | 11 | 5 | 8 | 30-28 | 38 |
| 6. ფერეირა | 25 | 9 | 9 | 7 | 28-33 | 36 |
| 7. ნასიონალი | 25 | 9 | 5 | 11 | 36-34 | 32 |
| 8. ლეირია | 25 | 8 | 8 | 9 | 18-23 | 32 |
| 9. ნავალი | 25 | 7 | 10 | 8 | 24-26 | 31 |
| 10. მარიტიმუ | 25 | 8 | 6 | 11 | 28-36 | 30 |
| 11. ბოავიშტა | 25 | 6 | 11 | 8 | 27-28 | 29 |
| 12. ამადორა | 25 | 6 | 7 | 12 | 18-33 | 25 |
| 13. აკადემიკა | 25 | 5 | 7 | 13 | 27-41 | 22 |
| 14. ავეში | 25 | 4 | 7 | 14 | 19-33 | 19 |
| 15. ბეირა მარი | 25 | 3 | 10 | 12 | 26-48 | 19 |
| 16. სეტუბალი | 25 | 4 | 7 | 14 | 17-39 | 19 |

### II დივიზიონი

XXV ტური

პორტიმონენსე-მოსკავიდე 1:1; ვიზელა-სანტა კლარა 2:0; რიუ ავე-ტროფენსე 2:1; ვარზიმი-ჟილ ვისენტე 0:0; პენაფიელი-შავეში 0:0; გიმარაეში-ეშტორილი 3:1; გონდომარი-ფეირენსე 1:0; ოლანენსე-ლეიქსოეში 1:2.

## თურქეთი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| გენჩლერი-გალათასარაი | 1:3 |
| საქარია-ბეშიქთაში | 1:1 |
| ანკარასპორი-ქონია | 4:2 |
| ბურსა-კაისერი | 0:3 |
| რიზე-ტრაბზონი | 3:2 |
| ერჩიესი-ანკარაგიუჯუ | 0:1 |
| ანთალია-დენიზლი | 1:1 |
| შივასი-გაზიანთეფი | 2:1 |
| ფენერბაჰჩე-მანისა | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 28 | 16 | 8 | 4 | 53-25 | 56 |
| 2. ბეშიქთაში | 28 | 15 | 7 | 6 | 39-24 | 52 |
| 3. გალათასარაი | 28 | 13 | 9 | 6 | 49-30 | 48 |
| 4. კაისერი | 28 | 11 | 11 | 6 | 44-34 | 44 |
| 5. შივასი | 28 | 12 | 5 | 11 | 34-36 | 41 |
| 6. ტრაბზონი | 28 | 11 | 6 | 11 | 39-36 | 39 |
| 7. ანკარა | 28 | 8 | 14 | 6 | 33-30 | 38 |
| 8. ქონია | 28 | 10 | 8 | 10 | 37-37 | 38 |
| 9. გენჩლერი | 28 | 11 | 5 | 12 | 35-36 | 38 |
| 10. ანთალია | 28 | 8 | 13 | 7 | 29-28 | 37 |
| 11. ბურსა | 28 | 10 | 7 | 11 | 28-34 | 37 |
| 12. ანკარაგიუჯ | 28 | 9 | 8 | 11 | 27-29 | 35 |
| 13. გაზიანთეფი | 28 | 9 | 8 | 11 | 26-33 | 35 |
| 14. მანისა | 27 | 9 | 6 | 12 | 35-39 | 33 |
| 15. რიზე | 28 | 9 | 5 | 14 | 26-32 | 32 |
| 16. დენიზლი | 28 | 7 | 10 | 11 | 26-36 | 31 |
| 17. ერჩიესი | 28 | 7 | 7 | 14 | 22-43 | 28 |
| 18. საქარია | 27 | 3 | 9 | 15 | 18-38 | 18 |

## შვედეთი

II ტური

| | |
|---|---|
| ჰამარბიუ-ტრელებორგსი | 3:0 |
| კალმარი-ბრომაპოიკარნა | 2:2 |
| იურგორდენი-ჰალმსტადი | დღეს |
| ჰელსინგბორგსი-გეფლე | დღეს |
| მალმიო-გაის | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰამარბიუ | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 2. ბრომაპოიკარ | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. კალმარი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 4. ჰალმსტადი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 5. გეფლე | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 6. ერგრიუ | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 7. ელფსბორგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 8. მალმიო | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 9. გიოტებორგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 10. გაის | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 11. ტრელებორგ | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 12. იურგორდენ | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 13. აიკ | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 14. ჰელსინგბორ | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |

### II დივიზიონი

I ტური

ოსტერსი-ჰაკენი 1:2; ფალკენბერგსი-სილვია 2:2; სირიუსი-ლიუნგსკილე 3:1; დანარჩენი მატჩები დღეს დაიწყება.

## უკრაინა

XXII ტური

| | |
|---|---|
| მეტალისტი-მეტალურგი (ზ) | 1:0 |
| ტავრია-შახტარი | 1:3 |
| ილიჩივეცი-დინამო | 2:3 |
| ზორია-კრივბასი | 1:1 |
| ვორსკლა-კარპატი | 1:2 |
| დნიპრო-ხარკოვი | 1:0 |
| მეტალურგი (დ)-ჩერნომორეცი | 1:0 |
| არსენალი-სტალი | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 22 | 17 | 5 | 0 | 51-16 | 56 |
| 2. შახტარი | 22 | 17 | 3 | 2 | 48-10 | 54 |
| 3. მეტალისტი | 21 | 10 | 6 | 5 | 22-17 | 36 |
| 4. დნიპრო | 22 | 8 | 11 | 3 | 21-14 | 35 |
| 5. ტავრია | 22 | 9 | 4 | 9 | 20-22 | 31 |
| 6. კარპატი | 21 | 8 | 7 | 6 | 20-22 | 31 |
| 7. კრივბასი | 22 | 6 | 12 | 4 | 25-25 | 30 |
| 8. ჩერნომორეც | 22 | 7 | 5 | 10 | 29-31 | 26 |
| 9. არსენალი | 22 | 6 | 8 | 8 | 21-27 | 26 |
| 10. მეტალურ (დ) | 22 | 6 | 8 | 8 | 20-26 | 26 |
| 11. მეტალურ (ზ) | 22 | 6 | 8 | 8 | 15-24 | 26 |
| 12. ხარკოვი | 22 | 6 | 6 | 10 | 20-30 | 24 |
| 13. სტალი | 22 | 5 | 4 | 13 | 20-26 | 19 |
| 14. ვორსკლა | 22 | 5 | 4 | 13 | 15-24 | 19 |
| 15. ილიჩივეცი | 22 | 4 | 6 | 12 | 17-28 | 18 |
| 16. ზორია | 22 | 3 | 7 | 12 | 15-37 | 16 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

XXXIV ტური

| | |
|---|---|
| ჰამილტონი-[illegible] | 0:0 |
| პარტიკი-დანდი | 2:1 |
| ქუინი-ლივინგსტონი | 1:1 |
| როსი-ეირდრი | 1:1 |

### II დივიზიონი

XXXIV ტური

| | |
|---|---|
| ალოა-კოუდენბითი | 0:0 |
| ეირი-სტირლინგი | 3:2 |
| ბრეჩინი-პიტერჰედი | 3:1 |
| რეითი-მორტონი | 2:0 |
| სტრანრარი-ფორფარი | 4:1 |

### III დივიზიონი

XXXIV ტური

| | |
|---|---|
| ალბიონი-ბერვიკი | 0:1 |
| არბროთი-ქუინზ პარკი | 1:0 |
| დამბარტონი-მონროუზი | 2:1 |
| ელგინი-ისტ სტირლინგი | 2:1 |
| სტენჰაუზმური-ისტ ფაიფი | 3:5 |

## შოტლანდიის თასი

### 1/2 ფინალი

| | |
|---|---|
| სტ. ჯონსტონი-სელტიკი | 1:2 |
| ჰიბერნიანი-დანფერმლაინი | 0:0 |

## დანია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ოლბორგი-ბრონდბიუ | 3:2 |
| ესბერგი-ჰორსენსი | 0:1 |
| მიდტიულანდი-ნორდსილანდი | 1:1 |
| ვეილე-რანდერსი | 0:2 |
| ვიბორგი-სილკებორგი | 2:1 |
| კოპენჰაგენი-ოდენსე | 4:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 24 | 17 | 6 | 1 | 50-18 | 57 |
| 2. მიდტიულან. | 24 | 13 | 7 | 4 | 45-28 | 46 |
| 3. ოდენსე | 24 | 13 | 6 | 5 | 35-25 | 45 |
| 4. ოლბორგი | 24 | 12 | 5 | 7 | 37-28 | 41 |
| 5. ნორდსილან. | 24 | 11 | 6 | 7 | 48-27 | 39 |
| 6. ბრონდბიუ | 24 | 9 | 8 | 7 | 37-26 | 35 |
| 7. რანდერსი | 24 | 8 | 6 | 10 | 29-36 | 30 |
| 8. ესბერგი | 24 | 7 | 8 | 9 | 35-37 | 29 |
| 9. ჰორსენსი | 24 | 6 | 8 | 10 | 19-32 | 26 |
| 10. ვიბორგი | 24 | 7 | 4 | 13 | 25-46 | 25 |
| 11. სილკებორგი | 24 | 3 | 3 | 18 | 24-49 | 12 |
| 12. ვეილე | 24 | 2 | 5 | 17 | 23-55 | 11 |

### II დივიზიონი

XIX ტური

ბრაბრანდი-კიოგე 1:1; ორჰუსი-ჰიკ 0:0; სიონდერილი-აგფ ორჰუსი 0:1; ფრემი-აკადემისკი 1:1; ფრედერისია-ოლსტიკე 1:0; ფრემადი-ტისტედი 2:1; ნაესტვედი-ლუნგბიუ 2:2; ჰერფიოლგე-კიოლდინგი 4:2.

## სლოვაკეთი

### ფინალური ზონა

| | |
|---|---|
| არტმედია-შენეცი | 5:2 |
| ჟილინა-ნიტრა | 4:1 |
| სლოვანი-რუჟომბეროკი | 1:0 |
| კოშიცე-ბისტრიცა | 5:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არტმედია | 6 | 5 | 1 | 0 | 14-3 | 16 |
| 2. ჟილინა | 6 | 5 | 1 | 0 | 16-5 | 16 |
| 3. კოშიცე | 6 | 3 | 1 | 2 | 9-6 | 10 |
| 4. სლოვანი | 6 | 3 | 1 | 2 | 6-5 | 10 |
| 5. რუჟომბეროკი | 6 | 2 | 0 | 4 | 6-5 | 6 |
| 6. ნიტრა | 6 | 1 | 1 | 4 | 3-9 | 4 |
| 7. შენეცი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-18 | 4 |
| 8. ბისტრიცა | 6 | 1 | 0 | 5 | 3-12 | 3 |

### გასავარდნი ზონა

VI ტური

სობოტა-ინტერი 2:0; მორავცე-დუსლო 3:2; ტრნავა-დუბნიცა 0:2; მოჩენოკი-ტრენჩინი 0:3.

## სლოვენია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ნაფტა-პრიმორიე | 1:1 |
| გორიცა-პუბლიკუმი | 1:3 |
| დრავა-მარიბორი | 1:1 |
| ფაქტორი-კოპერი | 0:1 |
| ბელა კრაინა-დომჟალე | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დომჟალე | 28 | 17 | 10 | 1 | 52-20 | 61 |
| 2. გორიცა | 28 | 13 | 7 | 8 | 46-43 | 46 |
| 3. მარიბორი | 28 | 11 | 11 | 6 | 49-38 | 44 |
| 4. პრიმორიე | 28 | 11 | 8 | 9 | 39-33 | 41 |
| 5. ნაფტა | 28 | 10 | 8 | 10 | 37-43 | 38 |
| 6. დრავა | 28 | 9 | 9 | 10 | 41-42 | 36 |
| 7. პუბლიკუმი | 28 | 8 | 9 | 11 | 40-42 | 33 |
| 8. კოპერი | 28 | 5 | 15 | 8 | 32-36 | 30 |
| 9. ბ. კრაინა | 28 | 5 | 10 | 13 | 35-47 | 25 |
| 10. ფაქტორი | 28 | 3 | 9 | 16 | 28-55 | 18 |

## რუსეთი

V ტური

| | |
|---|---|
| კუბანი-სატურნი | 2:2 |
| ლუჩ ენერგია-ამკარი | 1:0 |
| ზენიტი-დინამო | 3:0 |
| კრილია-როსტოვი | 0:1 |
| რუბინი-მოსკოვი | 1:1 |
| ლოკომოტივი-ხიმკი | 1:0 |
| ცსკა-ნალჩიკი | 2:0 |
| ტომი-სპარტაკი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 5 | 3 | 2 | 0 | 9-3 | 11 |
| 2. სპარტაკი | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| 3. მოსკოვი | 5 | 3 | 2 | 0 | 5-1 | 11 |
| 4. ზენიტი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-7 | 8 |
| 5. ლ-ენერგია | 5 | 2 | 1 | 2 | 4-4 | 7 |
| 6. ლოკომოტივი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 7 |
| 7. ამკარი | 5 | 1 | 3 | 1 | 5-4 | 6 |
| 8. ტომი | 5 | 1 | 3 | 1 | 6-6 | 6 |
| 9. კრილია | 5 | 1 | 3 | 1 | 2-2 | 6 |
| 10. ნალჩიკი | 5 | 1 | 3 | 1 | 4-5 | 6 |
| 11. როსტოვი | 5 | 1 | 2 | 2 | 7-9 | 5 |
| 12. დინამო | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 13. ხიმკი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-5 | 4 |
| 14. რუბინი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |
| 15. სატურნი | 5 | 0 | 4 | 1 | 5-6 | 4 |
| 16. კუბანი | 5 | 0 | 3 | 2 | 4-6 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

საქართველოს XVI ჩემპიონატი. სუპერლიგა. XX ტური

# აბა ნამცხვარი, შოკოლათი, სერბი!

**14 აპრილი. ვერის პარკი**

**სტუ-აზოტი 62:100**

17:21, 13:20, 19:26, 13:33

სტუ: ეძგვერაძე, სეფისკვერაძე, ბერაია (21 ქ. 5 მ), კოხრეიძე (3 ქ. 6 პ), ძიძიგური, მაისურაძე (11 ქ. 7 მ), დევიძე, ახალკაცი (10 ქ. 11 მ. 5 ფ), ბარბაქაძე (13 ქ. 3 ჩ), ლ. ნოზაძე (4 ქ. 12 მ. 2 დ)

აზოტი: გამყრელიძე (4 ქ), ბეჟანიშვილი (6 ქ), ბოისა (13 ქ.7 მ. 4 პ. 3 ჩ), დიდია (11 ქ. 3 პ), ტულუში (4 ქ. 5 მ. 6 პ), მარკოიშვილი (7 ქ. 5 ჩ), უგრეხელიძე (13 ქ. 7 მ. 2 დ), გოგობერიშვილი (17 ქ. 3 პ), ტუჯანი (11 ქ. 7 მ), ბერძენიშვილი (4 ქ), მინაშვილი (6 ქ), მალოშევიჩი (4 ქ. 8 პ. 4 ჩ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

**მაკაბი-დინამო 63:92**

16:22, 14:23, 20:29, 13:18

მაკაბი: დოლიძე (18 ქ. 8 პ), ხორავა (5 ქ), კორძაძე (9 ქ), ვაშაკიძე (4 ქ. 5 ფ), კორკოტაძე, ს. შერმადინი (10 ქ. 5 ფ), პირველაშვილი (15 ქ. 4 პ. 3 ჩ), ბარსეგიანი (2 ქ. 6 მ. 4 პ)

დინამო: გულისაბედაშვილი (15 ქ. 7 მ. 5 პ. 3 ჩ), ლაფანაშვილი (12 ქ. 6 მ. 5 პ. 4 ჩ), სიგუა (3 ქ), წერეთელი, ბოლქვაძე (4 ქ), მურჯიკნელი (16 ქ. 7 მ), გვიმრაძე (23 ქ. 5 მ. 3 პ), ფაიქრიძე (3 პ), ნ. ნოზაძე (5 ქ. 4 პ. 4 ჩ), კოლუაშვილი (14 ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. ანდღულაძე

**თსუ-ავიამშენი 122:96**

32:22, 23:27, 31:30, 36:17

თსუ: არწივიძე (10 ქ. 5 პ), ბ. ბერიშვილი (2 ქ. 4 პ), ფანჩულიძე (24 ქ. 4 პ. 3 ჩ), ლეჟავა (33 ქ. 7 მ. 3 პ. 3 ჩ), მარხვაშვილი (4 ქ), ვეფხვაძე (7 ქ), შანიძე (4 ქ), მათიაშვილი (16 ქ. 10 მ. 4 პ), ხეცურიანი (4 ქ. 3 პ), იმნაძე (12 ქ. 13 მ. 4 პ. 5 ფ), მ. ბერიშვილი (6 ქ. 5 მ)

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (5 ქ), ბაბიაშვილი (23 ქ. 9 მ), მოსეშვიი (1 ქ), ხოშტარია (17 ქ. 8 მ. 4 პ), ნიკოლაძე (4 ქ. 6 პ. 3 ჩ), ი. ბერიშვილი (15 ქ. 10 პ), ნინიაშვილი (5 ქ. 5 მ), როდუმტა (13 ქ. 5 მ. 3 პ. 2 დ), სუხიშვილი (3 ქ), კვიმსაძე (10 ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 20 | 19 | 1 | 39 |
| 2. თსუ | 20 | 14 | 6 | 34 |
| 3. ავიამშენი | 20 | 14 | 6 | 34 |
| 4. დინამო | 20 | 6 | 14 | 26 |
| 5. სტუ | 20 | 4 | 16 | 24 |
| 6. მაკაბი | 20 | 3 | 17 | 23 |

მომდევნო ტური. ხვალ: მაკაბი-სტუ, დინამო-ავიამშენი, თსუ-აზოტი



სტუ-ელი მაისურაძის (12) შეტევა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**ტურის მოვლენა** - მესამე ლეგიონერი. საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე მეტი, 6 უცხოელი 2001-02 წლების სეზონში დაფიქსირდა. მათ შორის იყო "ბასკოს" თავკაცი **პაველ გოოგე**. ბათუმური გუნდის დაშლის შემდეგ ლეგიონერთა რიცხვი ორამდე შემცირდა - მე-16 ჩემპიონატში მხოლოდ კამერუნელები **ჟულიენ ტუჯანი** და **პლასიდე როდუმტა** ჩაერთვნენ.

მე-20 ტურში მათ კიდევ ერთი უცხოელი შეემატათ - სერბი **ბოიან მალოშევიჩი**, რომელიც მარტამდე ირანში თამაშობდა და სპარსეთის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ სეზონის საქართველოში დასრულება გადაწყვიტა. იგი რუსთავში 29 მარტს ჩავიდა და მას შემდეგ "აზოტში" ვარჯიშობს. საქართველოს ჩემპიონატში ბოიანის დებიუტი შაბათს, სტუ-"აზოტის" მატჩის მეცხრე წუთზე შედგა. იგი მოედანზე ლაშა გამყრელიძის ნაცვლად შევიდა და მისივე ფუნქციები გადაიბარა - 199 სმ. სიმაღლის იუგმა გამთამაშებლობა იკისრა. პირველი შთაბეჭდილება დადებითი იყო, მართალია ლაშასავით სწრაფი არაა, მაგრამ გამოცდილებისა და კლასის წყალობით თამაშის წარმართვაც კარგად ეხერხება.

მალოშევიჩის პირველივე შეტევას მცირერიცხოვან მაყურებელთა შორის აპლოდისმენტები მოჰყვა: საჯარიმოში შეჭრილმა მეტოქეებს უჩვენა, რომ პერიმეტრზე პასის გაკეთებას აპირებდა, მაგრამ ბურთი ფარქვეშ ეულად მდგომ ტუჯანს გადასცა და პირველი პასიც ჩაიწერა. ამას მეორე მოჰყვა, მესამე... და მალოშევიჩმა დებიუტი 8 შედეგიანი გადაცემით აღნიშნა.

თამაშის წარმართვა ბოიანს ნამდვილად ეხერხება, თუმცა, ქართველი რის ქართველია, უცხოელს ნაკლი არ უპოვოს - პირველი მატჩის მიხედვით დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მალოშევიჩის სროლის სიზუსტე პასისას აშკარად ჩამოუვარდებოდა. თუმცა, ეს პირველადი შთაბეჭდილებაა. შეიძლება ფორმაში ჩადგომასთან ერთად სერბმა შეტევაში თამაშიც გააუმჯობესოს. ეს ფლეი ოფებში გამოჩნდება, მანამდე კი მოკლე დასკვნის გაკეთება შეიძლება: მალოშევიჩი "აზოტს" დიდ დახმარებას გაუწევს.

**სერბი** ლეგიონერით გაძლიერებულმა "აზოტმა" ლოგიკური შედეგი და ანგარიში დააფიქსირა - სტუ 100:62 დაამარცხა. თუმცა, ახალგაზრდა ტექნიკოსებმა მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს, ბევრი იბრძოლეს და პირველ მეოთხედში 7 ქულითაც დაწინაურდნენ. შეხვედრის ბედი კი მე-3 პერიოდის დასაწყისში გადაწყდა, როცა სტუ-ს ყველაზე გამოცდილმა კალათბურთელმა **გულივერ ახალკაცმა** მე-5 პერსონალური შენიშვნა მიიღო. მისი მოედნიდან გასვლას "აზოტის" 12:0 სპურტი მოჰყვა.

მატჩის შემდეგ ოქმის გადახედვისას ციფრების საინტერესო განლაგების აღმოჩენა შეიძლება. **კოტე ტულუშმა** 1 დაფარება, 2 ჩაჭრა, 3 ფოლი, 4 ქულა, 5 მოხსნა და 6 პასი დააგროვა. კარგი იქნებოდა, ეს ყველაფერი 7 წუთში მოესწრო.

"მაკაბის" ვერ დაეხმარა ლიდერი **გიორგი შერმადინი**, რომელმაც ამერიკის ქალაქ მემფისში მსოფლიო ნაკრების ერთ-ერთ ვარჯიშზე მუხლის მყესი დაიზიანა და ოპერაცია დასჭირდა.

ლიდერის გარეშე დარჩენილ "მაკაბის" "დინამოს" ძლევის ისედაც მცირე შანსი კიდევ უფრო შეუმცირდა და თითქმის ისეთივე სხვაობით წააგო, როგორც სტუ-მ "აზოტთან".

თბილისის "დინამომ" გუნდური თამაში უჩვენა და **დავით გვიმრაძის** წინამძღოლობით ფლეი ოფისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. ახლა მათსა და მეხუთეადგილოსან სტუ-ს შორის სხვაობა ორი მოგებაა და თუ მეხუთე წრეში სტუ-მ "დინამო"-"მაკაბის" გარდა კიდევ ერთი მეტოქე ვერ დაამარცხა, ფლეი ოფში ვერ მოხვდება.

თსუ-"ავიამშენის" დაპირისპირების წინასამატჩო პრესკონფერენციაზე "ავიატორები" ამბობდნენ - მოსაგებად მზად ვართო. ხოლო სტუდენტთა მწვრთნელის თქმით, შედეგს მნიშვნელობა არ ჰქონდა და არც ნაგება იყო გამორიცხული. შაბათს საპირისპირო მოხდა - თსუ-ელები მოედანზე მაქსიმალურად მობილიზებულები გამოვიდნენ, ხოლო "ავიამშენის" კალათბურთელებს ის მოტივაცია აკლდათ, რაც საწყის ორ წრეში. ...აკლდათ მთავარი მწვრთნელი **ლევან მოსეშვილიც**, რომელიც შეუძლოდ იყო და გუნდი მის ნაცვლად **ვაჟა მხეიძემ** გაიყვანა.

"ავიატორებს", პირველ რიგში, ფარქვეშ გაუჭირდათ. ტანმაღალი სტუდენტების **დათო იმნაძისა** და **რიჩარდ მათიაშვილის** შეჩერებას თვით პლასიდე როდუმტაც ვერ ახერხებდა. შედეგად ამ დუეტმა 23 მოხსნა და 28 ქულა მიითვალა. თსუ-ს მხრიდან მსროლელთა დუეტიც გამოირჩა - **მიშა ფანჩულიძე** და **ბესიკ ლეჟავა**. პირველმა სეზონის პირადი რეკორდი დაამყარა - 24 ქულა ჩააგდო...

**ტურის მოთამაშე.** ...ხოლო ბესომ 33 ქულა (12-დან 10 ორქულიანი: 11-დან 3 სამიანი და 5-დან 4 საჯარიმო გამოიყენა), 7 მოხსნა და 3-3 პასი-ჩაჭრა მოაგროვა. ეს საკმარისი აღმოჩნდა **ლეჟავას** ტურის MVP დასასახელებლად. შეგახსენებთ, რომ იგი საუკეთესოდ მეშვიდე ტურშიც დასახელდა. მაშინ 10 წუთში 19 ქულა ჩააგდო.

**ტურის ფრაზა.** გუშინ სტუ-"აზოტის" მატჩისას აპლოდისმენტები იშვიათად ისმოდა. სიწყნარეს კი მოვაჭრის, რომლის ნამდვილი სახელი მზეა, შეძახილი არღვევდა - აბა, ნამცხვარი, შოკოლათები! როცა მის ხმას ქომაგებისა დაფარავს, ქართული კალათბურთის მზეც მაშინ ამოვა.

ვაჟა სიმონიშვილი



აზოტის სერბი ლეგიონერი ბოიან მალოშევიჩი (19)

ნუგზარ სუარიძის ფოტო




ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

ლეგიონერები

# ოშის 100 ქულა და მონპელიეს გასაჭირი



ტულუზი-კლერმონი. მარცხნივ დავით ზირაქაშვილი

**საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში, 22-ე ტურის შეხვედრებში ხუთი "ქართული" კლუბიდან გამარჯვებას მხოლოდ ერთმა, დავით ხინჩაგიშვილისა და ირაკლი გიორგაძის "ბურგუენმა" მიაღწია.**

კვლავ დამარცხდა, ამჯერად უშუალო კონკურენტ "ბრივთან" გასვლით მატჩში **მამუკა გორგოძის** "მონპელიე" - 16:25. დარჩენილ ოთხ ტურში მონპელიელებს ორი ურთულესი შეხვედრა ელით ლიდერებთან - შინ "ბიარიცთან" და სტუმრად ბოლო ტურში "პერპინიანთან". აქედან გამომდინარე, ამჟამად ბოლო ადგილზე მყოფ ჩვენებურის გუნდს სასწაულიღა თუ იხსნის. გორგოძე ჯერ ისევ ტრავმას იმუშებს და გუნდს ვერაფრით ეხმარება.

მარცხის მიუხედავად, ისევ მეორე ადგილს ინარჩუნებს სატურნირო ცხრილში **დავით ზირაქაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** "კლერმონი". ვულკანებმა სტუმრად ვერაფერი გააწყვეს ფავორიტ "ტულუზთან" - 7:24. ზირაქაშვილი თამაშში 48-ე წუთიდან ჩაერთო, შველიძე ტრავმირებულია.

შინ მორიგი გამარჯვება მოიპოვა **ირაკლი გიორგაძისა** და **დავით ხინჩაგიშვილის** "ბურგუენმა". ჩვენებურთა ამ გუნდმა **აქვსენტი გიორგაძის** "კასტრი" დაამარცხა 32:19, რითაც ამ უკანასკნელის სატურნირო მდგომარეობა საგანგაშო შეიქნა. ხინჩაგიშვილმა და აქვსენტი გიორგაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშეს, ირაკლი განაცხადში არ იყო.

საკუთარ მოედანზე დამარცხდა კატალინურ "პერპინინთან" **ავთო კოპალიანის** "მონტობანი" 12:29. კოპალიანი განაცხადში არ იყო.

საფრანგეთი. I დივიზიონი. XXII ტური. ბიარიცი-აჟენი 17:7, ბურგუენი-კასტრი 32:12, ბაიონი-ნარბონი 16:8, ალბი-სტად ფრანსე 16:21, მონტობანი-პერპინიანი 12:29, ბრივი-მონპელიე 25:16, ტულუზი-კლერმონი 24:7.

1. სტად ფრანსე-75 ქულა, 2. კლერმონი-69, 3. პერპინიანი-65, 4. ტულუზი-63 / 5. ბიარიცი-62, 6. ბურგუენი-51, 7. მონტობანი-48, 8. აჟენი-42, 9.ალბი-41, 10. კასტრი-40, 11. ბაიონი-40, 12. ბრივი-39 /13. ნარბონი-39, 14. მონპელიე-37

მეორე დივიზიონში **ილია ზედგინიძის** "ოშმა" ელიტაში გადასასვლელი საგზური 27-ე ტურში უკვე ოფიციალურად გაიფორმა. გასკონელებმა საკუთარ მოედანზე მშრალი ანგარიშით დაამარცხეს "ტარბი" 31:0 და 100 ქულა დააგროვეს. ზედგინიძე ტრავმირებულია და თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

ჰაერივით საჭირო გამარჯვება მოიპოვა საკუთარ მოედანზე **გია ლაბაძისა** და **გიორგი კუთარაშვილის** "ტულონმა". ჩვენებურთა გუნდმა აუტსაიდერი "ლიმოჟი" სძლია 33:20. ლაბაძე 61-ე წუთზე სინბინში გაუშვეს, მოედანზე უკან მობრუნებულმა კი 76-ე წუთზე მოწინააღმდეგეს ლელო გაუტანა. ამ გამარჯვების შემდეგ საფლეიოფო ოთხეულში მოსახვედრად მებრძოლმა ტულონელებმა უახლოეს მდევარ "ლიონს" ცხრა ქულით გაუსწრეს. კუთარაშვილი განაცხადში არ იყო.

სტუმრად დამარცხდა "ლა როშელთან" **ირაკლი მაჩხანელის** "ბეზიე" 19:27. მაჩხანელი ტრავმირებულია და თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

შინ გაიმარჯვა "კოლომიესთან" შეხვედრაში **დავით აშვეთიასა** და **მამუკა მაგრაქველიძის** "მეტრო რასინგმა" 23:20. მაგრაქველიძე განაცხადში არ იყო, აშვეთია თამაშში 61-ე წუთიდან ჩაერთო.

**მერაბ კვირიკაშვილის** "პომ" სტუმრად დაამარცხა "ბორდო" 23:20. მეკო სათადარიგოთა შორის იყო. შინ გაიმარჯვა "მონ დე მარსანთან" **ლევან ლვაბერიძის** "გრენობლმა" 18:13. ლვაბერიძე ტრავმირებულია.

II დივიზიონი, XVII ტური. ტულონი-ლიმოჟი 33:20, ოიონაქსი-გაიაკი 36:31, დაქსი-ლიონი 43:3, მეტრო რასინგი-კოლომიე 23:20, ოში-ტარბი 31:0, გრენობლი-მონ დე მარსანი 18:13, ლა როშელი-ბეზიე 27:19, ბორდო-პო 20:23.

1. ოში-100 ქულა / 2.დაქსი-83, 3.ლა როშელი-83, 4.ბეზიე-78, 5.ტულონი-78 / 6.ლიონი-69, 7.ოიონაქსი-66, 8.პო-58, 9.მეტრო რასინგი-57, 10.გაიაკი-55, 11.გრენობლი-54, 12.ბორდო-54, 13.მონ დე მარსანი-54, 14.ტარბი-48 / 15.ლიმოჟი-40, 16.კოლომიე-36.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ზე 14

# ბრძოლა ბოლო საგზურისთვის

ზე 14-ზე სულ სამი ტურიღა დარჩა, ყველა გუნდს უკვე 10-10 თამაში აქვს გამართული, რეალურად მხოლოდ მეოთხე საფლეიოფო საგზურისთვის მიდის ბრძოლა. ტურის ცენტრალური მატჩი ოლბანიში გაიმართა, სადაც "ბლუზი" აფრიკულ "შარქსთან" დამარცხდა - 25:32. მეტოქეებმა ვერ შეძლეს პრემიის მომტანი ლელოს გატანა. დანიდინში ზელანდიურ დერბიში "კრუსეიდერზმა" იოლად დაამარცხა "ჩიფსი" და ბონუს ქულის წყალობით ცხრილში პირველ ადგილზე გადავიდა. ველინგტონში აფრიკულ "ჩიტაზს" ბურთის ფლობისა და ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდა ლამის მთელი მატჩის განმავლობაში, მაგრამ სტუმართა უხეირო ტაქტიკის გამო, "ჰარიკენზს" მეტოქის დამარცხება არ გასჭირვებია - 37:15. "ჩიფსი"-"ფორსი" რეკორდულად უხვქულიანი გამოდგა, მატჩში სულ 15 ლელო გავიდა, აქედან 9 მასპინძლების ანგარიშზეა - 64:36. ჰეთ თრიკი შეასრულეს **როი კინიკინილაუმ** და **ბერნდონ ლეონარდმა**. ფაქტობრივად, თავი ქუდში აქვთ, ზელანდიურ "კრუსეიდერზსა" და "ბლუზს", ასევე აფრიკულ "შარქსს".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ბლუზი-შარქსი

**ზე14. XI ტური**

**ჰარიკენზი-ჩიტაზი 37:15**

ჰარიკენზი (ზელ): 4ლ (მასოი, კოლინზი, ითონი, გიარი); 4გ,3ს (ვეეპუ)

ჩიტაზი (აფრ): 2ლ (პასენსი, სმიტი); გ,ს (დე ვაალი)

**ჩიფსი-ვესტერნ ფორსი 64:36**

ჩიფსი (ზელ): 9ლ (კინიკინილაუ 3, მასაგა, ლეონარდი 3, ლატიმერი, ლევი); 5გ,3ს (დონალდი)

ფორსი (ავს): 5ლ (შარპი, გიტო 2, შეპარდი, მიტჩელი), 4გ,ს (გიტო)

**ბულზი-სტორმერსი 49:12**

ბულზი (აფრ): 7ლ (ბ. ბოთა, ფანპირდენი 2, გ. ბოთა, ოლივიე, ფანენბურგი, ადამსი), 4გ (პუხარდი 2, სტეინი 2), 2ს (პუხარდი)

სტორმერსი (ზელ): 2ლ (რასელი, დეს ფაუნტეინი), გ (გრანტი)

**ჰაილენდ.-კრუსეიდ. 3:38**

ჰაილენდერზი (ზელ): ს (ევანსი)

კრუსეიდერზი (ზელ): 5ლ (კარტერი, როლფი, ლაულალა 2, ტიპოკი), 5გ (კარტერი 4, ბრეტი), ს (კარტერი)

**ბლუზი-შარქსი 25:32**

ბლუზი (ზელ): 3ლ (მეალამუ, გიბსონი, ბრეიდი), 2გ,2ს (ნატევა)

შარქსი (აფრ): 3ლ (ნდუნგანე, პიტერსენი 2), გ,ა (შტაინი), 3ს (მონტგომერი 2, შტაინი)

**ვორათაზი-რედსი 26:13**

ვორათაზი (ავს): 2ლ (ვალენტაინი, ბ. რობინსონი), 2გ,3ს (ჰიუეტი)

რედსი (ავს): ლ,გ,2ს (მიფკოვსკი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პრ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კრუსეიდერ. | 10 | 7 | 0 | 3 | 329-177 | 9 | 37 |
| ბლუზი | 10 | 8 | 0 | 2 | 283-156 | 5 | 37 |
| შარქსი | 10 | 8 | 0 | 2 | 256-166 | 2 | 34 |
| ჩიფსი | 10 | 4 | 1 | 5 | 280-247 | 9 | 27 |
| ბულზი | 10 | 6 | 0 | 4 | 225-194 | 3 | 27 |
| ბრამბიზი | 10 | 6 | 0 | 4 | 176-145 | 3 | 27 |
| ფორსი | 10 | 5 | 1 | 4 | 213-228 | 4 | 26 |
| ჰარიკენზი | 10 | 5 | 0 | 5 | 198-218 | 3 | 23 |
| ჰაილენდერ. | 10 | 4 | 0 | 6 | 178-225 | 6 | 22 |
| ლაიონზი | 10 | 5 | 0 | 5 | 155-204 | 1 | 21 |
| ჩიტაზი | 10 | 3 | 1 | 6 | 219-264 | 4 | 18 |
| სტორმერსი | 10 | 4 | 0 | 6 | 169-246 | 2 | 18 |
| ვორათაზი | 10 | 2 | 1 | 7 | 180-249 | 4 | 14 |
| რედსი | 10 | 1 | 0 | 9 | 151-296 | 3 | 7 |

## ტაეკვანდო

# გაიცანით ახალი სახელები



ქეთევან სიხარულიძე

ტაეკვანდო სპორტის ოლიმპიური სახეობაა და ამანაც განაპირობა ჩვენში მისდამი დაინტერესება. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი არაა, რაც სპორტის ეს სახეობა საქართველოში დაინერგა, სპორტსმენები წარმატებით გამოდიან სხვადასხვა შეჯიბრებებში. ახლახან, საქართველოს ბავშვთა ნაკრებმა რიგაში იასპარეზა "ოლიმპიური იმედის" საერთაშორისო ტურნირზე ტაეკვანდო NTF-ის ორ ასაკობრივ ჯგუფში. გოგონებში ვერცხლის მედალს დაეუფლა **ქეთევან სიხარულიძე** (41), ბიჭებში კი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ **მერაბ თევდორაშვილი** (40) და **გიორგი ჩიქოვანი** (45). გუნდი მოამზადა მწვრთნელმა **დავით ბაბუაძემ**.

შედეგით კმაყოფილია ფედერაციის პრეზიდენტი **ავთანდილ მიქაძე**. როგორც მან გვითხრა, ამ ასაკში წლეულს ევროპის პირველობა გაიმართება უნგრეთში და ჩვენი გუნდი უკვე შეუდგა გულმოდგინე მზადებას. ამასთან, წარმატებით ემზადებიან უფროსები ოლიმპიურ სალიცენზიო ტურნირებში დასახული მიზნის მისაღწევად.

**ომარ ჩხაიძე**

## თარიღი



**ელდარ-ლუკა კურტანიძე.** 16.04.1972, ქვემო ფშაფი, გულრიფში. თავისუფალი ჭიდაობა (96 კგ). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (2002, 03), მეორე (1993) და მესამე (1997) პრიზიორი. ატლანტის (1996) და სიდნეის (2000) ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, ათენის (2004) ოლიმპიადის მონაწილე (VIII ადგილი), ევროპის ხუთგზის ჩემპიონი (1996, 97, 98, 2001, 05), სამგზის მეორე (1993, 95, 2002) და მესამე (1999) პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1992). ლაიფციგის საერთაშორისო ტურნირის გრანპრის მფლობელი, კრასნოიარსკის, კიევს, მინსკის, ტაშკენტის, მაჰაჩყალის A კლასის საერთაშორისო ტურნირებში არაერთგზის გამარჯვებული. საქართველოს სამგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1996, 2002, 2003). ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენების კავალერი.

■ ■ ■

**ქრისტეფორე ნინიაშვილი.** 15.04.1921, ხოვლე, კასპი. ცნობილი ფალავანი, მწვრთნელი და სპორტის მოღვაწე, სამბოს და ძიუდოს ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში (1944, 45, 47, 49), სსრკ ორგზის ჩემპიონი სამბოში (1948, 49). საქართველოს სამბისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი (1950-73), საქართველოს და სსრკ დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, ავტორი წიგნისა "ქართული ჭიდაობა" (1997).

■ ■ ■

**ავთანდილ ქორიძე.** 15.04.1935, თბილისი - 11.04.1966, თერჯოლა. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (67 კგ). 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონი (1961), სსრკ ჩემპიონატის ორგზის მეორე (1957, 60) და მესამე (1958) პრიზიორი, "ადრიატიკის" თასის მფლობელი (1959). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. დაიღუპა ავტოკატასტროფაში ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორთან, რომან ძნელაძესთან ერთად.

■ ■ ■

**დიმიტრი შარაშენიძე.** 15.04.1937, თბილისი. ალპინიზმი. სსრკ ჩემპიონი ტექნიკურ კლასში (1976, ჯიგიტი, ტიან-შანი) და მესამე პრიზიორი სასიმაღლო-ტექნიკურ კლასში (1965, მთავარი ჯანღა). იყო საქართველოს ალპინისტთა ნაკრების მწვრთნელი (1979-82). სსრკ სპორტის ოსტატი.

■ ■ ■

**ოთარ მჭედლიშვილი.** დაიბადა 15.04.-1966; თბილისი. ველოსპორტი, ტრეკი. მსოფლიოს რეკორდსმენი: ჰიტი 500 მ - 33.203 წმ (1986). მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის მეორე პრიზიორი სპრინტში (1984), სსრკ 6-გზის ჩემპიონი (1986-88 - სპრინტი; 1987, 89 - ჰიტი 1 კმ; 1989 - წყვილი). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

■ ■ ■

**ჯუმბერ მეძმარიაშვილი.** 16.04.1929, თბილისი - 27.08.1961, მწვერვალი პობედა, ტიან-შანი. ალპინიზმი. სსრკ სამგზის ჩემპიონი სასიმაღლო (1955, სტალინის პიკი) და ტრავერსების კლასში (1957, დარვაზის ქედი; 1960, ზულუმარტი-იმიერალაის ქედები), მეორე პრიზიორი სასიმაღლო კლასში (1956, მოსკოვის პიკი). სსრკ სპორტის ოსტატი, საქართველოს ალპური კლუბის პრეზიდიუმის წევრი.



ავთანდილ ქორიძე

## მილოცვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიხეილ გეგელიას სახელობის ბავშვთა-მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების ტანვარჯიშის სახეობათა ცენტრალური სპეციალიზებული სასპორტო სკოლის თანამშრომლები დაბადებიდან 55 წლისთავს ულოცავენ ამავე სკოლის უფროს მწვრთნელს, ვეტერან აკრობატს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ-მასწავლებელს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს **თამაზ ბუზიაშვილს**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭადრაკი

ევროპის ჩემპიონატი. დრეზდენი. 2-15 აპრილი

# ხვალინდელი კვერცხი დღევანდელი ქათმის სანაცვლოდ?

ქართული ანდაზის ეს შებრუნებული ვარიანტი სათაურად იმიტომ გაგვაქვს, რომ დრეზდენში დასრულებულმა ევროპის ჩემპიონატის ბოლო დღემ სწორედ ამგვარი შთაბეჭდილება დაგვიტოვა.

ბოლო ტურის წინ **მაია ლომინეიშვილს** 7.5 ქულა ჰქონდა და 2-4-ე ადგილებს იყოფდა, ბოლო ტურში კი წილისყრამ უკვე ევროპის ჩემპიონ რუს **ტატიანა კოსინცევასთან** თეთრი ფერით თამაში არგუნა. თუკი ქართველი ყაიმით ითამაშებდა, მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს ინაღდებდა, საპრიზო ადგილისთვის კი გადათამაშება მოუწევდა. მოგების შემთხვევაში მაია მეორე ადგილზე გავიდოდა, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იქნებოდა - ევროპის ქალთა ჩემპიონატის 8-წლიან ისტორიაში - ჩვენს ქალბატონებს საპრიზო ადგილი, ანუ მედალი ჯერ არ მოუპოვებიათ!

ფსონი დიდი იყო - სახელთან ერთად გვარიანი საპრიზო ფონდიც იდო სასწორზე. სამწუხაროდ, ლომინეიშვილმა პასიური ვარიანტი აირჩია. ქართველმა დიდოსტატმა არ მოინდომა მოგებაზე თამაში და "მშვიდი" დებიუტი აირჩია, არც შემდგომში გადაუდვია თავი პოზიციის გამწვავებისთვის, რაც აშკარად მიანიშნებდა იმაზე, რომ ლომინეიშვილი ყაიმზე თამაშობდა. სტრატეგია გასაგებია - ყაიმით მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს იღებდა, პრიზადაც ნორმალურ თანხას მიიღებდა და მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლითაც ნახავდა სარგებელს - პირველ წრეში ნაგების მიუხედავად ბევრს არა, მაგრამ 2-3 ათას დოლარს მაინც მოიპოვებდა.

ახლა იკითხავთ - კი მაგრამ, რომ მოეგო, მეორე ადგილზე გასვლით ხომ ბევრად მეტს მოიხვეჭდა და მსოფლიო ჩემპიონატზეც გავიდოდა? სწორი შენიშვნა იქნება და ჩვენც მანდა ვართ. - უფრო კონკრეტულ პასუხს ალბათ თავად ლომინეიშვილი გაგცემთ, მაგრამ ჩვენ რასაც ვფიქრობთ, აქვე მოგახსენებთ: მოჭადრაკემ მცირედით დაკმაყოფილება არჩია და შესაძლოა ეგონა, ამ მცირედის მოპოვებაში უკვე ევროპის ჩემპიონი ტატიანა კოსინცევა ხელს არ შეუშლიდა. რაში დასჭირდებოდა მოგება - შავებით იყო, არაფერს კარგავდა და ქართველის შეთავაზებაზე - ყაიმზე დამთანხმდიო, უმალ გაუწვდიდა მეგობრულ ხელს.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ტატიანა მარტო თავის კი არა, დის ბედზეც ფიქრობდა - ლომინეიშვილის უშუალო კონკურენტი ხომ **ნადეჟდა კოსინცევა** იყო და საყაიმო შეთავაზებაზე უარი თქვა, დისთვის უნდა ვიბრძოლოო. იბრძოლა და მოიგო კიდეც, რის შემდეგაც ნადეჟდამ ბრინჯაოს მედალი მიიღო. ლომინეიშვილმა კი, საპრიზო ადგილს, ვინ ჩივის, მსოფლიო ჩემპიონატის საგზურიც დაკარგა - 7.5-ქულიანებს შორის კოეფიციენტით ბოლო, მე-19 ადგილზე აღმოჩნდა და მე-18 ადგილზე გასულთან ტაიბრეიკში მოუწია თამაში.

ბედმა აქაც აღარ გაუღიმა. რუმინელ **ფრანჩესკა ფოიშორთან** პირველ 15 წუთიან პარტიაში შავებით მოიგო, რაც თითქმის გამარჯვებას ნიშნავდა, - საკმარისი იყო, თეთრებით ყაიმით ეთამაშა და საგზურს მიიღებდა, მაგრამ კვლავ ძველებური შეცდომა - ყაიმზე ორიენტირება, შედეგად შეცდომები და რუმინელმა ანგარიში ხომ გაათანაბრა, შემდეგ რეგლამენტით გათვალისწინებულ ხუთწუთიან პარტიებში ორჯერვე იმარჯვა...

სამწუხაროა, მაგრამ მაია ლომინეიშვილმა, რომლის წარმატებაც ჩვენ შაბათს ნაადრევად გამოვაცხადეთ, რისთვისაც მკითხველს ბოდიშს ვუხდით, უსახელოდ დაასრულა ჩემპიონატი და ერთადერთი სარგებელი, რაც შეიძლება ნახოს, ისევ და ისევ მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრაა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ვინმე უარს იტყვის თამაშზე, ანუ - ლომინეიშვილი მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი სათადარიგო კანდიდატია.

ახლა სხვებზეც ვთქვათ. მართალია ზემოთ თქმული ზოგადად ქართველი მოჭადრაკეების სენიც არის და ამის გამო ბევრს ვკარგავთ, მაგრამ ამჯერად კონკრეტული მაგალითი მოვიყვანეთ და სხვაზე დიდხანს არ შევჩერდებით... თუმც ბოლო ტურში არც **ლელა ჯავახიშვილმა** გარისკა და სამ სვლაში ყაიმზე შეუთანხმდა სწორედ იმ ფოიშორს, ვინაც მერე ტაიბრეიკში ლომინეიშვილი დაამარცხა. ამით ლელამ საგზური გაინაღდა, მაგრამ რომ მოეგო, ისიც 8 ქულას აგროვებდა და საპრიზო ადგილებისთვის თამაშის შანსს მიიღებდა. ზუსტად ასეთივე შანსი ეძლეოდათ **ნინო ხურციძესა და სოფიკო ხუხაშვილს**, მაგრამ მათაც ყაიმით დაასრულეს პარტიები და მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვეს.

ვაჟებში ქართველთაგან მსოფლიო თასზე მოხვედრის ერთადერთი შანსი **მიხეილ მჭედლიშვილს** ჰქონდა - მან ბოლო ტურში ინგლისელ **გევეინ ჯოუნზს** მოუგო, 34-ე ადგილი დაიჭირა და ტაი-ბრეიკში მოხვდა, მაგრამ იქ დამარცხდა და საგზურს ვერ დაეუფლა.

სამწუხაროდ, წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი ქართველი კაცებისთვის ცუდად დასრულდა, რაზეც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიც მოწმობს.

**ზვიად შათირიშვილი**



ევროპის ჩემპიონი ტატიანა კოსინცევა

### ქალები

XI ტური: მაია ლომინეიშვილი - ტატიანა კოსინცევა 0:1, ეკატერინა ათალიქი - ნინო ხურციძე 0.5:0.5, სოფიკო ხუხაშვილი - ვიქტორია ჩმილიტე 0.5:0.5, 5, ფრანჩესკა ფოიშორი - ლელა ჯავახიშვილი 0.5:0.5, ვალენტინა გოლუბენკო - სალომე მელია 1:0, ევა რეპკოვა - ქეთევან არახამია 0:1, ნანა ძაგნიძე - იონელა იონიცა 1:0, სოფიო გვეტაძე - იულია გრომოვა 0.5:0.5, სოფიკო გურამიშვილი - აფაგ ხუდავერდიევა 0.5:0.5, მარიამ დანელია - მირიანა მედიჩი 0.5:0.5

| საბოლოო მდგომარეობა | |
|---|---|
| 1. ტატიანა კოსინცევა (რუს) | 10.0 |
| 2. ანტუანეტა სტეფანოვა (ბულ) | 8.0 |
| 3. ნადეჟდა კოსინცევა (რუს) | 8.0 |
| 9. ნინო ხურციძე | 7.5 |
| 12. სოფიკო ხუხაშვილი | 7.5 |
| 14. ლელა ჯავახიშვილი | 7.5 |
| 19. მაია ლომინეიშვილი | 7.5 |
| 22. ქეთევან არახამია | 7.0 |
| 34. სალომე მელია | 6.5 |
| 54. ნანა ძაგნიძე | 6.0 |
| 96. სოფიო გვეტაძე | 5.0 |
| 99. მარიამ დანელია | 5.0 |
| 100. სოფიკო გურამიშვილი | 5.0 |

### ვაჟები

XI ტური: მიხეილ მჭედლიშვილი - გევეინ ჯოუნზი 1:0, კონსტანტინე შანავა - რადოსლავ ვოიტაშეკი 0.5:0.5, იან ნეპომნიაშჩი - დავით არუთინიანი 0.5:0.5, დავით ლობჟანიძე - გიგა ყაჭეიშვილი 0:1, ანასტასიოს მასტრობასილისი - ბაადურ ჯობავა 0.5:0.5, დმიტრი ფროლიანოვი - ზურაბ აზმაიფარაშვილი 1:0, დავით შენგელია - ილიე დანილოვი 0.5:0.5, გიუნტერ იანელი - თორნიკე სანიკიძე 1:0

| საბოლოო მდგომარეობა | |
|---|---|
| 1. ვლადიმირ ტკაჩევი (საფ) | 8.0 |
| 2. ემილ სუტოვსკი (ისრ) | 8.0 |
| 3. პაველ იაკოვენკო (რუს) | 8.0 |
| 35. მიხეილ მჭედლიშვილი | 7.5 |
| 57. გიგა ყაჭეიშვილი | 7.0 |
| 71. დავით არუთინიანი | 6.5 |
| 118. კონსტანტინე შანავა | 6.5 |
| 142. ბაადურ ჯობავა | 6.0 |
| 168. დავით ლობჟანიძე | 6.0 |
| 182. დავით შენგელია | 5.5 |
| 218. ზურაბ აზმაიფარაშვილი | 5.5 |
| 286. თორნიკე სანიკიძე | 4.5 |

## ჭიდაობა

17-22 აპრილი. ევროპის ჩემპიონატი

# ძმები ქეთიშვილები და ვინმე ფრანგი... ბოხაშვილი

ხვალ სოფიაში იწყება ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობაში. ტურნირში პირველები ქალები ჩაებმებიან, რომლებიც 17-18 აპრილს იჭიდავებენ. 19-20-ში ანტიკური ჭიდაობის ტურნირია, 21-22-ში - თავისუფალის. ორივე ჭიდაობაში პირველ დღეს 55, 66, 84 და მძიმე წონების ფალავნები იასპარეზებენ, მეორე დღე კი დარჩენილ სამ წონას დაეთმობა.

საქართველოს ნაკრებთა შემადგენლობები ადრე გაგაცანით. ანტიკურში იჭიდავებენ: **ირაკლი ჭოჭუა (55), დავით ბედინაძე (60), მუხრან მაჭუტაძე (66), მანუჩარ კვირკველია (74), ბადრი ხასაია (84) და რამაზ ნოზაძე (96, მძიმე წონაში მონაწილე არ გვეყოლება); თავისუფალში - ბესარიონ გუჩაშვილი (55), გიორგი ბალიაშვილი (60), კობა კაკალაძე (66), გელა სალირაშვილი (74), ლერი ქეთიშვილი (84), გიორგი გოგშელიძე (96) და ალექსი მოდებაძე (120).**

დღეს ქართველების ძირითად მეტოქეებზე ვისაუბრებთ. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების გამო, ძალზე გადახალისებული, თუმცა მაინც ანგარიშგასაწევი ფალავნები ეყოლებათ რუსებს. "ანტიკოსთა" თავკაცმა **გოგი კოლუაშვილმა** შესარჩევი ტურნირების შემდეგ ნაკრები ასე დააკომპლექტა: **ზაურ კურამაგომედოვი** (55), **ისლამ-ბეკ ალბიევი** (60), ევროპის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს შარშანდელი მესამე პრიზიორი **სერგეი კოვალენკო** (66), ევროპის ჩემპიონი **მიხეილ ივანჩენკო** (74), ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს ასევე შარშანდელი პრიზიორი **ალექსეი მიშინი** (84), მსოფლიოს პრიზიორი **ვასილ ტეპლიუხოვი** (96), მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **ჰასან ბაროევი** (120), რომელსაც ჯერ ევროპული ოქრო არ მოუპოვებია.

ამ შემადგენლობას აკლია ოლიმპიადის ვიცე და მსოფლიოს ჩემპიონი **ჰეიდარ მამედალიევი** (55) მსოფლიოს მესამე პრიზიორი **ვიაჩესლავ ჯასტე** (60), მსოფლიოსა და ევროპის ორ-ორგზის, აგრეთვე ოლიმპიური ჩემპიონი **ვარტარეს სამურგაშევი**. მამედალიევი, მგონი, აღარც ჭიდაობს უკვე, ჯასტეზე ვერაფერს გეტყვით, სამურგაშევი კი, როგორც თავად განუცხადა რუსულ მედიას, გადაღლილა და ისვენებს: *"შარშან ყველა მნიშვნელოვან ტურნირში ვიჭიდავე და გადავიღალე. სეზონის დასაწყისში მწვრთნელებთან ერთად განვიხილეთ შექმნილი სიტუაცია და ის გამოსავალი მოვნახეთ, რომ აღარ გადავიტვირთო. იანვარშიც სწორედ ამიტომ გამოვტოვე ივან პოდუბნის მემორიალი, თუმცა სასტარტო ტურნირი კი გავიარე - ფრანგულ კრეტეიში საერთაშორისო ტურნირი მოვიგე. მალე რუსეთის პირველობისთვის მზადებას შევუდგები, რაც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპია. ამ პერიოდში ნაკრებს ყველა შეკრებაზე გავყვები, მეც ვივარჯიშებ და ახალგაზრდებს დატვირთვებში დავეხმარები."* - განაცხადა სამურგაშევმა.



გიორგი კეტოევი

გაცილებით სახეცვლილია "თავისუფალთა" ნაკრები: მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ბესიკ კუდუხოვი** (55), **ადამ ბატიროვი** (60), ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **ირბეკ ფარნიევი** (66), ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **მახაჩ მურთაზალიევი** (74), **გიორგი კეტოევი** (84), **შირვანი მურადოვი** (96), ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი **კურამაგომედ კურამაგომედოვი** (120).

ამ ნაკრებს აკლია ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი **მავლეტ ბატიროვი** (60), ოლიმპიადის, მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის ჩემპიონი **ბუვაისა საიტიევი** (74) და მისი ძმა, იმავე ტიტულების მფლობელი **ადამ საიტიევი**, ასევე, აბსოლუტურად ყველა ტიტულის მფლობელი **ჰაჯიმურატ გაცალოვი** (96).

ჩამოთვლილთა უმეტესობა მსოფლიო ჩემპიონატისთვის იზოგავს ძალებს. მხოლოდ საიტიევთა მწვრთნელმა **დიმიტრი მინდიაშვილმა** განაცხადა, რომ ბუვაისას სასტარტო შეჯიბრებები აკლია და მზად არაა. შესუსტებული შემადგენლობის მიუხედავად, რუსთა ნაკრების თავკაცი **ჯამბულათ თედეევი** მაინც ამბობს, რომ მინიმუმ, 3-4 ოქროს მოპოვებას და გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებას გეგმავს. მურთაზალიევმა განაცხადა, რომ მას მხოლოდ ჩემპიონობა დააკმაყოფილებს. ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა **ანატოლი ბელოგლაზოვმა** აღნიშნა, რომ გამარჯვების შანსები კუდუხოვსა და ბატიროვსაც გააჩნიათ.

ცხადია, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაცალოვის არყოფნა, რაც **გიორგი გოგშელიძეს** საჩემპიონო შანსებს მნიშვნელოვნად უზრდის. ჩვენთვის საინტერესო კომენტარი გააკეთა მურადოვმა. *"სოფიაში ბევრი ძლიერი ფალავანი იჭიდავებს. მხოლოდ ქართველი გიორგი გოგშელიძე რად ღირს! მთავარი კონკურენტი იქნება დაღესტნელი შამილ გიტინოვიც, რომელიც ახლა სომხეთს წარმოადგენს. აგრეთვე, ბელარუსი რუსლან შეიხოვი."* - აღნიშნა მან. ამ წონის ფავორიტებზე საუბრისას გოგშელიძე ჩემპიონობის უპირველეს ფავორიტად დაასახელა თედეევმაც.

რაც შეეხება კეტოევს, იგი ქართველი გიორგი ქეთიშვილია, საქართველოს ნაკრების წევრ ლერი ქეთიშვილის (84) უმცროსი ძმა. არაა გამორიცხული, სოფიაში ძმები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

შემადგენლობა დაასახელეს ტურნირის მასპინძლებმა - ბულგარელებმაც, რომლებსაც მთავარი ფავორიტი აკლიათ - ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიადის რამდენიმეგზის ჩემპიონი "ანტიკურში" **არმენ ნაზარიანი** (60). მას ერთ-ერთი ტურნირზე ტრავმა მიუღია. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, მოლდოვიდან ბულგარეთში გახიზნული **ნიკოლაი პასლარი** (74) აკლიათ "თავისუფლებსაც". თუ ასე გაგრძელდა, არაა გამორიცხული, კოლია ისევ მშობლიურ მოლდოვას მიუბრუნდეს - მეორე სეზონია, ნაკრებში ვერ ხვდება. თან, ბულგარული პრესა მის შემცვლელ **მიხაილ განევს** ყოველგვარი შესავლისა და მორიდების გარეშე "ტალანტს" უწოდებს. ბულგარელთა "ანტიკურ" ნაკრებში **ვენელინ ვენკოვი** (55), **ნიკოლაი გერგოვი** (60), **ემილ მილევი** (66), **იავორ იანაკიევი** (74), **ხრისტო მარინოვი** (84), **კალოიან დინჩევი** (96) და **ივან სტოიანოვი** (120) მოხვდნენ, "თავისუფლებში" - **რადოსლავ ველიკოვი** (55), **ანატოლი გუიდეა** (60), **სერაფიმ ბარზაკოვი** (66), **მიხაილ განევი** (74), **მიროსლავ გეჩევი** (84), **დიმიტარ კუმჩევი** (96) და **ბოჟიდარ ბოჟიევი** (120).

ძლიერთაგან უნგრელთა შემადგენლობაც მოვიძიეთ, სადაც "ანტიკოსებში" **ტიბორ ოლა** (55), **იშტვან მაიოროში** (60), **ატილა დრეშლერი** (66), **ანდრეას ჰორვატი** (74), **ზოლტან ფოდორი** (84), **ბალაშ კიში** (96) და **დიულა ბრანდა** (120) იჭიდავებენ, "თავისუფლებში" - **გაბორ ციბოლია** (55), **დიორდ ვიოლერი** (60), **რობერტ საბო** (66), **გაბორ ჰატოში** (74), **არპად რიტერი** (84), **დიორდ კიში** (96) და **ოტო ობეი** (120).

სამწუხაროდ, თურქთა და რამდენიმე ძლიერი გუნდის შემადგენლობა ვერ დავაზუსტეთ, ის კი შევიტყვეთ, რომ "ანტიკოსებში" ტრავმის გამო არ იჭიდავებს ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი **ჰამზა ერლიქაია.**

მოვიძიეთ ფრანგთა შემადგენლობაც, თუმცა ეს გუნდი არაა იმდენად ძლიერი, მასზე ყურადღება შევაჩეროთ, მაგრამ ერთ საინტერესო ფაქტს კი აღვნიშნავთ - "თავისუფლებში" მათ ღირსებას ვინმე... **ნოდარ ბოხაშვილი** (84) დაიცავს.

**ირაკლი თავაძე**

NHL. ფლეი ოფი. I წრე

# ყველგან დიდი ბრძოლაა

### აღმოსავლეთი

**ბაფალო (1)–აილენდერსი (8) 2:3**

1:2, 0:0, 1:1

**გოლები:** 0:1 ჰანტერი-1 (სილინჯერი-1, პოტი-1), 0:2 ყერვე-1 (მატანი-1), 1:2 ლიდმანი-1 (ვანეკი-1, აფინოგენოვი-1), 2:2 კალინინი-1 (პომინვილი-1, ბრიერი-2), 2:3 მ-ა. ბერჟერონი-1 (პოტი-2, ვიქ. კოზლოვი-1).

**სერია - 1:1**

"აილენდერსს", როგორც იქნა, დაუბრუნდა ძირითადი მეკარე **რიკ დიპიეტრო**, რამაც დიდწილად განაპირობა სერიის მეორე მატჩში სტუმრების გამარჯვება.

დიპიეტრომ 32 დარტყმა მოიგერია, მათ შორის ერთი მესამე პერიოდის ბოლოს, როცა "ბაფალოს" მცველ **ბრაიან კემპბელს** გოლის გატანისა და შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანის რეალური შანსი მიეცა, მაგრამ "კუნძულელთა" კარის დარაჯმა აჯობა.

საბოლოოდ, "აილენდერსმა" რეგულარული ჩემპიონატის ლიდერთან სერიაში, საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვა და დიდი იმედებით ხვდება მომდევნო ორ შეხვედრას, რომელიც ნიუ იორკში გაიმართება.

ნიუიორკელებისთვის ეს გამარჯვება კიდევ ერთი რამით იყო მნიშვნელოვანი. "აილენდერსს" "ბაფალოსთვის" 2004 წლის 27 თებერვლის შემდეგ არ მოეგო და მხოლოდ გუშინ შეწყვიტა ეს უსიამოვნო სერია.

ფლეი ოფში საიუბილეო, მე-100 შეხვედრა ჩაატარა "ბაფალოს" ფორვარდმა **კრის დრურიმ**. აქედან 80 შეხვედრა მან "კოლორადოს" მაისურით ითამაშა და 2001 წელს, ამ კლუბთან ერთად სტენლის თასის მფლობელიც გახდა.

**ნიუ ჯერსი (2)–ტამპა ბეი (7) 2:3**

1:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 კუბა-1 (პერენი-1, ბ. რიჩარდსი-2), 1:1 პარიზე-3 (რაფალსკი-2, ლანგენბრუნერი-3), 2:1 ლანგენბრუნერი-1 (ჯონტა-1, ელიაში-2), 2:2 სენტ ლუისი-2 (ბ. რიჩარდსი-3, ჯ. უორდი-1), 2:3 ლეკავალიე-3 (რეინჯერი-1, პროსპალი-2).

**სერია - 1:1**

როგორც გახსოვთ, ამ სერიის პირველ მატჩში, "ტამპა ბეის" რიგებიდან მხოლოდ რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის - **ვენსან ლეკავალიეს** გამოყოფა შეიძლებოდა. მაშინ მან დუბლი შეასრულა, მაგრამ პარტნიორებმა მხარი ვერ აუბეს და "ლაითნინგმა" 3:5 წააგო. იმ მატჩში, ძალიან სუსტად ითამაშა სტუმართა მეკარე **იოჰან ჰოლმკვისტმა** - სამი გოლი სწორედ მის სინდისზე იყო.

ამჯერად კი, "ტამპა" გაცილებით მობილიზებული გავიდა ყინულზე და გამარჯვებისადმი სწრაფვაც გამოავლინა. მეორე პერიოდში სტუმრები აგებდნენ შეხვედრას, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს, ხოლო მესამე პერიოდში, კვლავ გადამწყვეტი სიტყვა თქვა ლეკავალიემ, რომელმაც გამარჯვების შაიბა გაიტანა და თავის გუნდს საკუთარი მოედნის უპირატესობა მოუპოვა.

უშეცდომოდ ითამაშა ჰოლმკვისტმა, რომელმაც 34 დარტყმა მოიგერია. მატჩის ბოლო წუთზე, მან **ჯონტას, პარიზესა** და **მარტინის** ურთულესი დარტყმები უვნებელჰყო და თავისი გუნდი ოვერტაიმის თამაშს გადაარჩინა.

**ატლანტა (3)–რეინჯერსი (6) 1:2**

0:1, 0:0, 1:1

**გოლები:** 0:1 ეივერი-1 (სტრაკა-2, ტოუტინი-3), 1:1 კოვალჩუკი-1 (ტკაჩუკი-2), 1:2 შენეჰანი-1 (ეივერი-1, ტოუტინი-4).

**სერია - 0:2**

"რეინჯერსმა" სანახევროდ გაინაღდა ფლეი ოფის შემდეგ წრეში თამაში. მეტოქის მოედანზე მოპოვებული ორი გამარჯვება, ნებისმიერი გუნდისთვის სოლიდური ფორაა. თუ ნიუიორკელებმა საკუთარ "მედისონ სკვერ გარდენზე" მომდევნო ორი მატჩის მოგება მოახერხეს, ატლანტაში დაბრუნება აღარ დასჭირდებათ და შემდეგ წრეში მორიგ მეტოქეს დაელოდებიან.

"ატლანტას" სამწვრთნელო შტაბმა, მეორე შეხვედრისთვის მეკარე გამოცვალა - **კარი ლეჰტონენის** ნაცვლად, კარში **იოჰან ჰედბერგი** ჩადგა. ეს გოლკიპერი ფლეი ოფში კარგი თამაშით არის ცნობილი. 2001 წელს, ის "პიტსბურგის" ღირსებას იცავდა. მაშინ რეგულარულში მხოლოდ 9 მატჩი ჩაატარა, სამაგიეროდ, სტენლის თასზე ზედიზედ 18 შეხვედრაში ითამაშა, 2 შათაუტი გააკეთა და გუნდი აღმოსავლეთის ფინალში გაიყვანა.

ჰედბერგი ამჯერადაც შეუდარებელი იყო (37 დარტყმა მოიგერია), მაგრამ სტუმართა რიგებში იყო ორი ჰოკეისტი, რომლებმაც გააუფერულეს შვედი მეკარის წარმატებული თამაში. 38 წლის **ბრენდან შენეჰანმა** ფლეი ოფში 54-ე გოლი გაიტანა და "რეინჯერსს" გაამარჯვებინა. ერთი გოლი კი, **შონ ეივერის** ანგარიშზეა, რომელმაც აგრეთვე, საგოლე პასი გაუკეთა შენეჰანს.

**ოტავა (4)–პიტსბურგი (5) 3:4**

0:1, 2:0, 1:3

**გოლები:** 0:1 რაიან უიტნი-1 (გონჩარი-2, კროსბი-1), 1:1 სპეცა-1 (ალფრედსონი-2, ვოლჩენკოვი-3), 2:1 ალფრედსონი-1 (ჰიტლი-1, სპეცა-2), 2:2 გ. რობერტსი-1 (გონჩარი-3, მალკინი-2), 3:2 კ. კელი-2 (მაკამონდი-1, მეზაროში-1), 3:3 ჯ. სტაალი-2 (ულეტი-1, გ. რობერტსი-1), 3:4 კროსბი-2 (რეკი-3, მალკინი-3).

**სერია - 1:1**

პიტსბურგელი დებიუტანტები ამჯერად აღარ ჩანდნენ ისეთი დაბნეულები, როგორც ეს სერიის პირველ მატჩში იყო. ახალგაზრდა "პინგვინებმა" ხასიათის სიტკიცეც გამოავლინეს, რადგან ორჯერ აგებდნენ შეხვედრას და მაინც შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა.

ამჯერადაც, თანაგუნდელებს წინ ახალგაზრდა ვარსკვლავი და რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი - **სიდნი კროსბი** გაუძღვა. სწორედ მან გაიტანა **რეი ემერის** კარში გამარჯვების გოლი. ორ მატჩში, კროსბის ანგარიშზე სამი ქულაა - ორი გოლი და ერთი შედეგიანი პასი.

ერთადერთი, რაშიც სტუმრები სცოდავდნენ, უხეში თამაში იყო. მათ 9-ჯერ მიანიჭეს "ოტავას" რიცხობრივი უპირატესობა, მაგრამ მასპინძლებმა ზედმეტი ჰოკეისტი მხოლოდ ერთხელ გამოიყენეს. სამაგიეროდ, "პიტსბურგმა" 3-დან ორჯერ გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს "პინგვინზის" ახალგაზრდა მეკარის - **მარკ-ანდრე ფლეის** თამაში. პირველ მატჩში მან 6 შაიბა გაუშვა, ამჯერად კი, მეტოქეთა 34 დარტყმა მოიგერია, ხოლო საფინალო სირენამდე 13 წამით ადრე, **მაიკ ფიშერს** ურთულესი დარტყმა აუღო.

დაბოლოს, ერთი საინტერესო სტატისტიკა. "ოტავა" ფლეი ოფის სერიაში არასოდეს დაწინაურებულა 2:0. გარდა ამისა, ამ გუნდმა ზედიზედ 7 სერია წააგო იმ დროს, როცა პირველ მატჩში გამარჯვებას მიაღწია.



კროსბის გამარჯვების გოლი

### დასავლეთი

**ანაჰაიმი (2)–მინესოტა (7) 3:2**

1:0, 2:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ბოშემენი-1 (პალსონი-1, მოენი-1), 1:1 გაბორიკი-1 (დემიტრა-1, კ. ფოსტერი-1), 2:1 ბოშემენი-2 (გეტცლაფი-2, სელიანე-1), 3:1 გეტცლაფი-1 (მოენი-2, პრონგერი-1), 3:2 მ. კოივუ-1 (ბერნსი-1).

**სერია - 2:0**

დასავლეთის მეორე გუნდმა, "ანაჰაიმმა" სერიის პირველ ორ მატჩში კარგად გამოიყენა საკუთარი მოედნის უპირატესობა და სერიოზული განაცხადი გააკეთა შემდეგ ეტაპზე გასვლაზე. სხვათა შორის, "იხვებმა" რეგულარულშიც ორივე შეხვედრა მოუგეს შინ "მინესოტას". თავის მხრივ, ამ უკანასკნელმაც ორჯერ იმაჯვა საკუთარ კედლებში "ანაჰაიმის" წინააღმდეგ. ასე რომ, ახლა ჯერი "მინესოტაზეა".

რაც შეეხება ამ სერიის მეორე მატჩს, იქ "ანაჰაიმმა" რიცხობრივი უპირატესობისას შედეგიანი თამაშის წყალობით გაიმარჯვა. ორჯერ გამოიყენა ზედმეტი მოთამაშე ამ გუნდის მცველმა **ფრანსუა ბოშემენმა**, ხოლო **რაიან გეტცლაფმა** ერთი გოლი რიცხობრივი უმცირესობის დროს გაიტანა.

კვლავ არ უთამაშია მასპინძელთა რიგებში ძირითად მეკარე **ჟან-სებასტიან ჟიგერს**. თუმცა, მის არყოფნაში კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს რუსი **ილია ბრიზგალოვი** (30 დარტყმა მოიგერია). ეს არც არის გასაკვირი. შარშანდელ ფლეი ოფში, როცა ჟიგერი ტრავმირებული იყო, ბრიზგალოვმა ზედიზედ ექვსი თამაში მოიგო.

**ვანკუვერი (3)–დალასი (6) 0:2**

0:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ჰალპერნი-1 (ზუბოვი-2, ბარნსი-1), 0:2 ლუნდკვისტი-1 (მოდანო-1, ბარნსი-2).

**სერია - 1:1**

ამ გუნდების პირველ მატჩში გამარჯვებულის გამოსავლენად, 4 (!) ოვერტაიმის ჩატარება გახდა საჭირო. ამიტომაც, ჰოკეისტებს მეორე შეხვედრისთვის, ძალების აღსადგენად ორ დღე-ღამეზე ნაკლები დრო ჰქონდათ.

საბოლოოდ, მეორე მატჩისთვის მეტი ძალები დალასელებს აღმოაჩნდათ, რომლებიც მეტოქეზე გაცილებით ენერგიულად გამოიყურებოდნენ. თუმცა, მატჩის ბედი მაინც ერთმა ფაქტორმა განაპირობა. მხედველობაში გვყავს "სტარზის" მეკარე **მარტი ტურკო**, რომელმაც 35 დარტყმა მოიგერია და 24-ე ცდიდან, ფლეი ოფში პირველი შათაუტი შეასრულა.

სტუმრებმა პირველ ორ პერიოდში თითო გოლი გაიტანეს და ორშაიბიანი უპირატესობა მიიღეს. ეს კი, ფაქტობრივად, გამარჯვების გარანტია იყო. საქმე ისაა, რომ რეგულარულში, "დალასს" 28 მატჩში ჰქონდა ორშაიბიანი უპირატესობა და ყველა შემთხვევაში გამარჯვებულმა დატოვა ყინული. ასე მოხდა ამჯერადაც.

"ვანკუვერმა" კი, ძალიან ცუდად ითამაშა რიცხობრივი უპირატესობისას. მასპინძლებს ექვსჯერ შეეძლოთ ზედმეტი ჰოკეისტის გათამაშება, მაგრამ ერთხელაც ვერ აჯობეს მეტოქის დაცვასა და მეკარეს.

**ნეშვილი (4)–სან ხოსე (5) 5:2**

2:1, 2:0, 1:1

**გოლები:** 0:1 რივე-2 (მარლო-3, მ. კარლი-1), 1:1 რადულოვი-3 (ფიდლერი-1), 2:1 ფორსბერგი-1 (ჟიდლიცკი-1, რადულოვი-1), 3:1 დუმონი-3 (კ. ტიმონენი-1), 4:1 დუმონი-4 (ჟიდლიცკი-2, კარია-1), 4:2 ქლოუ-1 (ჩიჩუ-1, ერჰოფი-1), 5:2 ფორსბერგი-2 (ლეგვანდი-1, ჰამჰუისი-1).

**სერია - 1:1**

ყველაზე ძნელად პროგნოზირებად წყვილში ანგარიში გათანაბრდა.

მატჩის წინ, "სან ხოსეს" ბანაკში ამაღლებული განწყობა იყო. კლუბის საუკეთესო სნაიპერის - **ჯონათან ჩიჩუს** ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ის მეორე შეხვედრაში სათამაშოდ გავიდა. მაგრამ, ამან "ზვიგენებს" ვერ უშველა. "ნეშვილი" უფრო მოტივირებული და შემართული ჩანდა და შედეგმაც არ დააყოვნა.

შეხვედრის ბედი მეორე პერიოდში **ჯეი-პი დუმონის** შესანიშნავმა თამაშმა გადაწყვიტა. მან ჯერ რიცხობრივ უმცირესობაში გაიტანა გოლი, ორნახევარი წუთის შემდეგ, რიცხობრივი უპირატესობაც გამოიყენა და თავისი გუნდი 4:1 დააწინაურა.

---

**ჭადრაკი**

## მოსკოვში კასპაროვი დააკავეს

ჭადრაკში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ამჟამად კი, რუსეთის გაერთიანებული სამოქალაქო ფრონტის ლიდერი - **გარი კასპაროვი**, მოსკოვის მილიციამ დააკავა. მოჭადრაკე მაშინ დაიჭირეს, როცა ის ოპოზიციონერთა მიტინგზე შეღწევას ლამობდა.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა განცხადებით, კასპაროვი ოპოზიციის სხვა ლიდერებთან ერთად იმის გამო დააკავეს, რომ ისინი პოლიციის ალყის გარღვევასა და ომონის შენობის შტურმით აღებას აპირებდნენ.

საბოლოოდ, კასპაროვი 1000 მანეთის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.

**ჰოკეი**

## აიზერმანს ჯერ 12 მეომარი ჰყავს

ნელ-ნელა იკვეთება მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატისთვის კანადის ნაკრების შემადგენლობა. უკვე ცნობილია ის 12 ჰოკეისტი, რომლებიც **სტივ აიზერმანის** გუნდში ითამაშებენ.

ამათგან, ოთხი მოთამაშე სტენლის თასის შარშანდელი მფლობელის - "კაროლინა ჰარიკეინზის" წევრია. ესენი არიან: მეკარე **კემ უორდი**, მცველი **მაიკ კომოდორი** და თავდამსხმელები - **ერიკ სტაალი** და **ჯასტინ უილიამსი**. ამავე გუნდიდან, მსოფლიო ჩემპიონატში თამაშზე უარი თქვეს **რეი უიტნიმ** და **როდ ბრინდამორმა**.

ცნობილი გახდა ნაკრების კიდევ სამი წევრის ვინაობა. მოსკოვში ორ ჰოკეისტს მიავლენს "სენტ ლუის ბლუზი" - მცველ **ბარეტ ჯეკმენსა** და თავდამსხმელ **ჯამალ მაიერსს**. ერთი მოთამაშე "კოლამბუსიდანაა" - ფორვარდი **ჯეისონ ჩიმერა**.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, ნაკრებში თამაშზე თანხმობა განაცხადეს მეკარე **დუეინ როლოსონმა**, მცველმა **ერიკ ბრიუერმა** და თავდამსხმელებმა - **რიკ ნეშმა, შეინ დოენმა** და **მაიკ კამალერიმ**.

მსოფლიო ჩემპიონატამდე კანადელები ერთადერთ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებენ. ისინი 24 აპრილს, ტამპერეში ფინეთის ნაკრებს ესტუმრებიან.

## ბონდრამ უარი განაცხადა

"ჩიკაგო ბლეკჰოქსის" 39 წლის ფორვარდი **პიტერ ბონდრა** არ ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატზე სლოვაკეთის ნაკრების შემადგენლობაში. ამის შესახებ სლოვაკთა მთავარმა მწვრთნელმა - **იულიუს შუპლერმა** განაცხადა. ამ უკანასკნელის სიტყვებით, ბონდრა რეგულარულ ჩემპიონატში მიღებული ტრავმის შემდეგ ბოლომდე ვერ გამოჯანმრთელდა.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში იუარა NHL-ის კიდევ ერთმა სლოვაკმა ლეგიონერმა - "კოლორადოს" მეკარე **პეტერ ბუდაიმ**.

## უიტნი კაროლინაში დარჩა

"კაროლინა ჰარიკეინზმა" სამი წლით გააგრძელა კონტრაქტი თავის ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდ **რეი უიტნისთან**. ამ ინფორმაციას სააგენტო AP ავრცელებს.

უიტნი 1 ივლისს თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებდა, ამიტომაც, კლუბმა იჩქარა და უიტნისთან ახალი ხელშეკრულება დადო, რომლის მიხედვითაც, ჰოკეისტი ჯამში 10.65 მილიონ დოლარს მიიღებს.

წლევანდელ რეგულარულში უიტნიმ 83 ქულა დააგროვა, რაც ლიგაში 21-ე მაჩვენებელი გახლდათ. აქვე შეგახსენებთ, რომ "კაროლინამ" ვერ მოიპოვა ფლეი ოფის საგზური.

**კალათბურთი**

## ტაუმ ერდოგანი დაკარგა

ესპანეთის "ტაუგრესის" მცველი **სერქან ერდოგანი**, მარჯვენა ფეხის ტრავმის გამო, ორი კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

თუმცა, თურქი ლეგიონერი მოასწრებს მაისის დასაწყისისთვის გამოჯანმრთელებას, როცა ესპანურ კლუბს ათენში ევროლიგის "ოთხთა ფინალში" მოუწევს თამაში. შეგახსენებთ, რომ "ტაუგრესი" 4 მაისს, ნახევარფინალში მასპინძელ "პანათინაიკოსს" შეხვდება.

წლევანდელ ევროლიგაში ერდოგანი 20 მატჩში საშუალოდ 12.2 ქულას აგროვებდა.

## უეიდი გამაყუჩებლებით თამაშობს

"მაიამი ჰიტის" ლიდერი **დუეინ უეიდი** ტკივამამოუშუშებელი თამაშობს რეგულარული ჩემპიონატის მატჩებში. ამ ინფორმაციას გაზეთი Miami Herald ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, კალათბურთელს ამჟამად მუხლი უფრო აწუხებს, ვიდრე ნაღრძობი მხარი, რომლის გამოც, მან უფრო ადრე ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი გამოტოვა.

## ოდენი ჯერაც ფიქრობს

სტუდენტური კალათბურთის ვარსკვლავ **ოდენის** მამამ - **კრეიგ ოდენმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი ვაჟი უახლოეს ხანებში აპირებს პროფესიონალებში გადასვლასა და NBA-ში თამაშს. მაგრამ **მაიკ კონლი**, რომელსაც იმედი აქვს, რომ ოდენის აგენტი გახდება, თავის მხრივ ამბობს, რომ კალათბურთელს ჯერ არაფერი აქვს გადაწყვეტილი.

*"ის NBA-ში აუცილებლად ითამაშებს, ოღონდ გადაწყვეტილი არ აქვს - როდის. დედამისსა და მწვრთნელს ყოველდღე ველაპარაკები და არავის შეუძლია ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება"*, - ამბობს ოდენის თანაკლასელის მამა, მაიკ კონლი.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინათ, ოდენმა საყოველთაოდ გამოაცხადა, რომ NBA-ში თამაშს კოლეჯში დარჩენა და სწავლის გაგრძელება ურჩევნია.

**კრივი**

## დიდი შოუ შვედეთში

შაბათს, ერთ-ერთმა შვედურმა პრომოუტერულმა კომპანიამ გამოაცხადა, რომ 15 სექტემბერს, შვედეთის ქალაქ კარლსტადში გაიმართება დიდი საკრივო შოუ, სადაც მონაწილეობას მიიღებენ წარსულში სახელგანთქმული მძიმეწონოსნები.

შოუს მთავარ ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი, 39 წლის **რიდიკ ბოუ**, რომელიც კრივს რვაწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა.

ბოუს გარდა, კარლსტადში აგრეთვე გამოვლენ WBA-ს ვერსიით სუპერმძიმე წონაში ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი - **ბრიუს სელდონი**, რომლის მეტოქე შვედი მოკრივე **მიკაელ ლინდბლადი** იქნება.

პრომოუტერული კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, მათ წინასწარი შეთანხმება აქვთ ლეგენდარულ **ევანდერ ჰოლიფილდთან**, რომელიც ასევე აპირებს ზემოთხსენებულ შოუში მონაწილეობას.

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

### 14 აპრილი

**მინესოტა-სან ანტონიო 91:110**
21:30, 15:28, 21:30, 31:25
**მინესოტა:** მ. ჯეიმსი (23 ქ), ფოიე (16 ქ), რ. დევისი (15 ქ. 7 მ), მაკკენტსი (14 ქ).
**სან ანტონიო:** ჯონიბილი (21 ქ), ბონერი (18 ქ. 6 მ), ბ. ბერი (13 ქ. 4 მ. 4 პ), დანკანი (12 ქ. 10 მ. 2 დ), ორი (11 ქ. 5 მ).

**ტორონტო-დეტროიტი 87:84**
14:20, 23:30, 21:19, 29:15
**ტორონტო:** ე. პარკერი (21 ქ. 7 მ), ბოში (18 ქ. 16 მ. 3 პ), ტი. ჯეი. ფორდი (13 ქ. 10 პ), ჯ. გრემი (13 ქ).
**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (24 ქ. 6 მ), დელფინო (11 ქ. 4 მ. 3 პ), მაკდაიესი (10 ქ. 7 მ).

**ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი 100:86**
18:15, 26:32, 40:21, 16:18
**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (25 ქ. 7 პ. 6 მ), რ. ჯეფერსონი (24 ქ. 3 პ), კიდი (13 ქ. 14 მ. 11 პ), მური (13 ქ. 5 მ. 3 პ), ნახბარი (13 ქ).
**ნიუ იორკი:** ფრენსისი (22 ქ. 7 პ. 2 ჩ), მ. კოლინზი (21 ქ. 9 მ. 5 პ), კარი (20 ქ. 7 მ).

**ატლანტა-ვაშინგტონი 85:98**
20:28, 15:21, 26:26, 24:23
**ატლანტა:** მერვინ უილიამსი (24 ქ. 7 მ), ლოუ (16 ქ. 10 პ), შელდენ უილიამსი (14 ქ. 10 მ. 3 დ. 2 ჩ), **ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია (ტრავმა).**
**ვაშინგტონი:** სტივენსონი (25 ქ. 3 პ), ჯ. ჰეიესი (20 ქ. 6 პ. 3 ჩ), ა. დენიელსი (16 ქ. 12 პ. 5 მ).

**ბოსტონი-მილუოკი 102:104**
25:31, 18:25, 29:27, 30:21
**ბოსტონი:** ჯ. გრინი (21 ქ. 2 ჩ), პოუ (18 ქ. 8 მ. 3 პ), გომესი (13 ქ. 7 მ), დელონტე უესტი (13 ქ. 4 პ), რეი (10 ქ).
**მილუოკი:** ჩ. ბელი (24 ქ. 5 მ. 5 პ. 3 ჩ), გაძურიჩი (21 ქ. 11 მ. 3 დ), პატერსონი (21 ქ. 5 მ. 5 პ. 2 ჩ. 2 დ), ბოიკინსი (15 ქ. 5 პ), ლ. გრირი (10 ქ. 2 ჩ).

**ნ. ორლეანი-დენვერი 105:107**
35:22, 21:31, 29:24, 20:30
**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (31 ქ. 13 მ. 3 პ), პოლი (18 ქ. 8 პ), ბ. ჯექსონი (13 ქ), მ. ჯექსონი (13 ქ. 13 მ), რ. ბატლერი (13 ქ. 5 მ).
**დენვერი:** ენტონი (31 ქ. 7 მ. 2 ჩ), აივერსონი (23 ქ. 7 პ), კემბი (15 ქ. 11 მ. 9 დ), ნენე (12 ქ. 9 მ. 2 ჩ), ს. ბლეიკი (10 ქ. 10 პ. 5 მ. 3 ჩ).

**მაიამი-ინდიანა 100:96**
26:16, 27:30, 18:28, 29:22
**მაიამი:** უეიდი (23 ქ. 5 ჩ), შ. ონილი (21 ქ. 8 მ), პოუსი (18 ქ), ა. უოკერი (11 ქ), ჰასლემი (10 ქ. 8 მ).
**ინდიანა:** დ. გრეინჯერი (24 ქ. 2 დ), მ. დანლივი-უმცროსი (14 ქ. 10 პ. 4 მ), ფოსტერი (10 ქ. 4 მ), მერფი (10 ქ. 5 მ), ს. უილიამსი (10 ქ. 6 მ).

**ჩიკაგო-შარლოტი 100:81**
30:23, 26:19, 19:20, 25:19
**ჩიკაგო:** გორდონი (20 ქ. 5 მ. 4 პ), ჰაინრიხი (18 ქ. 8 პ), დენგი (14 ქ. 6 მ. 4 პ. 2 ჩ), ბ. უოლასი (12 ქ. 12 მ. 3 დ).
**შარლოტი:** ერმანი (14 ქ. 5 მ), ბ. ნაითი (13 ქ. 5 პ. 2 ჩ), ა. ანდერსონი (13 ქ), ფელტონი (10 ქ. 3 ჩ), დ. ანდერსონი (10 ქ. 2 ჩ), ოკაფორი (9 ქ. 11 მ. 2 დ).

**დალასი-იუტა 89:104**
19:26, 19:23, 26:23, 25:32
**დალასი:** ნოვიცკი (23 ქ. 4 მ), ბარეა (16 ქ), ჯოშ ჰოვარდი (12 ქ. 3 პ), ჯორჯი (11 ქ. 2 ჩ).
**იუტა:** ბუზერი (32 ქ. 15 მ. 7 პ), დ. უილიამსი (17 ქ. 9 პ. 6 მ), ფიშერი (15 ქ. 2 ჩ), ჰარპრინგი (14 ქ. 5 მ), მილსეპი (10 ქ. 7 მ).


შონ მერიონის ფინიქსი იგებს და იგებს

**საკრამენ-გ. სტეიტი 109:125**
30:32, 23:42, 40:26, 15:25
**საკრამენტო:** აბდურ-რაჰიმი (23 ქ. 14 მ), კევინ მარტინი (18 ქ), გარსია (16 ქ. 7 მ. 5 პ. 3 ჩ), სალმონსი (15 ქ. 6 პ), არტესტი (13 ქ. 4 მ. 4 პ).
**გოლდენ სტეიტი:** ს. ჯექსონი (26 ქ. 8 მ. 3 პ. 2 ჩ), ბ. დევისი (25 ქ. 5 ჩ. 4 პ), ჯ. რიჩარდსონი (17 ქ. 5 მ. 5 პ), ბარნსი (17 ქ. 9 მ), მ. ელისი (13 ქ. 4 მ. 4 პ. 4 ჩ), ელ ჰარინგტონი (12 ქ. 9 მ), მ. პიეტრუსი (11 ქ), ბიედრინსი (4 ქ. 12 მ. 4 დ).

**კლიპერსი-პორტლენდი 107:89**
26:19, 24:18, 30:21, 27:31
**კლიპერსი:** მობლი (22 ქ. 7 პ. 6 მ. 2 ჩ), ბრენდი (20 ქ. 7 მ. 3 დ), კამანი (17 ქ. 5 მ. 4 დ), მაგეტი (17 ქ. 4 მ. 3 პ).
**პორტლენდი:** როი (18 ქ. 6 მ. 3 პ), ტ. აუთლო (14 ქ), უებსტერი (10 ქ. 5 მ).

**ფინიქსი-ლეიკერსი 93:85**
27:26, 24:24, 25:13, 17:22
**ფინიქსი:** ნეში (26 ქ. 14 პ), რ. ბელი (18 ქ), მერიონი (16 ქ. 11 მ. 2 დ), ა. სტაუდმაიერი (15 ქ. 16 მ. 3 ჩ. 2 პ. 2 დ), კურტ ტომასი (უქულოდ, 10 მ).
**ლეიკერსი:** უოლტონი (19 ქ. 8 მ. 5 პ), ბრაიანტი (17 ქ. 6 მ. 4 პ), ოდომი (16 ქ. 13 მ), ტურიაფი (10 ქ. 6 მ. 2 ჩ. 2 დ).

### 15 აპრილი

**ფილადელფია-ორლანდო 87:104**
25:35, 23:26, 18:21, 21:22
**ფილადელფია:** ა. მილერი (18 ქ. 8 მ. 2 ჩ), იგუოდალა (14 ქ. 5 პ. 3 ჩ), კორვერი (14 ქ. 6 მ), ლ. უილიამსი (14 ქ), ს. ჰანტერი (11 ქ. 6 მ).
**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (35 ქ. 11 მ. 5 პ. 3 ჩ), მილიჩიჩი (14 ქ. 7 მ. 3 დ), თურქოღლუ *13 ქ. 7 მ. 3 პ), გ. ჰილი (11 ქ), ნელსონი (10 ქ. 5 პ. 3 ჩ).

**კლივლენდი-ატლანტა 110:76**
28:17, 28:11, 29:27, 25:21
**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (23 ქ. 6 პ. 5 მ), პავლოვიჩი (15 ქ. 6 პ), ილგაუსკასი (14 ქ. 11 მ), ჰიუზი (13 ქ. 5 პ), დ. მარშალი (10 ქ. 8 მ), ვარეჟაო (10 ქ. 5 მ. 2 დ), გიბსონი (10 ქ).
**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (23 ქ. 7 მ), შელდენ უილიამსი (13 ქ. 11 მ. 3 ჩ), ლოუ (10 ქ), **ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია (ტრავმა).**

**მემფისი-დენვერი 133:118**
31:30, 33:26, 31:39, 38:23
**მემფისი:** ეტკინსი (28 ქ. 12 პ. 2 ჩ), კინსი (28 ქ. 4 ჩ), უორიკი (20 ქ. 11 მ), გასოლი (15 ქ. 10 მ. 8 პ. 2 დ), დ. ჯოუნსი (15 ქ. 2 ჩ).
**დენვერი:** ენტონი (28 ქ. 5 პ), ნენე (22 ქ. 10 მ), ჯეი. არ. სმიტი (19 ქ), აივერსონი (16 ქ. 5 პ. 2 ჩ), კემბი (14 ქ. 11 მ. 3 პ. 2 დ), ს. ბლეიკი (4 ქ. 12 პ).

**ჰიუსტონი-ნ. ორლეანი 123:112**
32:30, 25:20, 28:28, 38:34
**ჰიუსტონი:** მინი (30 ქ. 2 დ), მაკგრეიდი (25 ქ. 10 პ. 7 მ. 3 ჩ), ალსტონი (21 ქ. 13 პ. 3 ჩ), ჰედი (15 ქ. 5 მ), ბეტიე (14 ქ), ჯუვან ჰოვარდი (10 ქ. 6 მ).
**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (33 ქ. 2 ჩ), მ. ჯექსონი (22 ქ. 3 ჩ), დევინ ბრაუნი (21 ქ. 7 მ), პოლი (20 ქ. 15 პ. 8 მ).

**მილუოკი-შარლოტი 92:113**
27:28, 24:26, 19:32, 22:27
**მილუოკი:** მო უილიამსი (16 ქ), გაძურიჩი (14 ქ. 14 მ. 3 ჩ), ლ. გრირი (14 ქ), ბოიკინსი (13 ქ), პატერსონი (10 ქ. 7 მ. 5 პ. 2 ჩ), ჩ. ბელი (10 ქ. 2 ჩ).
**შარლოტი:** ერმანი (30 ქ. 9 მ), ა. ანდერსონი (24 ქ. 8 მ. 2 ჩ), დ. ანდერსონი (21 ქ. 5 ჩ. 4 პ), ფელტონი (13 ქ. 9 პ. 3 ჩ), ოკაფორი (10 ქ. 5 მ. 5 პ. 2 დ), მაკკინისი (6 ქ. 11 პ).

**იუტა-ფინიქსი 98:126**
19:32, 27:36, 27:28, 25:30
**იუტა:** ოქური (20 ქ. 10 მ), ბუზერი (18 ქ. 10 მ. 3 პ), ჰარპრინგი (13 ქ), დ. ბრაუნი (12 ქ), დ. უილიამსი (4 ქ. 8 პ).
**ფინიქსი:** ბარბოსა (28 ქ. 2 ჩ), მერიონი (18 ქ. 7 მ. 5 ჩ), რ. ბელი (18 ქ), დიაო (14 ქ. 5 პ. 4 მ), ა. სტაუდმაიერი (14 ქ. 11 მ. 2 დ), ნეში (13 ქ. 18 პ), ჯ. ჯოუნსი (10 ქ. 2 დ).

**პორტლენდი-სიეტლი 108:102**
28:26, 32:24, 19:28, 29:24
**პორტლენდი:** ჯეკი (25 ქ. 5 პ), ტ. აუთლო (22 ქ), უებსტერი (17 ქ. 6 მ), მაგლოირი (9 ქ. 15 მ. 2 დ).
**სიეტლი:** რ. ლუისი (29 ქ. 6 მ), უილკოქსი (20 ქ. 11 მ), უილქსი (17 ქ. 11 პ), უილკინსი (11 ქ. 6 პ. 3 ჩ), ფელაზალი (11 ქ. 2 ჩ), კოლისონი (9 ქ. 10 მ).

---

**სამთო თხილამურები**

## მილერმა ოლიმპიადა იუარა

ცნობილი ამერიკელი მოთხილამურე **ბოდე მილერი** არ აპირებს 2010 წლის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლას.

*"იმ დროისთვის, მსოფლიო თასის ეტაპებზე რომც გამოვდიოდე, ვანკუვერის ოლიმპიურ თამაშებზე მაინც არ გავემგზავრები. ასეთი დონის სპორტულ ფორუმებზე, სპორტსმენზე დიდ ზეწოლას ახდენენ. ყველა გიჩიჩინებს, რომ ოქროს მედალი უნდა მოიპოვო. ოლიმპიადებზე საკუთარი სიამოვნებისთვის ვერ იცხოვრებ"*, - განუცხადა "როიტერს" ამერიკელმა სპორტსმენმა.

**ფორმულა 1**

## ტილკე სიჩქარის გადაჭარბებისთვის დაიჭირეს

ფორმულა 1-ის ტრასების დიზაინერი **გერმან ტილკე** ბაჰრეინში პოლიციამ დააკავა.

გერმანელმა სპეციალისტმა ერთი დღე ბაჰრეინის ავტოდრომზე გაატარა, რის შემდეგაც სასტუმროში ბრუნდებოდა, მაგრამ გზაში სიჩქარეს გადააჭარბა და ადგილობრივი პოლიციელების მსხვერპლი გახდა. იმ ადგილას, სადაც ლიმიტი 50 კილომეტრი/საათი იყო, ტილკეს მანქანა საათში 100 კილომეტრი სიჩქარით მიჰყავდა.

გერმანელმა პოლიციის განყოფილებაში რამდენიმე საათი დაჰყო, რის შემდეგაც ის შინ გაუშვეს, თანაც ყოველგვარი საჯარიმო სანქციის გარეშე.

**ჩოგბურთი**

## მასტერსი ვარსკვლავების გარეშე

დღეს, მონაკოში სტარტს აიღებს თიხნარის კორტებზე "მასტერსის" სერიის პირველი ტურნირი.

ამ ტურნირზე ATP-ის ტურის ყველა წამყვან ჩოგბურთელს ელოდნენ, მაგრამ რამდენიმე მოთამაშემ უკან გამოითხოვა თავისი განაცხადი. კერძოდ, მონაკოში არ ითამაშებენ ამერიკელები **ენდი როდიკი, ჯეიმს ბლეიკი, მარდი ფიში**, ხორვატი **მარიო ანჩიჩი** და არგენტინელი **გილერმო კანიასი**, რომელმაც წინა თვეში ორჯერ დაამარცხა შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**.

**ოლიმპიზმი**

## ჩიკაგო ლოს ანჯელესს აჯობინეს

ამერიკიდან 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ქალაქი ჩიკაგო იბრძოლებს. აშშ-ის ოლიმპიურმა კომიტეტმა ლოს ანჯელესისა და ჩიკაგოს დავაში გამარჯვებულად სწორედ ეს უკანასკნელი გამოაცხადა.

განსხვავებით ლოს ანჯელესისგან, ჩიკაგოს არასოდეს უმასპინძლია ოლიმპიური თამაშებისთვის. ოლიმპიადის მასპინძლობის მისაღებად მისი კონკურენტები იქნებიან - მადრიდი, პრაღა, რომი, რიო დე ჟანეირო და ტოკიო.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 2016 წლის თამაშების მასპინძელ ქალაქს 2009 წლის ოქტომბერში გამოაცხადებს.

## ბილეთების გაყიდვა გუშინ დაიწყო

კვირას, ჩინეთში 2008 წლის ოლიმპიური თამაშების 7 მილიონი ბილეთის რეალიზაცია დაიწყო. ამის შესახებ პრესკონფერენციაზე პეკინის ოლიმპიადის ალმასრულებელი კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა **ვან ვეიმ** განაცხადა. მისი თქმით, ბილეთების 75 პროცენტი შიდა ბაზარზე გაიყიდება, დანარჩენი ნაწილი კი, უცხოელი მაყურებლისთვის იქნება განკუთვნილი.

ბილეთების რეალიზაცია სამ ნაწილად მოხდება. პირველი ფაზა 15 აპრილიდან სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდება, მეორე - ოქტომბრიდან დეკემბრამდე, ხოლო მესამე მომავალი წლის აპრილში დაიწყება.

**მძლეოსნობა**

## მილიონი რეკორდსმენს

დუბაის საერთაშორისო მარათონის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ ის მორბენალი, რომელიც 2008 წლის მარათონში მსოფლიო რეკორდს გააუმჯობესებს, პრიზის სახით მილიონ დოლარს მიიღებს.

გარდა ამისა, მამაკაცთა და ქალთა გარბენებში გამარჯვებულები, ნებისმიერ შემთხვევაში 250 ათას დოლარს მიიღებენ. ასე რომ, საერთაშორისო მარათონებს შორის, დუბაის მარათონი ყველაზე დიდი საპრიზო ფონდით არის გამორჩეული.

---

# TV სპორტი

### 16 აპრილი. ორშაბათი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სევილია.
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბოლტონი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-სედანი.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-რივერ პლეიტი.
19:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:05 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:45 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:45 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:45 იტალიის ჩემპიონატი. რომა-სამპდორია.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1/2 ფინალი. უოტფორდი-მანჩესტერ იუნ.
08:45 სპორტის სახეები.
09:10 კრივი. რინგ-საიდი.
10:05 სპორტული ტანვარჯიში. გრან-პრი. მარიბორი. სლოვენია.
13:40 ფეხბურთი. Barca-TV.
14:25 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი.
16:10 გენერაცია 2012.
16:30 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. აკადემიკა-პორტუ.
18:25 ფეხბურთი. შოტლანდიის თასი. 1/2 ფინალი. ჰიბერნიანი-დანფერმლაინი.
20:10 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
20:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:35 სპორტკლუბი.
22:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:35 პროფესიული კრივი. რიკარდო მაიორგა-ოსკარ დე ლა ჰოია.
02:35 სპორტული ტანვარჯიში. გრან-პრი. მარიბორი. სლოვენია.
06:10 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
06:45 გენერაცია 2012.

**EUROSPORT**

09:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. ვალენსია. ესპანეთი.
10:15 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
10:45 მძლეოსნობა. მარათონი. პარიზი. საფრანგეთი.
12:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ვალენსია. ესპანეთი.
13:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ჩარლსტონი. აშშ.
14:00 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. ფინალი. პეკინი.
15:45 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. პარიზი-რუბე. საფრანგეთი.
16:30 მძლეოსნობა. მარათონი. ბოსტონი. აშშ (LIVE).
19:30 მულტისპორტი.
20:00 ჩოგბურთი.
20:15 სუმო.
22:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
23:00 ბრძოლა წესების გარეშე.
01:15 ახალი ამბები.
01:45 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
02:15 ჩოგბურთი.

**EUROSPORT-2**

08:30 ახალი ამბები.
11:00 ექსტრემალური სპორტი.
13:00 ახალი ამბები.
15:00 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. როჩესტერი-ბაფალო.
16:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. ვალენსია. ესპანეთი.
17:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ბელპუიგი. ესპანეთი.
18:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ლონგ ბიჩი. აშშ.
19:00 ახალი ამბები.
19:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
20:00 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
20:30 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. სახირი. ბაჰრეინი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალენსია.
22:30 ავსტრალიური ფეხბურთი.
00:00 ახალი ამბები.
00:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. სლაგელსე (დანია)-დიორი (უნგრეთი).
01:15 ახალი ამბები.
01:30 ექსტრემალური სპორტი.
02:30 ახალი ამბები.
03:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ფილადელფია (LIVE).

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| არგენტინა | |
|---|---|
| კოლონი-რასინგი | 1:1 |
| სან ლორენსო-ხიმნასია (ლ) | 1:0 |
| ინდეპენდიენტე-გოდოი | 0:2 |
| ბანფილდი-ველესი | 2:3 |
| ბელგრანო-ნიუელსი | 0:2 |
| ხიმნასია (ხ)-არგ. ხუნიორსი | 0:0 |
| როსარიო-ნუევა ჩიკაგო | 3:0 |
| ბოკა-რივერი | 1:1 |
| კილმესი-არსენალი | გადაიდო |
| ესტუდიანტესი-ლანუსი | გვ. დასრულდა |

| მექსიკა | |
|---|---|
| ხაგუარესი-კრუს აზული | 2:2 |
| ვერაკრუსი-მონტერეი | 0:0 |
| სან ლუისი-კერეტარო | 1:0 |
| ტიგრესი-ნეკაქსა | 1:1 |
| მორელია-პუმასი | 2:1 |
| ატლასი-ჩივასი | 0:2 |
| ტოლუკა-პაჩუკა | გვ. დასრულდა |
| ამერიკა-ტეკოსი | გვ. დასრულდა |
| ს. ლაგუნა-ატლანტე | გვ. დასრულდა |

| ჩილე | |
|---|---|
| პუერტო მონტი-ლოტა | 0:1 |
| უნ. ესპანიოლა-პალესტინო | 1:1 |
| ო'ჰიგინსი-უნ. კონსეპსიონი | 4:2 |
| დ. კონსეპსიონი-კობრესალი | 1:1 |
| ევერტონი-კოლო კოლო | 0:3 |
| უაჩიპატო-ანტოფაგასტა | 3:1 |
| კობრელოა-კოკიმბო | 5:1 |
| უნ. დე ჩილე-ნუბლენსე | 1:1 |
| იტალიანო-უნ. კატოლიკა | გვ. დასრულდა |
| ლა სერენა-მელიპილა | გვ. დასრულდა |

| ურუგვაი | |
|---|---|
| როჩა-ტაკუარემბო | 1:0 |
| რენტისტასი-მირამარი | 1:2 |
| უონდერერსი-დანუბიო | 2:0 |
| რამპლა-ნასიონალი | 1:3 |
| ლივერპული-სენტრალი | 2:0 |
| რივერ პლეიტი-ბელა ვისტა | 3:1 |
| დეფენსორი-პროგრესო | შეწყდა |
| პენიაროლი-სერიტო | შეწყდა |

| აშშ | |
|---|---|
| ლოს ანჯელესი-დალასი | 1:2 |
| სოლტ ლეიკი-კოლამბუსი | 0:0 |
| დი სი იუნაიტედი-კანზას სიტი | 2:4 |
| ნიუ ინგლენდი-ტორონტო | 4:0 |
| ჰიუსტონი-ჩივასი | 1:0 |
| ნიუ იორკი-დალასი | 3:0 |
| კოლორადო-ჩიკაგო | გვ. დასრულდა |

| იაპონია | |
|---|---|
| ომია-ნაგოია | 1:0 |
| იოკოჰამა-კაშიმა | 0:1 |
| ჰიროშიმა-კოფუ | 2:2 |
| ნიიგატა-გამბა | 2:1 |
| კობე-იჩიჰარა | 2:1 |
| ივატა-იოკოჰამა მარინოსი | 1:0 |
| კაშივა-ურავა | 0:2 |
| კავასაკი-შიმიძუ | 2:1 |
| ოიტა-ტოკიო | 0:0 |

**კალათბურთი**

| NBA | |
|---|---|
| ვაშინგტონი-ჩიკაგო | 68:101 |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| აეკ-ეგალეო | 85:77 |
| ოლიმპია-აელ | 91:92 (ო) |
| მაკედონიკოსი-პანელინიოსი | 86:87 |
| მარუსი-აპოლონი | 93:81 |
| პანიონიოსი-პანათინაიკოსი | 86:89 (ო) |
| აეკ-ოლიმპიაკოსი | 80:97 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ვალიადოლიდი-კ. სან ფერნანდო | 97:83 |
| რეალი-პამესა | 78:66 |
| ბრუესა-გრან კანარია | 80:87 |
| ალიკანტე-ტაუგრესი | 66:73 |
| უნიკახა-მენორკა | 81:83 (ო) |
| ფუენლაბრადა-ბარსელონა | 66:75 |
| ხუვენტუდი-მურსია | 83:72 |

| იტალია | |
|---|---|
| ტერამო-სნაიდერო | 91:75 |
| რომა-კლიმამიო | 70:68 |
| ბიელა-კანტუ | 83:78 |
| ვარეზე-მონტეგრანარო | 66:77 |
| დ'ორლანდო-მონტეპასკი | 58:77 |
| რეჯო ემილია-ლივორნო | 90:80 |
| სკაფატი-ნაპოლი | 62:95 |
| ბენეტონი-მილანი | 89:85 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ბეზანსონი-პო ორტეზი | 103:100 (ო) |
| შოლე-ტულონი | 85:75 |
| კლერმონი-რეიმსი | 84:53 |
| დიჟონი-რუანი | 86:98 |
| გრაველინი-ლე მანი | 60:71 |
| ნანსი-პსჟ | 105:75 |
| სტრასბური-ბური | 109:62 |
| ჰავრი-ვილერბანი | 71:94 |

**ჰოკეი**

| NHL | |
|---|---|
| დეტროიტი-კალგარი | 3:1 |

| გერმანია | |
|---|---|
| ნიურნბერგი-მანჰაიმი | 2:6 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| სპარტა-პარდუბიცე | 2:0 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ლინჩოპინგსი-მოდო | 2:3 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ჰიუსტონი | |
|---|---|
| კარლოვიჩი-საბალეტა | 6:4, 6:1 |

| ATP. ვალენსია | |
|---|---|
| ალმაგრო-სტარაჩე | 4:6, 6:2, 6:1 |

| WTA. ჩარლსტონი | |
|---|---|
| იანკოვიჩი-საფინა | 6:2, 6:2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. ბაჰრეინის დიდი პრიზი

# მასამ მოიგო, ჰემილტონი კი ლიდერთა შორისაა



ერთი ბროლის ორი გამარჯვებული: ჰემილტონი (მარცხნივ) და მასა

სამი ეტაპი, სამი სხვადასხვა გამარჯვებული და ჩემპიონატის სამი ლიდერი - ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატის სამი ეტაპის შემდეგ, სწორედ ასეთი საინტერესო სიტუაციის მომსწრენი გავხდით. ამ სამ გამარჯვებულს შორის არ ფიგურირებს ბრიტანელი ახალბედას, **ლუის ჰემილტონის** სახელი, მაგრამ სამაგიეროდ, ლიდერებს შორის მესამე სწორედ ისაა. ამას კი, მიუხედავად მისი ტალანტისა, ბევრი არავინ, ალბათ თავადაც არ ელოდა.

დიდი პრიზების ცირკის ქარავანს მესამე "გაჩერება" სპარსეთის ყურის კუნძულოვან პატარა ქვეყანა ბაჰრეინში ჰქონდა. ჩემპიონატი ახალი დაწყებულია და სანამ ტიტულისთვის მებრძოლი ფავორიტები გამოიკვეთებიან, კულუარებში უფრო ხშირად იმაზე ლაპარაკობდნენ, შეძლებდა თუ არა დებიუტანტი ჰემილტონი ზედიზედ მესამე რბოლის მოწინავე სამეულში დასრულებას. ეს მით უფრო დამაინტრიგებელი მოლოდინი იყო, რომ ფორმულა ერთის 57-წლიან ისტორიაში, არცერთ დებიუტანტს მსგავსი რამისთვის არ მიუღწევია.

თავად ჰემილტონი უკვე შეეჩვია თავის კარგ გამოსვლებს და მომდევნო, "ლოგიკურ" შედეგად გამარჯვებას ასახელებდა. ამის საბაბი მას კვალიფიკაციის შემდეგაც გაუძლიერდა, რომელიც მეორე შედეგით დაასრულა და რომ არა ბოლო წრეზე დაშვებული მცირე შეცდომა, იქნებ პირველი პოულისთვისაც გამოეკრა ხელი.

ჰო, ბაჰრეინის წინ ამაზე ბევრს არავინ ლაპარაკობდა, მაგრამ სახირის ტრასაზე, "მაკლარენის" პილოტებს გუნდის ისტორიაში 150-ე გამარჯვების მოპოვება შეეძლოთ. შეგახსენებთ, რომ პირველი გამარჯვება გუნდს მისმა დამაარსებელმა, ზელანდიელმა **ბრიუს მაკლარენმა** 1968 წელს მოუპოვა. რახან გუნდების გამარჯვებები ვახსენეთ, აქ ისიც საინტერესო იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ ყველაზე მეტი (193) რბოლა "ფერარის" აქვს მოგებული. "მაკლარენს" კი მოჰყვებიან (მოქმედ გუნდებს შორის) "უილიამსი" (113) და "რენო" (33).

კვალიფიკაცია ბრაზილიელი **ფელიპე მასას** გამარჯვებით დასრულდა, ვინც თითქმის 0.3 წამი მოუგო ჰემილტონს. მასასთვის ეს კარიერაში მეხუთე, მიმდინარე სეზონში კი ზედიზედ მეორე პოულია. ამასთან, თუ შარშანდელ სეზონსაც გავითვალისწინებთ, "ფერარის" პილოტებმა ზედიზედ მეხუთე პოულ პოზიცია მოიპოვეს.

22 წლის ჰემილტონმა კი პირველად შეძლო კვალიფიკაციაში თავისი ტიტულოვანი თანაგუნდელის, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **ფერნანდო ალონსოს** ჯობნა. ეს ჩემი მესამე რბოლაა ფორმულა ერთში და უკვე სტარტს მოწინავე რიგიდან ავილებ, რაც ჩემთვის დიდი მიღწევააო - პრესკონფერენციაზე ხარობდა ჰემილტონი.

ალონსო, ვინც წინა ორი რბოლა მოწინავე რიგიდან (არა პოულზე) დაიწყო, ამჯერად მეოთხე შედეგს დასჯერდა, თუმცა ამის მიუხედავად, კვალიფიკაციის შემდეგ მაინც კმაყოფილი დარჩა. მანქანის ოპტიმალურად დარეგულირება ვერ შევძელი და ამიტომ, ამ შედეგითაც კმაყოფილი ვარო - განაცხადა ესპანელმა.

როგორც ჩანს, მანქანასთან დაკავშირებული პრობლემები მას რბოლაშიც ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ეს მის შედეგზე აისახა - ფინიშთან მეხუთე მივიდა. არადა, ალონსომ რბოლა კარგად დაიწყო - სტარტიდან მეოთხე მოსახვევში გაასწრო ფინელ **კიმი რაიკონენს**, მაგრამ პირველი პიტსტოპის შემდეგ, კვლავ მეოთხეზე გადაინაცვლა, 30-ე წრეზე კი მას გერმანელმა **ნიკ ჰაიდფელდმაც** გაასწრო, ვინც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ აქამდე მას ძლიერი გუნდები ტყუილად არ აქცევდნენ სათანადო ყურადღებას.

რბოლა კი მასამ მოიგო, ვინც მთელი დისტანცია, პრაქტიკულად, უშეცდომოდ განვლო და თუ პირველ პიტსტოპამდე ვერაფრით ახერხებდა ჰემილტონის ჩამოტოვებას, ბოქსში მეორე ვიზიტის შემდეგ, სოლიდურ უპირატესობას მიაღწია, დასკვნით ეტაპზე კი თავს ტემპის დაგდების უფლებაც კი მისცა.

ჰემილტონმა ბოლო წრეებზე შეძლო ლიდერთან ჩამორჩენის შემცირება, მაგრამ მასას იმდენად მაინც ვერ მიუახლოვდა, რომ დაწინაურება ეცადა. ალბათ, რომც მიახლოებოდა, ბრაზილიელი წინ გასვლის საშუალებას მაინც არ მისცემდა. მასამ ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა, ჰემილტონი ზედიზედ მეორედ დასჯერდა მეორე ადგილს, რაიკონენი კი ამჯერად მესამე იყო.

*"ეს ჩემი მესამე რბოლაა და უკვე მეორედ შევძელი მეორე ადგილის დაკავება. ამაზე მეტს ვერც ვიოცნებებდი. ამაზე მეტი შეიძლება ერთადერთი რამ იყოს - გამარჯვება და ვიმედოვნებ, მასაც მალე მივაღწევ. მოკლედ, ვამაყობ ჩემი შედეგებით და დარწმუნებული ვარ, რომ მალე პირველ გამარჯვებასაც ვიზეიმებ"*, - განაცხადა ჰემილტონმა, ვისთვისაც ეს სეზონი "სასწავლოა" და ჩემპიონობისთვის ბრძოლა არ დგას დღის წესრიგში.

*"ჩემპიონატის პირველ ორ რბოლაში პრობლემები შემექმნა, რომელთა გამოც, პირველობისთვის ვერ ვიბრძოლე. ამჯერად კი ყველაფერი კარგად აეწყო. მანქანა შესანიშნავად მუშაობდა, მეც კარგ განწყობაზე ვიყავი და შედეგიც ლოგიკურია. ახლა უნდა ვეცადოთ, რომ კიდევ უფრო თავდაუზოგავად ვიმუშაოთ და მოპოვებული უპირატესობა შევინარჩუნოთ"*, - განაცხადა მასამ, ვისაც 17 ქულით კლასიფიკაციაში მეოთხე ადგილი უკავია.

"ფერარის" პილოტის გამარჯვების მიუხედავად, კონსტრუქტორთა პირველობაზე პირველობას კვლავაც "მაკლარენ-მერსედესი" ინარჩუნებს. ინგლისურ საჯინიბოს 44 ქულა აქვს და მას იტალიური გუნდი 5 ქულით ჩამორჩება.

კვლავ ვერაფრით გამოიჩინეს თავი წინა ორი ჩემპიონატის ტრიუმფატორის, ფრანგული "რენოს" პილოტებმა - იტალიელი **ჯანკარლო ფიზიკელა** მხოლოდ მერვე ადგილს დასჯერდა, ფინელი **ჰეიკი კოვალაინენი** მეცხრეზე გავიდა. სხვათა შორის, ჯერ კიდევ რბოლამდე, ფიზიკომ განაცხადა, ამ სეზონში ჩემთვის მოგებაზე ოცნებაც კი ზედმეტიაო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**ბაჰრეინის დიდი პრიზი**

სახირი. 308.238 კმ (5.412 კმ, 57 წრე)

| | |
|---|---|
| 1. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი) | 1:33:27.515 |
| 2. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენ-მერსედესი) | +00:02.360 |
| 3. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი) | 00:10.839 |
| 4. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, ბეემვე-ზაუბერი) | 00:13.831 |
| 5. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, მაკლარენ-მერსედესი) | 00:14.426 |
| 6. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, ბეემვე ზაუბერი) | 00:45.529 |
| 7. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა) | 01:21.371 |
| 8. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, რენო) | 01:21.701 |
| 9. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, რენო) | 01:29.411 |
| 10. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამს-ტოიოტა) | 01:29.916 |
| 11. ალექსანდერ ვურცი (ავსტრია, უილიამს-ტოიოტა) | 1 წრე |
| 12. რალფ შუმახერი (გერმანია, ტოიოტა) | 1 წრე |
| 13. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, ჰონდა) | 1 წრე |
| 14. კრისტიან ალბერსი (ჰოლანდია, სპაიკერ-ფერარი) | 2 წრე |
| 15. ადრიან სუტილი (გერმანია, სპაიკერ-ფერარი) | 4 წრე |
| 16გ. ენტონი დევიდსონი (ბრიტანეთი, სუპერ აგური-ჰონდა) | 6 წრე |
| გ. მარკ უებერი (ავსტრალია, რედ ბულ-რენო) | 16 წრე |
| გ. დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, რედ ბულ-რენო) | 21 წრე |
| გ. ტაკუმა სატო (იაპონია, სუპერ აგური-ჰონდა) | 23 წრე |
| გ. ვიტანტონიო ლიუცი (იტალია, ტორო როსო-ფერარი) | 31 წრე |
| გ. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ჰონდა) | 57 წრე |
| გ. სკოტ სპიდი (აშშ, ტორო როსო-ფერარი) | 57 წრე |

უსწრაფესი წრე: ფელიპე მასა - 1:34.067, 42-ე წრე

პირადი ჩათვლა: 1-3. ფერნადო ალონსო 22; 1-3. კიმი რაიკონენი 22; 1-3. ლუის ჰემილტონი 22; 4. ფელიპე მასა 17; 5. ნიკ ჰაიდფელდი 15; 6. ჯანკარლო ფიზიკელა 8; 7. იარნო ტრული 4; 8. რობერტ კუბიცა 3; 9. ნიკო როსბერგი 2; 10. ჰეიკი კოვალაინენი 1; 11. რალფ შუმახერი 1.

კონსტრუქტორთა პირველობა: 1. მაკლარენ-მერსედესი 44; 2. ფერარი 39; 3. BMW ზაუბერი 18; 4. რენო 9; 5. ტოიოტა 5; 6. უილიამს-ტოიოტა 2.

*(შენიშვნა: გ = გამოეთიშა)*

კრივი

ზემძიმე წონა

# ვალუევის სარტყელი ჩაგაევს



ჩაგაევმა ჩემპიონის ქამარი შემოირტყა

პროფესიული კრივის ისტორიაში ყველაზე მძიმე და დიდი მსოფლიო ჩემპიონის, რუსი **ნიკოლაი ვალუევის** წაუგებელი სერია დასრულდა. WBA-ის ვერსიით, ზემძიმე წონაში მის ბატონობას წერტილი უზბეკმა **რუსლან ჩაგაევმა** დაუსვა, რომელმაც შტუტგარტის რინგზე რუსი გიგანტი ქულებით დაამარცხა.

ამ ორი მოკრივის სატიტულო ბრძოლას კრივის მოყვარული მოუთმენლად ელოდა. 35 წლის ვალუევს ხომ მანამდ ზედიზედ 46 ბრძოლა ჰქონდა მოგებული და ახლოს იყო ლეგენდარული ამერიკელის, **როკი მარჩიანოს** რეკორდამდე (პროფესიულ რინგზე ჩატარებული 49-ვე ბრძოლა მოგებული აქვს). ვალუევისა არ იყოს, 28 წლის ჩაგაევსაც პროფესიულ რინგზე ბრძოლა არ წაუგია (ამიერიდან მას 23 მოგება აქვს). მის დამსახურებათა სიაში კი სამოყვარულო რინგზე ლეგენდარულ კუბელ **ფელიქს სავონთან** მოპოვებული გამარჯვება ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია. სხვათა შორის, ვალუევსაც და ჩაგაევსაც თითო ბრძოლა უშედეგოდ აქვთ დასრულებული.

ალსანიშნავია, რომ რუს გიგანტს თავის მეტოქესთან ზომა-წონაში კვლავ დიდი უპირატესობა ჰქონდა. ის უზბეკზე თითქმის 30 სანტიმეტრით მაღალი და 40 კილოგრამით მძიმე. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ რაც ჩემპიონი გახდა, ვალუევს სავალდებულო პრეტენდენტთან არ უბრძოლია, თავისი სურვილით კი მეტოქე სამჯერ აირჩია და სამივე ბრძოლა აშკარა უპირატესობით მოიგო. ჩაგაევი პირველი ნამდვილი პრეტენდენტი იყო, რომელთან ბრძოლაც "აღმოსავლეთის მხეცს" უწევდა.

მაგრამ ჩაგაევმა, ვინც თავის თავს "თეთრ ტაისონს" უწოდებს, არაფრად ჩააგდო მეტოქის ფიზიკური უპირატესობა და ქულებით მოიპოვა გამარჯვება. სამიდან ორმა მსაჯმა უპირატესობა უზბეკ მოკრივეს (117-111 და 115-113) მიანიჭა, მესამეს ბარათზე კი ფრე (114-114) დაფიქსირდა.

*"ეს წაგება იმის ბრალია, რომ ბევრი შეცდომა დავუშვი და რუსლანს იმაზე მეტი ქულის მოპოვების საშუალება მივეცი, რასაც იმსახურებდა. ყველაფრის მიზეზი კი ის იყო, რომ ფეხებში ძალა გამომელია და ბოლო რაუნდებში კარგად ველარ ვმოძრაობდი. ალბათ, ვარჯიშის დროს ფეხებს ნაკლებ ყურადღებას ვუთმობდი"*, - ბრძოლის შემდეგ განაცხადა ვალუევმა.

ჩაგაევს ძლიერი დარტყმა აქვს, მაგრამ ვალუევთან შეხვედრაში, მან აქცენტი ქულების დაგროვებაზე გადაიტანა. მთავარი იყო, ჩემპიონის გრძელი ხელებისთვის მოეხერხებინა რამე. ამ ამოცანას უზბეკმა თავი მეოთხე რაუნდში გაართვა და აქედან მოყოლებული, თავისი ტაქტიკური მონახაზის განხორციელებას შეუდგა. თანაც, ვალუევს დალლა დაეტყო - ის პრეტენდენტის მოძრაობის ტემპს აშკარად ჩამორჩებოდა.

როგორც ყოველთვის, რუსი გიგანტი თავისი ცაცია ჯების იმედზე იყო და თითქმის არ ცდილობდა მარჯვენათი აპერკოტის დარტყმას, რითაც მას არაერთი ნოკაუტი მოუპოვებია. ჩაგაევი კი სწრაფად შედიოდა ახლო დისტანციაზე, თითო-ოროლა დარტყმას მიაყენებდა მეტოქეს და სწრაფად შორდებოდა, რათა საპასუხო დარტყმებისგან დაეღწია თავი. ვალუევის წინა მეტოქეებისგან განსხვავებით, "თეთრ ტაისონს" ეს მანევრი კარგად გამოსდიოდა.

მაგრამ მერვე რაუნდში რუსი გამოცოცხლდა. მან რამდენჯერმე კუთხეში მიიმწყვდია მეტოქე და თავისი მარჯვენაც აამოქმედა, მაგრამ ის რომ ერთს დაარტყამდა, ჩაგაევი რამდენიმეთი პასუხობდა. ჩემპიონმა თავისი სიზანტით იქამდეც კი გააღიზიანა თავისი მწვრთნელი, რომ მან ბოთლიც კი მოუღერა - დააგდე ეგ ჩუქჩა, თორემ მე შენ დაგაგდებო. არადა, რისი თავი აქვს, თავის შეგირდს წელამდე თუ მისწვდება.

ბოლო რაუნდებში ორივე მოკრივემ თავი გამოიდო. ვალუევმა ბოლო ძალები მოიკრიბა და ნოკაუტზე წაიმუშავა, მაგრამ როგორც წინა რაუნდებში, იმაზე მეტს პასუხად ლებულობდა, ვიდრე თავად ურტყამდა. ბოლო რაუნდში პრეტენდენტი ისე "გათავხედდა", ხელები ჩამოუშვა და **როი ჯონსის** სტილში, ჩემპიონს სახეც მიუშვირა - იქნებ ასე მაინც გამოგივიდეს რამეო. მაგრამ ვალუევს აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა.

ბრძოლამდე ყველა ამბობდა, რომ მე ნიკოლაის კალიბრის არ ვარ და მასთან რინგზე არაფერი მესაქმება. ახლა ალბათ ყველა შეიცვლიდა ამ მოსაზრებას, მე ეს დავიმსახურე, - განაცხადა ახალმა ჩემპიონმა და დასძინა, დიდი ზომის მოკრივეების წინააღმდეგ, არსენალში რამდენიმე ეფექტური ილეთი მაქვს და ამ ბრძოლაში ყველა არ გამომიყენებიაო...

**მერაბ ლორთქიფანიძე**

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჟიჟკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დიღომი, აწ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა